

ლიტერატურული გაზეთი

№6 (358) 29 მარტი - 11 აპრილი 2024

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

დიმიტრი ნიკლაური

ნინო მშვიდლობაძე

როზას მზითაძე

ქალები



1.

მუსიკის მოსმენა მობეზრებამდე მჩვეოდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, კონცერტს დარბაზში ვესწრებოდი თუ არა, მგზნებარე ჰანგებს კონსერვატორიის შედგენილი ფანჯრიდანაც მძაფრად აღვიქვამდი. შინაარსს წინასწარ ვეცნობოდი და ამოხედილი ფურცელი კონვერტში მედო, დროდადრო ტექსტში რომ ჩამეხედა. ეს კონვერტი კონცერტის არსის ჩანვლოდში მეხმარებოდა. თუმცა გულის სიღრმეში ამას იმიტომ ვაკეთებდი, როზასთვის რომ მესიამოვნებინა. როზა ბებიაჩემს ერქვა, მისდღემში ჩემზე რომ იყო გადაყოლილი. კონსერვატორიიდან მომავალს ღიღინი ამეკვიტებოდა ხოლმე, მაგრამ მაინც ფუჭად ვირჯებოდი. სტუდენტთა აქციის შემდეგ, რადგან მელოდით ტკბობა შემეძლო, დაკვრა კი — არა. ამის მიზეზი ჩემი დაკრუნხული თითები იყო, სისხლის შემადგენლობაში მარილების აღმატებულ შემცველობას რომ გამოეწვია, კონცენტრაციის მკვეთრ ცვლილებას, რაც საერთო სურათის დარღვევის მიზეზი გამხდარიყო. დეტალებს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ვიცოდი, ვერასოდეს დავუკრავდი. მათხოვრობას თულა შევძლებდი, გლახაკისთვის იმდენად ზედგამოჭრილი კიდურები ჩამომიყალიბდა. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ასეც მომიწევდა. ბებიაჩემი გულმოკლული მიბანდა ხელებს. რას გიგავსო თითები, მოთქვამდა. თუმცა სიმხნევეს არ კარგავდა. პერიოდულად მინერალური წყლების კურორტზე დავყავდი, აბაზანები შეღავათს მოგცემსო, მაგრამ საშველი არ ჩანდა. არადა მოვლა-პატრონობას არ მაკლებდა. ხორცსაც კი მენისქვილისგან ყიდულობდა, საქონელს ხორბალზე გაზრდიდაო.

მოგვირისტა ბუნებამ მარტი, როგორღა ვიყოთ ქალები ჩუმად... ვიზომებთ კაბებს — გაზაფხულის ფერებიანებს, გვაქვს მხოლოდ ჩვენთვის გასაგები საღიმილო ამბები — ქალებს, ვხმარობთ ჩვენთვის გასაგები ხმაურითაც, საჩვენაჩვენო სიხარული თვალებით დაგვაქვს და გაზაფხულის აურზაურში ჩვენი სიჩუმე ვინ გაიგონა??? ჰოდა, ვხმარობთ, გაზაფხულს ვდღესასწაულობთ ქალები — თავად გაზაფხულები... ჩვენც ვავივისტებთ ერთფეროვან დღეებს ცხოვრების — ჩვენივე ყოფით, გამოხედვით, გაღიმებთაც, სიარულის მანერითაც კი... მოგვირისტა ბუნებამ მარტი, ვერა ვარ ჩუმად, გაზაფხულმა მიშვილა ერთ დროს, გაზაფხულმა მომართო ფერებით, მო-მა-გვი-რის-ტა... და დავატარებთ ყოჩივარდებს მზერით ქალები — გაზაფხულის ტრუბადურები...



II-III

IV



სალომეა ლომინაძე

ზაზა ბიბილაშვილი

ლექსიდან ვერ გამყავხარ, ჩემო თავო, სახლს და ქალაქსაც გაგაცილებ, ჯერ ეს ნოემბერი ჩავათავო, მერე დეკემბერი გამაცილებს, მერე ის კაციც გამაცილებს...

ასე გაცილებულს, ასე გაცილებულს, ასე გაცილებულს ლექსიდან გამოგიყვან, ჩემო თავო... ოღონდ ნოემბერი ჩავათავო...

ლექსში იმდენი მეტრებია, იმდენი საზომია — აი, ნახავ, ახლა... უბრალოდ, მეტირება, სიზმარში თავსაც გავილახავ... მერე გამოგიყვან უსათუოდ, უსათაუროდ არ იქნება მთელი ზამთარი... ახლა კი ცოტა გამიძელი, ახლა ვამთავრებ შენზე წერას... წინ ზამთარია...

აღარ ვიქნებით თეთრი ღამის არც გუშაგები, გადმოვიყვანოთ წიგნებიდან მანუშაკები, ანდა, რა ვიცი, რა გამოლევს პერსონაჟებს, მეტრებს, საზომებს...

ჯერ ნოემბერი ჩავათავო... ბარემ იმ კაცმაც გამაცილოს. ცოტა გამიძელი, ჩემო თავო, მერე კაბასაც გაგაცილებ...

ქალები კაბებიდან გამოდიან, ქალები სახლებიდან გამოდიან, ქალები ჭაობიდან გამოდიან, ქალები ქვრივობიდან გამოდიან...

შენ ლექსიდან ვერ გამოგიყვანე...

პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი 2023

დიდი ეროვნული პოეზიის შექმნას სამიდან ერთ-ერთი პირობა მაინც სჭირდება:

1) მრავალრიცხოვანი ერი, უფრო სწორად — მრავალმომხმარებელი ენა. ანუ მით უფრო მყარია პირობა, რაც მეტი ადამიანი ლაპარაკობს მოცემულ ენაზე.

2) ქვეყნის ოქროს ხანა; რაც გარკვეულწილად იმასაც გულისხმობს, რომ როგორც ამ ქვეყნით ზოგადად, ისე კონკრეტულად მოცემული ენით, ანუ ამ ქვეყანაში და ამ ენობრივ სივრცეში მიმდინარე მოვლენებით უამრავი ადამიანი დაინტერესებული. მაგალითი ჩვენივე ოქროს ხანაა.

3) ქვეყანაში, ერში ცხოვრობდეს პოეტური თვალსაზრისით დიდად ნიჭიერი (ერთი ან რამდენიმე) ადამიანი, რომელიც ან არაადეკვატურად აღიქვამს, ან საერთოდ უგულვებლყოფს გარემოს, რომელსაც, თავის მხრივ, ფეხებზე ჰკიდია მოცემული ენაც, ერიც და ქვეყანაც. ანუ ეს ადამიანი (ან რამდენიმე ადამიანი) იქცეოდეს ისე, თითქოს გარემოს ძალიან აინტერესებდეს მისი (მათი) საქმიანობა და სულის კანკანითაც კი ელოდეს ყველაფერს, მისი (მათი) პოეტური ტვინიდან და ხელიდან გამოსულს. რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება, რომ ამ ადამიანს (თუ ადამიანებს) აქვს (აქვთ) — არ ვიცი, საიდანაც გინდათ, იქიდან მოტანილი — მატერიალური სახსარი და დროც, რომელთაგან პირველი მის (მათ) ფიზიკურ არსებობას უზრუნველყოფს, ხოლო მეორე უშურველად ეთმობა ამ საქმეს — დიდი ეროვნული პოეზიის შექმნას.

ახლა წიგნის აქეთ დანერგულ ლექსებს გადავხედო და უნებურად წარმოვიდგინე — ვილაცას ვეუბნები: ათი კარგი ლექსი მაქვს, ერთი მაგდენიც — საშუალო.

და ის მეკითხება: ცუდი? და ცუდი ლექსი რანაირად უნდა გქონდეს, წარმოდგენილო ვილაცავ? არა, განა ვერ დანერ, მაგრამ ნაშაღე, დახიე და აღარ გექნება.

საერთოდ, ცნობილი კითხვაა: ცუდი ლექსი არსებობს? ცუდი თუა, ლექსია?

ამას გარდა, ერთი პერსონაჟის ნათქვამიც მახსენდება (რა უშავს, თუ ის თავადიშვილებზე ამბობდა) — კარგი რა არის, ავი რა იყოსო...

გეთანხმებით — რთულია იმ პოეზიის თარგმნა, რომელიც (უხვად) იყენებს მდიდარ ენობრივ რესურსს.

არ გეთანხმებით, რომ ამიტომ (მხოლოდ) ის პოეზია უნდა თარგმნოთ, რომელსაც, მნიშვნელობა არა აქვს, აქედან იქით თარგმნი თუ იქიდან — აქეთ.

IX

XIV



დასაწყისი პირველ გვერდზე

საკონცერტო როიალი სახლშიც გვე-
დგა. მისი შავ-თეთრი კლავიშები, დღე-ღა-
მის მონაცვლეობასა და ჯადოსნურ ბგერ-
ათა მიჯნას მაგონებდა. საზოგადოება თუ-
კი ამის ინტერესს დაკარგავდა, ზეცოური
კარნახიც შეწყდებოდა და მხოლოდ ყოფი-
თი საკითხებით დაკავდებოდნენ — ნედ-
ლეულის გადაზიდვით, ფართების შესყიდ-
ვითა და ათასგვარი სხვა მოსაწყენი საქმი-
ანობით. შესაძლოა ომშიც ჩაბმულიყვნენ
ძალაუფლების მოსაპოვებლად. ბრძოლის
ველზე დაღვრილ სისხლს წვიმა გადარე-
ცხავდა, ფოთლები შრიალს შეწყვეტდნენ
და ისე იზრიალებდნენ, თითქოს შუშისანი
ყოფილიყვნენ. პორიზონტზე ნითელი ღრ-
უბლები გაღებელი ტუჩებით ნაკონცარს
დაემსგავსებოდა, ხოლო დაყრილი ფოთ-
ლებისა და ფოთლების მზიდავი ქარი, მე-
ფის სუფრიდან გამოქცეულ დენის, და-
ბეჭკილი ძენძებით მოსილი აჩრდილები
რომ ასდევნებოდნენ. სველ, სიფრიფანა
კაბაში გამოწყობილი ნითური ქალივით
მოედებოდა თვალსაწიერს კიდით კიდემ-
დე, მსგავსად ცეცხლისა, ნატიფი ალით
მოცეკვავე, კვამლის მღვრიე ქულებით
აალები ნაცვლად რომ ხრჩოლავს.

ნეტავ როგორი იქნებოდა პირველი ჰა-
ნგი. იქნებ სავეალალოდ ნასროლი კენჭის
შეხლა ფაშარი ქვის გორაზე, ცხოველს
რომ ააცილეს, ანდა სულაც დაჭრილი ნა-
დირის შეკვივება. იმ დროშიც ხომ დაიბა-
დებოდნენ ფაქიზი სმენით დაჯილდოებუ-
ლნი, ჰარმონიულ ხმებს რომ წარეტაცათ
და ამის გამო ნადავლით იშვიათად დაბრუ-
ნდებოდნენ შინ, ჭირხმოდებულ კლდეთა
ცივ გამოქვაბულებში. შესაძლოა ზღვის
ნაპირთან შემდგარიყვნენ ზვირთების საყ-
ურებლად და ჭექა-ქუხილისთვის ესმინათ,
დასარტყამი ინსტრუმენტების ხმებს რომ
გამოსცემდა, ანდა მთვარის შუქზე მგლებ-
ის ყმუილისთვის ეგდოთ ყური, სმენის ნას-
ახიც რომ არ ჰქონდათ. ამ მხრივ ფრინვე-
ლები მეტი ნიჭიერებით გამოირჩეოდნენ.

2.

გერმანული ბეხშტეინი, სასტუმრო ოთ-
ახს რომ ამშვენებდა, როზას ერთადერთი
მზითველი იყო. თუკი სტუმრები გვიანობამ-
დე რჩებოდნენ, დილით მეზობლების სამა-
რთლისა ჩივილს ვუსმენით თვალების
ფშვინტით, ამის გამო ძილითა დაგვიტყდაო,
ხელს შავად მბზინავი როიალისკენ იშვე-
რდნენ, სპილოსავით დიდრონი რომ იყო
და ბარემ ნახევარ ფართს იკავებდა. სივრ-
ცე იმდენად მცირე რჩებოდა, მხოლოდ სკ-
ამები გველაგა კედლის გაყოლებზე. სივი-
ნროვის გამო ფანჯრის ანჯამებს ძლიერ
ვწვდებოდით. ჩარჩოს ფრთხილად ვანვე-
ბოდით, შემთხვევით როიალი რომ არ გაგ-
ვეკანრა. იმდენად სათუთ განძად მიგვანჩ-
და, მის წინ მონივნებით ჩავლა დაგვჩემდა
და ეს ჩვეულება სისხლში გაგვჯდომოდა.
ფანჯარა ბაღისა გადაჰყურებდა. ასე ვეძა-
ნით ორიოდე მეტრი, ეკლიან ბურქსა და
მომცრო ჩირგვს, დაჩოქილ ხეებს რომ გვა-
გონებდა, ხოლო ვერცხლისფერი ფოთლ-
ებით შემკული ზეთისხილი რუხად მოვა-
რავებულ მაგიდასა და აქეთ-იქით განლა-
გებულ მერხებს საჩრდილობელივით და-
ჰყურებდა. ფერად ყვავილებს ვინრო გა-
ზონი ერტყა და ბუნების მწირ შთაბეჭდ-
ილებას აღძრავდა, რომელიც წარმტაცად
მაშინ მოგვეჩვენებოდა, თუკი ცხოვრებაში
უდაბნოს არ იყავი გაცილებული.

როზას სათითესავით ერთი ბენო საძი-
ნებელ ოთახში ფანჯრის რაფაზე კაქტუ-
სის ქოთანის იდო, ვინრო კომოდზე კი ხატე-
ბი ელაგა. ფანჯრიდან კორპუსი ჩანდა, სა-
დაც ავი სულეებით შეპყრობილი ქალი ცხ-
ოვრობდა, აივანზე რომ გადმოდგებოდა
ხოლო, როგორც ტრიბუნაზე და გამველე-
ლებს წყევლა-კრულვით იკლებდა. ჯოჯო-
ხეთმა გაცვით პასუხით, მკაცრად შეაჩ-
ვენებდა მათ და თვალებიდან ნაპერწკლებს
აფრქევდა, გეგონება, ეს-ესაა მოგიზიგზე
ცეცხლზე შემდგარი კუპრით პირთამდე
სავსე თუნჯიდან გადმომხტარიყოს. ეს-
ოდენ გზასაცდენილი მხოლოდ მაშინ შედ-
რკებოდა ხოლო, როზას თუ შეინშავდა.
კორპუსის გვერდით რესტორნის გამოშვე-
რილი კედელი ჩანდა. იქვე კაზინო გაემარ-
თათ, რომლის სარეკლამო ბანერი, მომ-
ცრო ნათურებით გაბრძღვილებული, გა-
მომწვევად ეპატიჟებოდა გამდიდრების
მსურველთ, ჯიბეგაფხეკილთ კი ტოვებდა.
კინომსახიობებივით წარმოსადგეი მომს-

ვლელები უკან ცირკის ჯამბაზებივით ბრ-
უნდებოდნენ. ზღურბლთან დაცვის უფრო-
სი იდგა გაჯგამული. მარჯვენა ხელი შალ-
ითის ბუდეზე ჩამოედო კოვბოურ ფილში
მონანილე განგსტერივით, მომწუსხველი
მზერით რომ ჩაგაგონებდა, რაც უფრო
გვიან გადამეყრები, მით უფრო მეტხანს
იცოცხლებო. მჭიდროდ მორგებული სა-
თვალე მოჭუტულ თვალებს უფარავდა და
დამატებითი მჭიდის შთაბეჭდილებას ახ-

რომ ჩამდგარიყვნენ და ყოველ მათგანს
თავი გენიოსად მიაჩნდა. თავისზე ძლიერს
ზედმეტობაში დასდებდნენ ბრალს, თა-
ვისზე სუსტს უნიჭობაში ამხელდნენ, თვი-
თონ საუკეთესოდ რომ წარმოჩენილიყ-
ვნენ. არადა, მწვერვალს ვინც ვერ აღწევს,
დაე, ბორცვები აღწეროს ხატოვნად. განა
ეს ნაკლები წყალობაა?

მსცოვან დირიჟორს კონცერტები რომ
შეუწყვიტეს, ალექსა დადო, მუსიკალურ



დენდა. შემოხედვით ადგილზე გაგაქვავებ-
და და შენც ეჭვმიტანილივით იდექი სასჯე-
ლის მოლოდინში, რომლის აღსრულება
თუკი აყოვნებდა, მისი დიდბუნოვნების-
თვის უნდა მიგენერა. მერე თავის დაქვემ-
დებარებულ პირს მკაცრ მითითებას მის-
ცემდა, წვრილმანზე რომ არ მომცდარიყო,
მაგალითად, ფლეიტის მოსასმენად, რომ-
ლის მითიური ჰანგები ჩვენამდეც აღწე-
და ყრუდ.

როზას მამამთილს, ცნობილ დირიჟო-
რს, თავი მხოლოდ მუსიკისთვის რომ მიეძ-
ღვნა, როიალის მეტი არაფერი გააჩნდა.
მის პანაშვიდებზე სკამებიც კი სამეზობლ-
ოდან შემოგზიდათ. თუმცა მე მაშინ პატა-
რა ვიყავი და მონანილეობას არ მალეხინე-
ბდნენ. ლოყაზე ხელს მითათუნებდნენ და
ოხრავდნენ, წარმოდგენაც არა გაქვს, ვინ
დაკარგო. არადა პაპაჩემს ბოლო პერიო-
დში კონცერტებზე აღარც იწვევდნენ. მა-
ესტროს ძახილი მოჰბერებოდათ, რის
მიზეზადაც ქვის გამხეთქავი არგუმენტი
მოჰქონდათ, მოძველებულ მიდგომას უწუ-
ნებდნენ, თუმცა პაპაჩემი გულს მაინც არ
იტებდა, კაცის გარიყვა იმიტომაც სწვე-
იათ, ღმერთის გარდა რომ არავის დაეყ-
რდნოსო. მას მშვიდი ხასიათი ჰქონდა რო-
ზას მღელვარე ბუნებისგან განსხვავებით,
რომელიც ისეთი აქტიური იყო, საქვეყნ-
ოდ ცნობილ დირიჟორსაც როზას მამა-
მთილს უწოდებდნენ. ბუნდოვნად მახსოვს,
როგორ ამოდიოდა ჭრილა კიბეზე. სასტ-
უმრო ოთახის ზღურბლთან დინჯად შედ-
გებოდა, მერე თავის საყვარელ ბერლინურ
ბეხშტეინთან სკამს მიიჩრებდა და თავდა-
ვინყვით უკრავდა, ყოველ ბგერას ფრთა-
რომ შესხმობდა. ოთახი ჯადოსნური ჰანგე-
ბით ივსებოდა, გეგონება, დიდ ორკესტრს
დირიჟორობსო. ნოტებში არც იხედებოდა.
თითები თავისით მოძრაობდნენ. მან ხომ
ოთხივე ჯგუფის პარტიტურა ზეპირად
იცოდა. ერთმანეთის შემსვლები ბგერები და-
მოუკიდებლად ჟღერდნენ. ისეთ დახვეწილ
და განუმეორებელ ხმებს უყრიდა თავს, მის
დატევენას ერთი ბენო ოთახი კი არა, ვრცე-
ლი დარბაზიც არ ეყოფოდა. ყოველი პაუ-
ზა ოცდაათამდე დათვლას გულისხმობდა,
თითქოს სოლისტზე ჰქონოდა სწორება.
ასეთი ჯადოქარი კი ერთხელაც სცენის გა-
რეშე დატოვებს. საზოგადოება სნობური
იყო და არავის აღიარებდა დიდხანს, წამდ-
აუნუმ თვალში ვინც არ ეჩხირებოდა. თუმ-
ცა ვერც ხალხს გაამტყუნებდი. რამდენ ხა-
ნს უნდა ჰყვარებოდათ ბებერი მანსტრო
ძველ დამსახურებთა გამო. ვერც მუსიკო-
სებს მოსთხოვი პასუხს, ცოცხალ რიგში

ინსტრუმენტს აღარ გავეკარებო. შეას-
რულა კიდეც და როზას დაუბარა, ამ
როიალს შენ გიტოვებო მზითვად. ქორ-
ნილში არაფერი მიჩუქებია და ახლა მაინც
გამოვასწორებო ჩადენილ სიძუნწეს. თვი-
თონ კი ეზოში მდებარე ფარდულში გადა-
სახლდა. ბოლოს იქვე აღესრულა, ბარემ
ას წელიწადს როცა მიუკაკუნა. ჩვენ მაინც
დიდად ვიგლოვით. ბებიაჩემმა წლისთა-
ვამდე ტელევიზორის ჩართვა ამიკრძალა,
თუნდაც ნახატი ფილმი გასულიყო.
თოჯინებზე დიდად გულს არც დამწყდე-
ბოდა. იმ დღეებში ბლომად ხალხმა მოი-
ყარა თავი პატვისციემის გამოსახატად, სი-
ცოცხლეში მითქმა-მოთქმას რომ მისცე-
მოდნენ. იქნებ სინდისი ქვენჯინდათ და თავს
იმართლებდნენ, საჭირო რომ ყოფილიყო,
მაესტრო თვითონ გვეხატავდაო. თავშლიანი
ქალები ფსალმუნებს კითხულობდნენ და
დროდადრო მიცვალბულს გადახედავდ-
ნენ, თავის განუყრელ ფრაკში პენიანად რომ
იყო გამოწყობილი, გეგონება, უკანასკნე-
ლი კონცერტის გასამართად მიაგლინესო.
პანთეონშიც შემამღებულ ადგილას
დაკრძალეს, თითქოს სიცოცხლეშიც ხელ-
ში ჰყოლოდათ ატატებული.

მე და როზა საფლავებს ყოველ რელი-
გიურ დღესასწაულზე ვსტუმრობდით. თა-
ვლის სურნალოვანი სანთლები შეკვრად
მიგვეკონდა, ერთი რომ ჩაქრებოდა, მეორე
ავგვითო. როგორც წესი, ჯერ დედაჩემთან
ავდიოდით, სამოქალაქო სასაფლაოზე
რომ იყო დაკრძალული, მერე პანთეონისკ-
ენ გადავინაცვლებდით, სადაც შტატში
ბევრი დამსუფთავებელი ჰყავდათ. ბაზალ-
ტის ქვეში შვად ბზწყინავდა, მარმარილ-
ოს ფითქინა კედლებს კრიალი გაჰქონდა
და ისლა დაგვრჩენოდა, უსაქმოდ ვმდგარ-
იყავით. მამაჩემის შესახებ როზას არაფერი
უთქვამს. მხოლოდ ერთხელ აღნიშნა მშრა-
ლად, მოუსავლეთში გადაიკარგაო. ამ გა-
ურკვეველ სიტყვაში ამერიკის შეერთებულ
შტატებს გულისხმობდა, სადაც მამაჩემი
იმ წელს გადახვეწილა, მე როცა დავიბადე.
დედაჩემი ქმარზე ნერვიულობას გადაჰყ-
ოლია. ოჯახის მიტოვების მიზეზზე არაფ-
ერი მსმენია. ამ თემის ირგვლივ წერილმან
დეტალსაც ტაბუ ედო.

დედაჩემის საფლავთან დაღვრილი
მერხი იდგა, საიდანაც სტადიონი მოჩან-
და. ჩვენ ფეხზე დგომა გვერჩინა, თითქოს
ასე გარდაცვლილის მიღმიერ ცხოვრებას
მეტად შევეწუოდით. როზა ხელჩანთიდან
მაუდის ნაჭერს ამოაძრობდა და ქვაზე გა-
მოსახულ სურათს დიდხანს აპრიალებდა.
სტადიონზე ბავშვები თამაშობდნენ, მაგ-

რამ აზარტი აკლდათ და უგოლო მატჩი
უგულო ცხოვრებას ემსგავსებოდა. მეც
მზეზრდებოდა თვალის მიდევნება და სტა-
დიონის გასწვრივ მდებარე ხეივანს გავეყ-
რებდი. ყვითელი ფოთლების ცვენა ჭა-
ლარა ბერიკაცთა სევდის მიზეზს ეხამებო-
და, გალუული სახსრების გამოისობით ხე-
ლჯოხებს რომ დაჰყრდნობოდნენ. ახლო
რომ ვყოფილიყავით, დაცვენილი ფოთლ-
ების შარიშურსაც გავიგონებდი. შორს
ღრუბლის ფთილა მზეს ისე მიახლოებო-
და, თითქოს ფთილზე ცეცხლს უკიდე-
ბნო. მიმდებარე საფლავის ჭირისუფალს
როზასთან ბაასი გაეხა, მალე აქაურობას
ბაღჩად აქცევინო. ეს კი ჭირილობის შეხო-
რცებას დაემსგავსებოდა. სიკვდილის შემა-
დგენელ ატრიბუტებს რაც უფრო ნაკლებ
მნიშვნელობას მივანიჭებთ, ზეიმს მეტ
ხარისხს შევძენთო. როზა აუშარდა, ეს ინ-
ფორმაცია საიდან გაქვსო. ასეთი ხასიათი
ჰქონდა, უწყინარ საუბარსაც კამათად აქ-
ცევდა. სესხების გაცემაზე რომ ემუშავა,
ბანკს კლიენტებს დააკარგინებდა. მერე
დამშვიდდა, ბაღჩად თუ აქცევინო, მირჩე-
ვია კიდევო. აქ უნდა დავიკრძალო და რაც
უფრო მალე მივეციედი დავიწყებო, ხელს
მადლებსო. მნიშვნელობის გამო პანთეონს
არავინ შეეხება, გვარში კი ერთი ისტორიუ-
ლი პიროვნებაც საკმარისიაო.

მერე შინ ვბრუნდებოდით და როზა რო-
იალთან ჩამოჯდებოდა ხოლო მოსასვენე-
ლად. წარსულს, ამ ინსტრუმენტს რომ უკ-
ავშირდებოდა, მუდამ სიამაყით იგონებდა.
მასზე ხომ თვით იტალიელი დირიჟორსაც
დაეკრა, აქაურ ოპერას ვენიდან რომ სწვე-
ოდა საპატიო სტუმრის სტატუსით. როზა
ამბობდა, სხვა ბევრი კეთილშობილი მაე-
სტროც შეხებიაო სათუთად. მაგრამ რაც
ჩვენ ხელში ჩავარდა, საფლავის ქვასავით
დადუმდა. ალბათ ამიტომაც მიქრავა მუ-
სიკის მასწავლებელი, რომელიც შუადღის-
თვის დაიბარა. მანამ მეყვავილეს უხმო ყა-
ვის დასაღვავად, ბაღჩის დაუზარელ მომ-
ვლელს, როზას ნებისმიერ სურვილს ბრძა-
ნებდა რომ მიიჩნევდა და უმად აღასრუ-
ლებდა. მას საპარტაკი ერქვა და მცენარე-
ბსაც ისე დაჰფოფონებდა, გეგონება, მონ-
ების აჯანყებას მიუძღვისო რომში. საუბ-
არს უმეტესად სასუქების სიძვირზე ჩამო-
აგდებდა ხოლო. როზა საყვედურობდა,
სულ წვრილმანებზე წუნუნებო. მეზადე არ
პასუხობდა, რადგან მის მიმართ ისეთი ნე-
ნინება გასაჩინოდა, კონინტს მხოლოდ მე-
ბართვის ასაღებად თუ დაძრავდა. ნიადაგ-
ის მოსაფხვიერებელ თოხს მეფის კვერთხ-
ით თან დაატარებდა. იმ დღესაც ოთახ-
ში შემოიტანა და როიალს მიაყუდა, გე-
გონება, დანიშნულა უპოვაო. ბებიაჩემს
ეს არ დაუნახავდა და მხიარულად ველოდი,
როდის დააყრიდა ქოქოლას. მერე ვიქვე-
იქნებ შენიშნა კიდეც, მაგრამ სურდა, უკ-
ონფლიქტო ქალის შთაბეჭდილება მოეხ-
დინა. ზოგადად ჭყუის დარიგება, იცოცხ-
ლე, უყვარდა. როცა გარეთ დავსეირნობ-
დით, ყველაფერს ნუ დასწვდებო, მკაც-
რად დამიტყვავდა და ნაპოვნ ნივთს შორს
მოისროდა. შესაძლოა ზურმუხტი გეგო-
ნოს და ხოჭო აღმოჩნდესო, დინჯად რომ
მობობდავს და ზურგი მწვანედ უპრიალე-
სო, ხატოვნად დამომძვრავდა. მაგრამ
ხომ შეიძლებაო, ხოჭო მგონებოდა და
ზურმუხტი ყოფილიყო. ანდა თუკი მობო-
ბდავდა, ზურმუხტი როგორღა იქნებოდა?
თუმცა არ ვეპასუხებოდი. შუადღისას ზა-
რი ანკრიალდა. ზღურბლს ისეთი ლამაზი
ქალი მოსდგომოდა, მუსიკას როგორღა
შევისწავლიდი. მეყვავილემაც კი მალული
აღტაცებით შეავლო მზერა და ნერწყვი
გადაყლაპა. ეს ბეხშტეინი არ დღეუნი მეთქი,
ავენთე. მისმა უტიფარმა გამოხედვამ ეჭვი
აღმიძრა. შინ ხომ ჩემი პირველი სიყვარუ-
ლი მწევოდა, ყოველთვის უკანასკნელად
რომ მიიჩნევა. ეს უნატიფესი ქმნილება მუ-
სიკაშიც ზედმინეებით ერკვეოდა. ამისთ-
ვის ბევრი დრო დავთმობ, თუმცა დიდად არ
დაჰფასებია, თორემ განა ჩემზე მოცდე-
ბოდა?!

სასტუმრო ოთახში შემოსვლისთანავე
თოხს მრისხანე სინაზით დასწვდა და პლინ-
თუსს უხეზად მიახუთქა. მერე როიალს მზ-
რუნველად გადაუსვა ხელი, თითქოს შესა-
ძლო იყო, თოხის მიყუდებით რაიმე სტკენ-
ოდა. სახეზე მღელვარება აღჰბეჭდოდა,
იმპრესიონისტები რომ ხატავენ თვალებს,
რომლებმაც ეს ესაა საშინელება იხილეს.
მკაცრი მზერა ულურჯესი ზღვის ალელე-
ვებს მიუგავდა, მაგრამ გაბრაზება ისე უხ-
დებოდა, სპეციალურადაც გამოიყვანდ-

ნენ მწყობრიდან, ყურებით რომ დამტკბარიყვნენ. მერე როზამ ყველანი სუფრასთან მიგვიპატიჟა. ზედ ვერცხლისფერი დანა, საკარაქე და დაჭრილი პური დაალაგა. თაფლის ქილასაც მოხადა თავი, მერე მადულარა გამოართო და თავბრუდამხვევ, მოტკბო სურნელში ფუტკრების ზუზუნით ძილისმომგვრელი მასლაათი გაიბა. მშვენიერი ქალბატონი მონანილეობას არ იღებდა, მაგრამ როგორც კი საუბარი მუსიკას შეეხო, მისივე გამოცოცხლდა და ნამოჭრილი თემა ისე შთამბეჭდავდა განავრცო, ფარშევანგი რომ გაშლის ხოლმე ბოლოს. ალბათ სასწავლებელშიც ფრიადოსანი იქნებოდა, ლექტორი კითხვის დასმას რომ ვერ ასწრებს, პასუხი კი უკვე მზადაა აქვს. კარიერული ნინსელისთვის სილამაზეც ეყოფოდა, მაგრამ საკრავსაც ზედმინევი ფლობდა. დარწმუნებული ვარ, ქუჩაში ბიჭები პირდაღებულნი შეჩერდებოდნენ გადადებული ამბობის გამომხატავი მზერით, ამისთვის რომ აღარ ეცალათ. ქალი იყო და მამრთა გულს იგებდა, მეთევზე რომ ყოფილიყო, ვეშაპებს გამოათრევდა ნაპირზე.

ინტენსიურ მეცადინეობებს მეორე დღიდანვე შევუდექით, რაც ხელის ჩაქნევამდე გემუდებოდა. ჩემს თითებს ყურადღებას არ აქცევდა, ეტყობა, ბებიანამ გაეფრთხილებინა. მის მანერებს, მაღალი საზოგადოების წევრობით დახვეწილს, აღფრთოვანებაში მოვყავდი. ერთხელაც როზა საყიდლებზე იყო ნასული, ადრიანად რომ მომაკითხა, დღეს საღამოს არ მეცლვებო. მე კლავიმებს მივუჯექი, ხელები დავუშვი და ხმას არ ვიღებდი. როცა პაუზამ დიდხანს გასტანა, რაღას ელიო, შემომცინა. სრულწლოვანებას მეთქი, ცოლად რომ შევირთო, ვუპასუხე. ამაზე გულიანად გადაიკისკისა, მე კი უჩხუდვას ვერ ვებედავდი. ბროლის ვაზას ვჯერდებოდი, მის ნაკეთებს ფრაგმენტებად რომ ირეკლავდა. ნატეხებად ქცეული გამოსახულება დაბრეცილიყო, მაგრამ მის მშვენიერებას ვერაფერს აკლებდა. განა უსამართლობა არ არის, ერთი რომ ხარ და იმაზე მეტ სილამაზეს ფლობ მეთქი, ბარემ ოცდახუთ გოგონას რომ ეყოფოდა, შეგებდე. იგი ნიშნავსავით გაიბადრა, ვარდისფერი ტუჩები გაეპო და კბილების მწკრივმა ჭალის მუქზე თეთრად იელვა. პირდაღებული შევაჩერდი, თითქოს პლატინის უძვირფასესი საბადო აღმომიჩინოს. მერე მისაყვედურა, რომეო, რა დღეში ხარ, სჯობს, ნოტებს ჩახედო, მაგრამ თვალს ვერ ვაშორებდი. ხელზე კოცნა რომ დავუპირე, სწრაფად გამომტაცა და წესიერად მოიქცეო, დამიტია. სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ მეთქი, გამოვუტყდი. ჩემი ხმა ძლივს მესმოდა, თუმცა ვცდილობდი, რიხით განვგრძობ, ჩვენ შორის სიკვდილი თუ ჩადგება, მირჩევნია, ჯერ მე მომაკითხოს მეთქი. ლამის იყო, მეტირა, ის კი ღიმილით მიყურებდა და ჩემი საცოდაობით პირქუშად ტკბებოდა. მერე, ვითომც არაფერი მომხდებოდა, სოლოფეჯიოს ახსნა განავრცო. როზა რომ მობრუნდა, ხომ არ გაბრაზებსო, ჩემზე ჰკითხა. რას ამბობთ, ქალბატონო როზა, ძალიან ბევრით და სათნოების განსახიერებააო. კმაყოფილმა ბებია კომპოტი მოგვართვა. მეგონა, ეს ნეტარი დღეები უსასრულოდ გაგრძელდებოდა, მაგრამ ერთ საღამოს გვაუწყა, ამერიკაში მივდივარო. ნიუ-იორკიდან მოწვევა მივიღე, იქ გაცილებით მეტ ანაზღაურებას შემპირდნენო. ცოტაოდენ ფულს ვიშოვი და დავბრუნდებო, დაიქადა. როზას გული დანყდა, მაგრამ არაფერი უპასუხია. უთუოდ შეილი მოგაგონდებოდა. ამერიკაში იმიტომაც მიდის, თავი გაკაბეზრე და ჩემგან შორს რომ იყოს მეთქი, დავასკენი. იქნებ მამაჩემსაც ეს მიზეზი ჰქონდა. მერე გავიგეთ, ტრაილერის მძღოლს გაჰყოლოდა ცოლად, ტუჩის გარმონზე დაკვირვებით ატაცებულს. ყოფილი კოვბოი მუხლებზე დამდგარა და ცასა და ქვეყანას შეჰპირებია. მერე იმ ტრაილერით დაატარებდა აღმოსავლეთის შტატებიდან დასავლეთისკენ და პირიქით. გადახრუკულ ტრამალებსა და მოშიშვლებული პრერიებში, მაღალი თხემის ჩრდილებსა და ოკეანეთა სანაპიროებზე. მსუბუქ ნიაკს ნევადას მტვერი მოჰქონდა, ისიც ტრაილერს რომ ადევნებოდა ქანთრის ჟანრის მელიოდიების მოსასმენად, ჩემი ყოფილი გულისნორი მხიარულად რომ აუღერებდა. მე კი დიდი ხნით ვიქეცი ნანგრევებად, რადგან სილამაზე ხელიდან დამისხლტა და სევდის მეტი არაფერი დამრჩენოდა.

როზა ვერ ხვდებოდა ჩემი უფუნებობის მიზეზს და დალოდობას აბრალებდა. ერთხელ ექსკურსიაზეც წამიყვანა, ცოტა გულს გადააყოლებსო. მუსიკალური ფაკულტეტის კათედრის პერსონალს დაეპატიჟა და იმედოვნებდა, რომ ჩემზეც კეთილ გავლენას მოახდენდნენ. მგზავრობის დროს ერთთვად მუსიკაზე ლაპარაკობდნენ, მე კი ჩემს უგვარო თითებს ვმალავდი. როზამ შენიშნა და მზრუნველად გადამხვია ხელი. ერთგან ლანდშაფტზე მიმითითა, წარმოშობით აქედან ვართო. მეგონა, სოფელი საერთოდ არ გვექონდა, ამიტომაც ცნობის მოყვარედ გავხედე დამრეც ბორცვებსა და უნაყოფო ხეებს შორის დაფლავდა, სურავებს. ერთხელ იქნებ ჩამოვსულიყავით მეთქი, ვუთხარი. უარის ნიშნად თავი გადააქნია, გეგონება, იქ ბევრი დარბევა ენახა. გული არ მომიწევს, საამაყო არაფერიარო, ჩაიქნია ხელი. როზა ზოგადად მკაცრი იყო. მხოლოდ ფოტოგრაფს უღიმიდა, სურათში მაინც გამოეჩინებოდა ზნეკეთილი და მშვიდობიანი. თავის პიროვნებას ხაზს არასდროს უსვამდა. არადა საზოგადოებაში მიღებული ქალბატონი გახლდათ, მუდამდე ჩემს პიანისტობაზე რომ ოცნებობდა. გული სწყედებოდა, მუსიკაში ჩემი მომზადება ყამირი მინის ამაო ათვისებას რომ დამგვანებოდა. ამ დარგის თეორიულ ნაწილში ხარისხი მასაც ჰქონდა. მუსიკის საწყის ეტაპებზე ჩატარებული დაკვირვებანი ნიგნადაც გამოეცა, რაც დაუფასავს კიდევ აკადემიკოსის ტოლფასი პენსიით, იმ დროში თითქმის გენერლისას რომ უტოლდებოდა. ამიტომაც საკმაოდ შეძლებულად ვცხოვრობდით. თან მამამთილის ფარდულიც ხომ ჩვენ დავგრჩა, რომლის გაქირავებაც შეგვეძლო, მაგრამ როზა ამაყად თაკილობდა, საამისო არაფერი გვჭირსო.

3.

ცხოვრების სიძნელეები მაშინ ვიგრძენი, ბებიანემ ლოგინად რომ ჩავარდა. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, დიდხანს ვერ გაქაჩავდა. ჩემთვის სამყარო მოიქცეოდა, მუქი ფერი კი ყოველთვის მქანცავდა. დაღლილობის განცდას მიჩვენდა, თითქოს თვლემამ მომეროდა. სხვის ფრთებქვეშ შეეყუწვა თურმე თავის დაღწევას ნიშნავდა, მაგრამ ესეც დროებითი ყოფილა, ისევე როგორც არაფერია მარადიული ცისქვეშეთში. მალე საკუთარ თავზე ზრუნვა თვითონვე მომიწინებდა.

ჩვენი უკანასკნელი საუბარი ისე წარიმართა, გეგონება, მიბოდიშებსო:

— ჩემი გააგება არ გეწყინოს. კოლოსაც ყველაზე მწარე კბენა აღსასრულის ჟამს სწევია, სიცივეების დადგომისას!

ამ სიტყვებზე გაღივივითა ჩემთვის მეთქი, შევიცხადე, მაგრამ გამანყვეტინა და კომოდის უჯრაზე მიმითითა, ანდერძი იქ დევსო. რაც გამაჩნდა, ყველაფერს შენ გიტოვებ და ჩემი უკანასკნელი ნებაც გამოხატო. რა დროს ეგვანა მეთქი, ვთქვი ჯავალანით, ის კი შეგონებას მოჰყვა. ნამდვილი შემოქმედი ახალს კი არ გეუბნება, დიდი ხნის დავინყებულს შეგახსენებსო. ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა და განმიმარტა, დიღემა ყოველთვის ამგვარი იყო — ღმერთი და კაცობრიობა, შემოქმედით და ქმნილებად, ბევრი და ერთი. ვინც ერთისკენ მიისწრაფვის, ბევრს უნდა მოსწყდესო. იქნებ გული სწყედებოდა, მუსიკას რომ არ გავყევი. ასეც აღმოჩნდა, ოღონდ სათქმელს შორიდან უვლიდა. კლავიმებს ჩემი მამამთილივით ვერაინ ფლობდაო. ყოველ შემთხვევაში ამ როიალზე მის დარად არავის დაუკრავსო, თვით იმ იტალიელი დირიჟორის ჩათვლით, ვენაში რომ მოღვაწეობდაო. ცოდნა ადამიანს დიდად შეენისო და მისი ხელობა რომ შეგესწავლა, შენ ბედს ძალი არ დაჰყეფდაო. პაპის სახელი ხელს შევიწყობდაო, მაგრამ ნაპერწკალი, რომელიც შენში ზეცას არ დაენთო, როგორ გამეღვივებინაო.

— მე არაფერში გამტყუნებ! — განმიცხადა ბოლოს, — არც შენ დამძრახო. არ ვიცი, ამას მნიშვნელობა ექნება თუ არა, მაგრამ მინდა, რომ ტკბილად მიგოგონებ!

მერე მანიშნა, მარტო დამტოვებო. ოთახიდან გასული ვეგრო, რომ აღმოთქვა, ნივთებს იმისთვის ვყიდულობდი, დიდხანს რომ ჰყოფნოდა, მას კი ყველაფრის გაყიდვა მოუწევსო. მგონი, ატირდა კიდევ. ყოველ შემთხვევაში ასე მომიჩვენა. უბედურება ქვეა-ქუხილს ჰგვანებია, თავზე რომ გატყდება, წვიმის ნაცვლად კი სახეს ცრემ-

ლებით გისველებს. გასვენების დღეს გული ამომიჯდა. სიბერე მეც თვალს ამიხელს, ბევრ რამეს ჩემთვის გასაგებს გახდის და იმასაც მიმხვედრებს, თავის დროზე რასაც ვერ ვიგებდი მეთქი, გავიფიქრე. თითქოს ისლა დამრჩენოდა, იქამდე მიმელნია. იქნებ ყოველი მოქმედება მოსაგონრად ხდება, ძველთა დროთა შეხხიანებად. ტკივილი ზღურბლის გადალახვა და უკანასკნელი სხივებიც მზის ჩასვლას ეძღვნება. განა უფალმა არ გვიწოდა მინის მარლინი, ცრემლებში რომ არის თავმოყრილი, გემო კი ზღვისა დაჰკრავს. სიკვდილი ვინრო წრეში გაშლილი სუფრებიდან დიდ ქორნილში გადააპატიჟებდა უნდა დამგვანებოდა, ყოველ ტკივილს რომ აზრი დაჰკარგოდა და ყოველი სიხარული განვრცობილიყო.

როზა დედაჩემის გვერდით დავკრძალეთ, როგორც თვითონ ინდობა. დირექცია რომ შეგვეწუხებინა, შესაძლოა პანთეონშიც გამოეყოთ ადგილი მამამთილთან. მითუმეტეს, რომ შრომები მასაც შეექმნა ამ დარგში, მაგრამ ანდერძით იქ მიუთითა, სადაც დედაჩემი განისვენებდა. მამამთილს, რომელსაც დიდ პატივს სცემდა, რძალი ამჯობინა, ჩემი შვილის ჭირვეულმა ხანიათმა შენიშნაო. ასე მიაჩნდა, კაცი თუ ცოლის დედატს შეძლებს, სასიკვდილოდაც გაიმეტებსო. მამაჩემი თავისი ობლობის შესახებ ვერც გაიგებდა. მე კი ორი ძვირფასი საფლავი დამრჩენოდა, სადაც რელიგიურ დღესასწაულებზე ვივლიდი ტრადიციისამებრ. საწილებს ნავილებდი, როგორც ამას როზა აკეთებდა. ოღონდ გაცილებით ნაკლებს. მხოლოდ ერთის ჩაქრობას დაველოდებოდი, საფლავზე დიდხანს რომ არ გაეჩერებულყავი. წინათგრძობა მქონდა, ისე მოგვედები, არავინ მომიკითხავს მეთქი.

როზას დაკრძალვას ბევრი ხალხი დაესწრო. კომპოზიტორთა კავშირიდანაც იყვნენ მოსულნი და საფლავი ვარდებით შეამკეს, გარს თეთრი ლენტით რომ ეკრა გამოსათხოვარი სიტყვით. სპარტაკიც შევინიშნე, ყვავილების თაიფალით. მანყვეარი ქალიც იქ ტრიალებდა და ანთილუბულ თვალს ხელსახოცით იმშრალავდა. უბედურების ჟამს ხალხმა მოვარდნა იცის ხოლმე, როგორც წყალდიდობას სჩვევია. ყველანი ისე მისამძიმრებდნენ, ალბათ შემლილივით გამოვიყურებოდი. შენი გულისთვის ცასა და ქვეყანას შევძრავო, მამხნეებდნენ. გული ხომ არ გერევა, ან თავებო ხომ არ გესხმის, წამალს დავალევივითო, განისმობა აქეთ-იქიდან. ის დღე ყურადღების ცენტრში იქნებოდა. ქელენის სუფრის განწყობაშიც მიიღეს მონანილეობა, მაგრამ კერძს გემოზე ეტყობოდა, მზარეულისთვის რეცეპტი ტელეფონით რომ ეკარნახათ და რაღაცები ვერ გაეგონა. როცა როზას მოსაგონარს ამბობდნენ, ფეხზე წამოიშალნენ, ცრემლებამდე მოგვენატრებო, თუმცა ამას ისე ფარისევლურად გამოთქვამდნენ, შაშხანა რომ მჭეროდა, მჭექარედ შევძახებდი, ახლავე შეგახვედრებო მეთქი. მამინე გენახათ მონატრებულთა ორომტრიალი.

ბებიანემის სახელზე ბანიკიდან ერთხელაც დარცხეს პენსია სიმბოლურად, მერე კი მასთან ყოველგვარი კავშირი განყდა. იმ თანხით საფლავის ლოდი გავამზადებინე, დედაჩემის განსასვენებლის რომ მგვანებოდა. მძიმე, გულუზუნად მოვირანაძე ქვამ სევდა მომგვარა. შუაში ყრმათა მფარველი ანგელოზი გამოვასახვინე, ჩვილებს ყორნებისგან რომ იცავდა, კლანჭებით არ აიტაცონო. წყვეტილი ხაზები მოტორტმან ტყის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამ ნამუშევრით როზას მზრუნველობა მინდოდა გამომეხატა მადლიერების ნიშნად.

ერთხელ იქითაც გავემართე, მაშინ ავტობუსიდან რომ დამანახა. შორს ტერასები მოჩანდა. უკან დარჩენილ ზეგნებზე გადამტოვდა გზატყვილი, რომელიც უკვე გამოგვევლო, დროდადრო თეთრად გაივლებდა ხოლმე, თითქოს მიდამოს მართახი გადაუჭირესო. ტერიტორია ბევრგან დაჭაობებულიყო და სიშვევ დაგროვილი ბოლმასავით ფუთფუთებდა. მერე ქობახები გამოიკვეთა და კიდევ დაფხავებულნი ფაბრიკა, უფრო სწორად განაპარტული შენობა, ოდესღაც მოქმედი რომ იქნებოდა და გაბმული საყვირით ეცდებოდნენ მშრომელთა საყვედურების გადაფარვას. რწმუნებულები ხომ სოციალურ პრობლემებს ყოველთვის ჰაიპარად ეციდებოდნენ, მაგრამ ლატაკებს მაინც მათი მორჩილება ერჩიათ გაუგებარ პერსპექტივებს, რო-

გორც შეჩვეული ჭირი შეუჩვეველ ლხინს. ირგვლივ ძხვორციელი არ ჭაჭანებდა. გზაზე მხოლოდ ერთ მეთევზეს გადავყვარე, ხელცარიელი რომ ბრუნდებოდა შინ. ბადეში მწირი ნადავლი, ორიოდ თაკკომბალა მოუჩანდა. ჩემს ყურებაში ცემენტის გროვამი შეაბიჯა. უცებ ვერც გამოერკვა, ისე ამოიგანგლა. თეთრად ავარდნილი მტვერი მზეზე გაბრწყინდა, თითქოს ყვითელი ქსოვილის მოქრული ძაფები ყოფილიყოს. ამ გვარის კაცს სად ვნახავ მეთქი, ვკითხე. ეგეთი არავინ ცხოვრობსო, მომახსალა უხეშად და სამოსის ფერთხვას ფურთხებით მოჰყვა. პირი და თვალედი მტვერი ჰქონდა სახე, თუმცა მე რა შუაში ვიყავი. კითხვაზე, იქით რა არის მეთქი, აღმართებო, ცივად მიპასუხა. მყუდრო მხარე გქონიათ მეთქი, დაუწყავე. განსაკუთრებით წვიმების შემდეგ, აქაურობა წყალს რომ მიაქვსო, ქოხები კი შმოორივით ყარსო, საჭმელზე გული არც მიგივა და პირს ვერც დააკარებო, შემიღრინა უკმეხად. მერე ცოტა მოლბა და ტონი შეცვალა, გაგონილი მაქვს, ადრე იქით ცხოვრობდნენ, მაგრამ ეს სოფელი კარგა ხნის წინ მიატოვესო, ხელი ფერდობისკენ გაიშვირა, გაუჭვირიანსილი ჭმუნვასავით რომ დასწოლოდა. დავემშვიდობე და იქითკენ დავსწივდი. გულის სიღრმეში როზასავით ლატაკებს ვქომაგობდი, უბრალო ხალხს თავგამოდებით რომ ეპყრობოდა. მეც მათ შორის ნაწილი მერჩვენა წარჩინებულებთან ტრიალს. განა დიდებებს რა მნიშვნელობა ჰქონდა. ყველანი უკიდევანო ცხოვრების პირისპირ ვიდექით მატროსულნი. სევდის მიზეზი სადაც სხვაგან იყო საძებნი.

ამ მხარეში მიყრუებული ჩიხებიც ოხრად აღმოჩნდა. ჭანჭრობებსა და ვინრო თემშარებს ჭინჭრისა და სხვა ველური ბალახების სურნელი ეფინა. ჩემს დანახვაზე ორლობის ძაღლებმა ყევა ატეხეს. მე გზას განვაგრძობდი, იქნებ იმ სახლს გადავწყდომოდი, ჩემს წინაპრებს რომ ეკუთვნოდა. მათ შესახებ რამე გამეგო. წარსულის ნიალისკენ ლტოლვა აღმატებულ განწყობას მძენდა. მეგონა, ჩინებულითა გვერდით მოგვისხენებდნენ, მაგრამ ვერავინ მცნობდა. გულცივი დამოკიდებულება ეგებ იმან განაპირობა, თავისი ცხოვრებითაც საკმარისად რომ იყვნენ გაბზრებულნი. კარგა ხანს ვეხეტე მიხვეულ-მოხვეული შარებით მის უგზო-უკვლობაში დასამხნუნებლად. სადაღაც ამ გზებზე უნდა დაფუნებულყო ქვეყნის დასალიერი, ხელოსანთა დასახლებაში, შებათქამებისა და შეთეთრების ოსტატები ბლომად რომ ცხოვრობდნენ და გათხუპვნას შეითხნა ერჩიათ. ყოველ მათგანს პარმალთან გაკრული ხელი ნანენი ტექსტი გაეკრა. ძახილის ნიშნით აღენიშნათ, კვადრატულ მეტრში ამდენს და ამდენს ვიღებო. ფასი საბოლოოაო და ამაზე ნაკლებს მოწყალეობა ერქმეოდაო. წარწერისთვის დიდად გარჯლიყვენ და არც ოხუნჯობა დაეკლოთ. სარკმლებზე ჩამოფარებული დაქნძილი ფარდებიც გაკერილ ჯიბეებს ჰგავდა. ათასი ჯურის ხალხს მოეყარა თავი, სახეზე ისეთი გამომეტყველება რომ აღბეჭდოდით, ვისაც ღიმილი არ შეაცვდა, შეაცვივდაო. აბრებს საღებავი ისე გადასცლოდაო, გეზს მაინც ვერ გაიგნებდი. ერთგან გარდაცვლილს გადავანყდი, გაჩეხილ წარგვების თავჩარგულს. ლოთობისას უმტყუნებდა გული. ფერხითი არყის დაცლილი ბოთლი ეგდო. გამჭვირვალე ჭურჭელს მზე ისე დანათოდა, თითქოს მისი ბრჭყვილით ალაღბედზე აღსრულებულ ცხოვრების წარმოჩენას ლამობსო. ნამოვლა უცებ გადაეწყვიტე, ჩემთვის რომ არაფერი დაეებრებინათ. ვის დავუმტკიცებდი, აქ შემთხვევით რომ აღმოვჩნდი. განა გააფთრებული ხალხი მიზეზის გარკვევას შეუდგებოდა. ისედაც თვალში არავის მოვდიოდი. თურმე როზას რამდენი ეზრუნა ჩემზე, აქაურობას რომ არ მაკარებდა. ტრანსპორტის გაჩერებამდე ქოშინით მივალნიე, თითქოს ფინიშთან უნდა მიმესწრო. მძლოლი ავტობუსს ხანგრძლივად ატრიალებდა დიდ წრეზე, გეგონება, გემი გაჰყავდა ვინრო სრულად. სულ ორიოდ მეზავრი ეჯდა და არ ჩქარობდა, მე კი, გაფთრებული, გული ძალუმ მიცემდა. ერთი სული მქონდა, აქაურობას გავცლოდი. მონოტონურ ზუზუნში როგორც იქნა დავიძარით, გზაში კი მტკიცედ გადავწყვიტე, აქეთ აღარც გამომეხედა.



ნინო მშვიდობაძე

ხმაურმა...
 როცა ყვირიან, ხმაურობენ, დავობენ,
 მე თვალებს ვხუჭავ.
 როცა არ მინდა, გავიგონო,
 მე თვალებს ვხუჭავ.
 როცა ძალიან მენატრები,
 კვლავ თვალებს ვხუჭავ...
 თვალდახუჭულს არ მესმის ყვირილი,
 არ მესმის ხმაური და
 ყველაზე ნათლად თვალდახუჭული გხედავ...
 იანვრის ღამეს ყინვისფერი კბილები მოუჩანს,
 ჩემი თითები კი გაპირიალებას ელოდებიან —
 ძნელია მოლოდინი,
 მაგრამ უფრო ძნელი ის მოლოდინია,
 როცა არ იცი, როდის შედგება შეხვედრა იქ...
 მე თვალებს ვხუჭავ —
 მინდა, რომ შეგხვდე...
 ატმის ყვავილია ჩემი სიყვარული —
 თრთის სიოს ოდნავი შეხებისას,
 მშვიდია ჩემი სიყვარული და
 შემპარავად მათობელა —
 ძველი ღვინოსავით,
 ყველა ფერი აქვს ჩემს სიყვარულს —
 ყველაფერიანია ისედაც და
 ყველაზე ნათელია,
 რადგან მე თვალდახუჭული ვარ.
 სხვა დარდიც არ მაქვს:
 დახუჭული თვალებით ვხედავ...

უპილოზისა

კაპილარებია
 თუ იისფერი მელნის დატოვებული კვალი...
 რა უნდა ჩემს სხეულზე სევდას...
 გავდივარ საკუთარი თავიდან — მემილიონედ...
 სულ მგონია, რომ რაც ხდება, ჩემს მიღმა ხდება
 და მხოლოდ მაყურებელი ვარ...
 შორიდან მიყვარს ყურება,
 შორიდან და მაღლიდან.
 ასე უფრო კარგად ჩანს ყველაფერი...
 რა კაპილარები,
 იისფერი მელანი ჩამელვარა მთელ სხეულში
 და იისფერი ვარ მთლიანად.
 ალბათ,
 ჩემი კვალიც იისფერი იქნება.
 დრო რომ გავა,
 თვალებიდან ყვავილები ამომხვევდებიან...
 მინდა კი ვიქცევი, მაგრამ
 საფლავად — ვერა.
 რა უნდა ჩემს სხეულზე სევდას.
 აქ მხოლოდ სიხარულმა უნდა დაივანოს...
 ჰოდა, ყვავილები ამოიზრდებიან ჩემი თვალებიდან,
 ჩემი მიწადაქცეული ხელებიდან,
 ჩემი მუხლებიდან...
 მერე დაკრეფენ ამ ყვავილებს და ლარნაკში ჩააწყობენ...
 და როცა მინდა ვიქცევი,
 საფლავი არ დაარქვავთ ჩემს სხეულს...
 მე ყვავილებად მოვალ,
 იისფერ ყვავილებად...
 ჩემს კაპილარებში ხომ იისფერი მელანია
 სისხლის მაგივრად...

ლურჯი სისხლი

რა უნდა ქნას ქალმა, როცა მარტოა?
 არც ელოდოს, არც ეძებოს, არც იტიროს...
 ოცნებაც არაა საჭირო.
 იჯდეს და წეროს,
 წეროს ყველაფერზე,
 რასაც ხედავს და რაც ესმის,
 იმაზეც კი, რასაც ვერ ხედავს,
 მაგრამ გრძნობს,
 ქალებს ხომ მესამე თვალი აქვთ და
 სიტყვა: ალღოც მხოლოდ მათი გამოგონილია...
 სისუსტე?
 რატომღაც მგონია, რომ
 ეს საკუთარი სულიერი ძლიერების
 შენიღბვის მცდელობაა მხოლოდ,
 რომელიც თანდაყოლილი არტისტიზმის წყალობით
 მეტისმეტად კარგად გამოუდით.
 ზის ქალი და წერს —
 ესე იგი, მარტოა, მაგრამ არა მარტოსული...
 ვზივარ და ვწერ —
 ქალი ვარ, უფრო სწორად, მარტოქალი,
 არა მარტოსული, არა ეული...
 კენტად როგორ ვივლი,
 საკუთარი თავი ყველგან დამყვება —
 და იმდენია ეს საკუთარი თავი,
 სათვალავი მერევა ხოლმე —
 ხან სუსტია, ხან — ძლიერი,
 ხან — მცინარა, ხან — მტირალა,
 ხან ღრუბლებში დაფრენს და ხან მილოლავს მიწაზე...
 სანერვიც არ მეღვება,
 ქალს სანერს რა გამოუღვება —
 კალამიც არაა საჭირო,
 წამახული თითებიტაც შეუძლია, ამოკანროს სიტყვები:

სულზე, კედელზე, ხეზე, კლდეზეც კი,
 ფურცელზე — თავისთავად...
 ვზივარ და ვწერ:
 იისფერია ჩემი თითები —
 იებად მექცნენ და იმიტომ,
 იებით ვწერ —
 სადარდოს, საამაყოს, სახსნილოს, სამარხვოსაც —
 სინაზეშეპარული მკაცრი სტრიქონებით,
 ანდაც პირიქით —
 მარტოა მარტოქალი და მკაცრია ამიტომ;
 ქალია მარტოქალი და ნაზიცაა...
 მარტოქალი ვარ და ვწერ —
 დედა არ ვარ და დედობას ვიჩემებ —
 ცოლი არ ვარ და უქმრობას შევეჩვიე,
 ოცნებას — ვერა...
 გზაა გრძელი და ვინრო —
 ხან ფრენით გავდივარ, ხან — ცეკვით,
 ვხობავ-მეთქი — ხანდახანაც...
 რას ვცეკვავ და განდაგანას —
 საჩემხასათოა...
 ალღო ქალებმა გამოიგონეს —
 არც მე მალატობს:
 ვიგუზანე —
 თითები რომ მექცნენ იებად,
 სისხლიც იად მექცა და ფურცელზე,
 კედელზე, ხეზე თუ კლდეზეც კი
 საკუთარი ლურჯი სისხლით ვწერ —
 მარტოქალი ვარ:
 არც ველოდები,
 არც ვეძებ,
 არც ვტირი...
 ლურჯსისხლიან სტრიქონებს ვწერ...

სიყვარული ბრამატიკის ნახაზის დარღვევით

მოგირთე შორისდებულებით ხუთივე გრძნობა,
 ვიშ-ით და ვაი-თ დაგიშვებ ალტაცება და მწუხარება.
 პეი-ს ძახილით გადაგიყვანე ყველა ხილზე
 და გაატარე ყველა გზანჯვრილი.
 ცალკე მდგომი თანდებულები მიმატებდა გამოვიყენე,
 მე და შენ შორის შორის-ი დავსვი,
 ჩვენ გარეშე რომ არაფერია.
 თან-ით გატარე,
 აღმართები გადავიარეთ ერთად ორივემ.
 შორისდებულებით მოგიკაზმე ხუთივე გრძნობა
 და ცალკე მდგომი თანდებულები მიმატებდა გადავაქციე.
 შორის დებულები შორის მდებმა შორისად ვპოვე,
 მძიმეს არ დავსვამ,
 ვიშ-ით და ვაი-თ შეგიმოსე ალტაცება და მწუხარება.
 მძიმე სად დავსვა?
 მძიმეებით როგორ გამოგყო?
 მე და შენ შორის მძიმის ადგილი აღარაა,
 ჩვენ ვართ ერთობით.
 ხუთივე გრძნობა მოგიკაზმე შორისდებულებით,
 არ დავსვი მძიმე...

უზამო გომოს ნაჩილი მამას


შემეძლო, დამენყო ამგვარად:
 მომენატრე, მამა...
 მაგრამ ბანალურია და ამიტომ ამგვარად ვიტყვი:
 გამარჯობა, მამა...
 ეს მე ვარ, შენი კნაჭა გოგო,
 მუდმივად გაკვირვებული თვალებით და შავი,
 მოკლე თმით...
 ეს მე ვარ, მამა,
 ძალიან გაზრდილი, ძალიან დაღლილიც და მაინც:
 სიცოცხლის სიყვარულით სავსე,
 როგორც გახსოვარ.
 მე ისევე მჯერა ადამიანების,
 სასწაულების და იმის, რომ შენ,
 მუდმივად ბავშვო,
 ანგელოზებთან ხარ.
 ხომ დამესიზმრე კიდეც ერთხელ:
 ანგელოზებთან ვსვამო.
 მე არ ვიცი, სვამენ თუ არა ანგელოზები,
 მაგრამ ვიცი, რომ შენ იქ ხარ,
 სადღაც,
 ძალიან დიდ სიცისფერეში.
 რა ბედნიერი ვიქნებოდი,
 ცოტათი მაინც რომ გგავდე:
 მეც გადამერჩინა სულში ბავშვი,
 პატარა ბავშვი — მუდმივად გაკვირვებული მზერით
 და ცელქი გამოხედვით...
 მაგრამ მე ძალიან გავიზარდე, მამა, და
 ძალიან დამალა გულგრილობამ...
 ოღონდ ჯიუტად ვცდილობ,
 სიცოცხლის სიყვარული არსად დავკარგო,
 რადგან როდესაც მოვალ,
 ამ სიყვარულით უნდა მიცნო...
 შემეძლო, ბანალურად დამენყო:
 მომენატრე, მამა...
 მაგრამ უმჯობესია, ასე დავინყო:
 გამარჯობა, მამა,
 ეს ისევე მე ვარ:
 შენი ახტაჯანა და კნაჭა გოგო.

აკვდის მონოლოგი

ჩემს დამტირებელს სათქმელს რა გამოუღვებს:
 იტყვის:
 სიცილი უყვარდაო,
 ხმაური უყვარდაო,
 სიცოცხლე უყვარდაო.
 დანახვა რომ შეეძლოთ,
 დამინახავენ, იქვე მდგარი თავს როგორ ვუქნევ:
 კი მიყვარდა, ახლაც მიყვარს-მეთქი.
 ვის გაუგონია, მკვდრები საუბრობდნენ,
 არადა, საუბრობენ,
 არ გვესმის მხოლოდ,
 რადგან საზღვრები დავანესეთ,
 ზღუდეები აღვმართეთ,
 გოდების ზღუდეები.
 სიკვდილსაც არ უნდა ასეთ დღეში ჩაგვავდოს,
 ვერ ვუგებთ, თორემ მასაც ვუყვარვართ.
 თქვენი არ ვიცი და მე მიყვარს...
 ჰოდა, ჩემი დამტირებელი რომ იტყვის,
 სიცოცხლე უყვარდაო,
 სიკვდილიც-მეთქი, ვუპასუხებ,
 რადგან გიყვარდეს სიცოცხლე,
 ნიშნავს, გიყვარდეს სიკვდილიც.
 ჩემი დამტირებელი არც ლოყებს დაიხოკავს
 და არც თმას გაიშლის,
 მშვიდად დამტირებს,
 შესაძლოა, სიცილითაც კი და
 იმ მხიარულ ამბებს გაიხსენებს,
 თავს რომ გადამხდენია.
 ტკივილებს არ გავახსენებინებ,
 ან რა საჭიროა,
 ტკივილებს იქით წავიღებ,
 იქითაც ჩემი ტკივილებით გავიპრანჭები...
 იქაურობასაც შევავლებ
 ჩემს შოკოლადისფერ თვალებს და
 მე რომ მელოდება,
 იმ მარადიულ ბიჭს ხელსაც კი დავეუქნევ:
 მოვედი, დამინახე,
 შემეგებე-მეთქი...
 რა კარგია, რომ იქით მაინც არ არსებობს საზღვრები...
 ჩემს დამტირებელს სათქმელს რა გამოუღვებს,
 იტყვის:
 სიცილი უყვარდაო,
 სიცოცხლე უყვარდაო.
 იქვე ვიქნები და თავის ქნევით დავეთანხმები...

თვალსუქობანა

სხვა დარდიც არ მაქვს:
 ვიჯდე და დახუჭული მქონდეს დაღლილი თვალები.
 რამ დაგლალაო, მკითხავთ?



დაიუსტი
მარი ჩხაიძე

სხეული ჩემი,
როგორც პატარა კენჭების გროვა,
აცოცხლებული ერთმანეთზე
აშენებული ბავშვების მიერ
ქვის კომპივით სუსტად, —
ინვა თავისთვის
ორი ჩიტის გულში.
მე მიყვებოდით მათ ხმებში სიცილს,
როგორც ნაპოვნ მეგობარს.
უფრო შორს წასვლაც შემეძლო,
უფრო მეტი ატმის დაკრეფაც.
არ ცხელოდა,
მაგრამ მწყუროდა,
როგორც ხშირად, როცა მწყურია.
ვიძინებ...
და მიყვარს ხმები,
რომელიც მესმის.

ზუსტად იმდენ ხანს ვიყავი ასე
თვალეზობილი ფანჯარაში,
სანამ ბამბუკის ტყემ,
რომელსაც ქარი არხევდა,
არ შემინოვა,
სანამ ის არ ვიყავი, თავად ვისაც არხევდა ქარი.
ეს ყველაფერი მანამ,
სანამ ბავშვები
ერთმანეთის მიყოლებით გაიღვიძებდნენ,
შემინდებოდნენ,
ხმას უმატებდნენ,
სანამ მე თავიდან ვეცნობოდი ჩემს სხეულს,
ჩემს შიშებს
და ჩემს უცოდინრობას —
უცოდინრობას ყველაფერზე,
რომ ასე — ამ სხეულში, ამ მოცემულობაში,
ამ დაბნეულობაში —
არავინ ვარ
გარდა ამ სტაფილოსფერი ჯემპრისა,
რომელსაც ყოველდღე თვალეზს ვურღვევ,
როცა ჩემს შვილებს პირს ვნმენდ.
ეს ცუდი საქციელია
და კიდევ ბევრი ცუდი საქციელია ჩემზე.
არაფერი განსაკუთრებული.
ჟოლოს კომპოტს ვსვამ
და ვფიქრობ, რომ დავიმსახურე.

დავინახე,
როგორ გაუჩნდა ნაპერწკალი
ხმელი ბალახების გროვას,
როგორ გაღვივდა სიღრმეში და
როგორ ამოფუედა ჟანგისფერი ალი.

ხელზე ჭინჭრის თოკი მეკეთა და მეგონა, ის მიცავდა
ავი თვალისგან,
რადგან კუდიანი ვიყავი.
რადგან ბავშვი ვიყავი და ასე მინდოდა —
უზარმაზარი სტაფილოსფერი კუდი და ხის ფილაქაქა.
და ბოლოს,
როცა უკანვე შეისრუტა ალი ნაცარმა,
როცა თავისსავე ღრმულში ჩაიბრუნა,
მე გავეყვი კვამლს.
რომელმაც მიმიყვანა სიბნელემდე
და ამან მიბიძგა შემეწყვიტა...
წყალთან ვიდექი, სადაც იყო ამოშვერილი
არც ისე მაღალი კლდე
და კლდის ნაპრაღში იყო ხე და იმ ხესთან ჩამეძინა...

თავს ტყვეობაში მივიჩნევი,
სანამ ამოვარდებოდა ქარი,
რომელმაც ფანჯარა
ოთახის შიგნით შექცევა
და ყველაფერი შემოიხიდა.
დაკარგულთა სევდა.
ფეხები კედელს მივაყუდე,
თავი გვერდით გადავნიე
და სახე ცეცხლივით მოვიზგიზე ქარს მივეცი.
მე ხშირად ვფიქრობ,
რა მაჩერებს იქ, სადაც ვარ
და ვარ თუ არა გაჩერებული
ან სად გაჩერდი?
მართლა გაჩერდი?
და ისევ ქარი,
რომელსაც მოაქვს
აორთქლებული ზღვის წვეთები.
თევზების სუნი.

მეგონა, მთელი დღე ვხერხავდი და
ვაპრიალებდი ბამბუკის ქერქებს.
ვჭრიდი და ვანყობდი.
ბოტებს ფოთლებში ვაპრიალებდი,
მათ ჭრაჭუნში იძინებდნენ ჩიტები.
შემდეგ იისფერ ქვაზე ჩამოვჯექი,
რომლებზეც ფეხივით მიჭყლიტეს ბავშვებმა
და იოდის წვეთები ქვის კანში ჩავიდა.
მე ვიჯექი იისფერ სკამზე,
თითქოს მზის სხივი
ყველა ფოთლის წვრილ ყუნწში გაძვრა
და ეს სინათლე კვეთდა ყველაფერს.
ზუსტად არ ვიცი, როგორ დავიშალე სხივებად,
მაგრამ ეს მახსოვს.
თუმცა ამჟამად ორმომი ვარ
და აქედანაც ჩანან ვარსკვლავები,
თანაც უფრო მკვეთრად.

ასეთი ამინდები მიყვარს.
გგონია, რომ ქარიშხალია,
მაგრამ გარეთ თბილი ნიავი თითქოს კაფსულაში გსვამს,
ისე წრიულად დაქრის.
როგორ მინდა, მესმოდეს შენი.
ლიმონის მერქანს ყური მივადე და ხავსებს შიგნით
მთელი სამყარო კრთოდა.

დასაძინებლად მივდიოდი
და ეზოში მთვარეს გავხედე.
უეცრად საიდანღაც შემოსული უთვალავი ღორი
კაკლებს ხრავდა.
იქვე ბამბუკის ჯოხი ავიღე და სათითაოდ მოვიგერიე.
ასე ჩავალნიე ჭიშკრამდე
და სანამ უკან მოვბრუნდებოდი, არხთან დავჯექი.
მანქანები ხეების ჩრდილებს
მარცხნიდან მარჯვნივ ასრიალებდნენ
და ეს ისე მართობდა, ვერაფრით მოვწყდი —
ყველგან მანდარინის სუნი იდგა,
მანდარინის და მოსალოდნელი ზამთრის.

წყალი შეწყდა.
ციტრუსის ბალს ავეყვი და ვილაც კაცი ჯოხით
საკუთარ აივანზე
მანდარინებს შუაზე ხლერდა
და ქატოთი სავსე ვედროში ყრიდა,
რომელსაც შემდეგ ვილაც ქალმა მდულარე წყალი დაასხა
და ეს ორი სურნელი ზურგთან დამენია.
სალამი-მეთქი,
არავინ მიპასუხა.
გადავადგილდებოდი შეუმჩნევლად,
როგორც ნათელ ღამეში ქარი.
წყარომდე მივედი,
მილი დაზიანებული დამხვდა.
შევაკეთე და მოვბრუნდი...

ეს ჩემი არჩევანია —
ასე მივიჩნევ
და, რა თქმა უნდა, მომწონს კიდევ.
სოფლის ავტობუსში ვისხედით.
უკვე ბნელოდა.
ქალები ფოთის სამკერვალოდან ბრუნდებოდნენ,
როცა ჩვენ,
მე და ჩემმა შვილებმა, ხელით ვაჩვენეთ,
რომ გავყვებოდით.

ამდენი დაღლილი ქალი ერთად,
ფანჯარაზე საფეთქელმიყრდნობილები,
მდუმარეები და მომღიმარეები,
ბავშვებივით შეხუმრებულები და სერიოზულები,
სხვადასხვანაირები,
რალაც საერთო საქმით დაღლილები,
შინ ბრუნდებოდნენ.
რამდენიმე კილომეტრი გავიარეთ,
მერე ჩვენც სახლთან ჩამოვედით.
მაგიდაზე ფეხივით კომპოტი იდგა,
ბავშვებმა ცარცები აიღეს და იატაკზე ხატვა დაიწყეს,
მე — დათო ქართველიშვილის ახალი წიგნის კითხვა,
ჩვეულებრივი საღამოა...

ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ არ არის პირველი დაკარგვა,
იატაკზე დავწექი და გავყვი გულამდე,
როგორც მუჭში მოქცეული ჩიტი,
თუკი მას თითებს ოდნავ მოუჭერ,
აღბათ, ეს იყო, რაც ვიპოვე,
მასში კი სევდაც არ იყო ცოტა
და მაინც, რამდენ ფილმში ვარ ერთად?

ძალიან უცნაური დღეებია —
თითქოს ხის მორებზე ვდგავარ,
კი არ ვდგავარ, დავდივარ
და მორები ჩემს ფეხქვეშ გორავს
და სადაცაა, ნავიქცევი.
მე ასეთი რამეები არ მიკვირს,
არც უცხოა და ეგეთები
უბრალოდ სადღაც
მანც...
ჩემი რყევა ყველაფერს აზანზარებს,
ზამთარი მოდის,
ეს იმას ნიშნავს, რომ სოფელში გაჩნდებიან
უფრო მეტად უსახოები, ვიდრე ზაფხულში —
პირქუშები
და იშვიათად, დაინახო ვინმე მომღიმარი
ჩემი ჩათვლით,
ქარი კი მინამდე აწვენს ბამბუკის გადარჩენილ ღეროს,
რომელიც ეკალ-ბარდებმა იხსნა.
მაინც რა უცნაურია ეს ყველაფერი —
მიუხედავად იმისა, რომ არაფერი მითქვამს...

შესავალი

ბოლოს ყველაფერი ტრაგედიაში გადადის. ამ ტრაგედიაში კი ადამიანები ვეძებთ. ჩვენ, ადამიანები, ჯაჭვის ის რგოლები ვართ, რომელიც ალაგ-ალაგ არის განწყვეტილი და არაფერში გამოდგება. ისინი ვერ ქმნიან ერთ მთლიანობას, შესაბამისად, ვერც სარგებელი მოაქვთ.

როცა სხეულის რომელიმე ნაწილზე წვეთის წვეთი დაგეცემა, მოლოდინი გიჩნდება, რომ ინვიმებს, მაგრამ მოულოდნელად მზე გამოდის და გრჩება სიცარიელე, რომელიც იმდენად ცრურება მოაქვს. ნებისმიერი სიცარიელე რთულია: მომენტალურიც და ხანგრძლივიც. თუმცა, ბევრად რთულია ამ შეგრძნების დაინყება.

ერთხელ ნაცნობმა, რომელიც თავს ჩემს მეგობრად მიიჩნევდა, მითხრა, თუ შეატყო, რომ ადამიანები გაპირფერებიან, არ შეიმჩნიო, ასე უფრო გაგიმარტივდება ცხოვრება. დავეუფრე და არ შევიმჩნიე... ყველაფერი გაცილებით რთულად.

მუდამ მეშინოდა იმ ადამიანის დაკარგვის, რომელიც ჩემთან ძალიან ახლოს იყო. ასეთი სიახლოვე ყოველთვის ცუდის ნიშანია. მეშინოდა, რომ ემოციებს ტყუილად ვხარჯავდი ადამიანებთან, ამიტომ ურთიერთობებისგან სიამოვნების მიღება მიჭირდა. ეს, ალბათ, ბავშვობაში გადატანილი ტრავმების ბრალი უფრო იყო, რომელმაც მოგვიანებით იჩინა თავი... მაშინაც მუდმივად რალაცის მეშინოდა და ეს შიში ვერაფრით მოვიცილე.

დრო მოვიდა, საკუთარი შიშები დავძლიე; დრო მოვიდა, საკუთარ თავს პირისპირ შევხვდი და თვალი გავუსწორე; დრო მოვიდა, იმ ყველაფერმა, რაც გადავიტანე, ცოტათი მაინც შემცვალა.

როცა რალაცის გვეშინია, იმ რალაცას ყოველთვის თავს ვარიდებთ, მაგრამ თუ ჩვენ ვხედავთ, რომ აღარ გვაქვს სხვა ალტერნატივა, სწორედ იმას ვაკეთებთ, რისიც გვეშინია.

1.

ცალი ხელით კბილებს ვიხეხავ, მეორე ხელით ვცდილობ, შარვალი ისე ამოვიცვა, რომ არ ავიღებ... ჩამეძინა, როგორც ყოველთვის. დედა, რა თქმა უნდა, სამსახურშია, მამა — კაცმა არ იცის... აბა, ვინ გამალვიძებდა, და მე არ მყავს და — ძმა. ისე, ჯერ ვერ გადავწყვიტე, ეს კარგია თუ ცუდი. ადრე, სოფელში რომ ვცხოვრობდით, სულ მინდოდა, და მყოლოდა. უბნის ბავშვები რომ შევიკრიბებოდით და თამაშით მოვიქნაცვებოდით, მერე სახლში სულ მარტო მიწევდა დაბრუნება. აი, მაშინ ვნატრობდი დას, არც მარტო ვივლიდი და არც სახლში მოვიწყენდი. იქნებ ოჯახიც გადაგვერჩინა, გამიგია, ბავშვი ერთგვარი საყრდენი ხდება, როცა ოჯახი დანგრევის პირას არის მისული. თუმცა, ბავშვმა რა დააშავა, საყრდენად რომ უნდა იქცეს, დასანგრევი მაინც დაინგრევი ადრე თუ გვიან...

მოკლედ, ვიცვამ ამ შარვალს ცალი ხელით და ჰოპ, ვერ გადავრჩი. აღუწვას ვინ ჩივის, ჯაგრისი ღრძილში გავირჭვე და ჩემი ერთადერთი ლიფი ნითელი ღორწკით დავითხვარე. კაცმა რომ თქვას, ან ის ერთი რად მინდა, გოგოს მე არ ვგავარ და ძუძუ მე არ მაქვს... თუმცა, ერთხელ დედამ მითხრა — ძუძუსთავები მკვეთრად გეტყობა და ლიფი ატარე... ძუძუსთავები მაინც მქონია!

პირველი გაკვეთილი გავაცდინე. არა უშავს, მათემატიკა მაინც ჩემი სუსტი მხარეა, ეს ერთი გაკვეთილიც ვერაფერს შემმატებდა დიდი ალბათობით. ხო, ალბათობის თეორია მახსოვს... მეხსიერება კარგი მაქვს, საუბედუროდ.

მანდატური ჩემი ახლობელია, ამიტომ სკოლაში უპრობლემოდ შევდივარ. ისევ მემუქრება, რომ ეს ბოლოა, თუმცა, მე ხომ ვიცი, რომ ასე არ არის. კლასში შესულს ვერაფერს მაშინვეს ნატას გარდა. ნატა ჩემი ერთადერთი მეგობარია მთელ სკოლაში. მე თუ მკითხავთ, მეგობარი საერთოდ არ მჭირდება, მაგრამ ნატა ისეთია, აი, რომ ვერ აწყენინებ... ვერც გავიხარე, ისე დავახლოვდით, რატომღაც ძალიან ვუყვარვარ...

გაბრაზებული სახით მიახლოვდება: — როდემდე უნდა აცდინო გაკვეთილები? — მე მხოლოდ ვუღიმი და ლოყაზე ვჩქმეტ. ის აგრძელებს, — დარეჯანმა თქვა, ეს ბოლო იყო, დამრიგებელს დაველაპარაკები, რომ მშობლები დაიბაროსო...

— დაიბაროს თორე, ისინიც ერთბაშად არ მოაწყენენ!

— გამოცდებს ვერ ჩააბარებ, ლილ! — როცა ასე მომმართავდა, ესე იგი, გაბრაზება დარდში გადადიოდა. ნატა უკვე გვემავდა, როგორ გადავიდოდით ერთად დიდ ქალაქში, როგორ ჩავაბარებდით ერთ ფაკულტეტზე და როგორ საინტერესოდ ვიცხოვრებდით. არაფერს ვეუბნებოდი, მაგრამ ვიცოდი, რომ არც უნივერსიტეტში ჩაბარებას და არც აქედან წასვლას არ ვაპირებდი.

სად უნდა წავსულიყავი?! ქალაქი, რომელშიც ვცხოვრობდით, ძალიან პატარა იყო და ყველაზე მეტად ეს მომწონდა. სინყნარე და სიმშვიდე, რომელსაც აქ ვგრძნობდი, ხასიათს მიყალიბებდა. მეზმარებო-



ნათია კაპანაძე

ბარეუბნის ტრაგედია

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

და, დამენახა ის, რასაც ადამიანები იშვიათად აკვირდებიან. მოვლენები, რომლებიც ჩვეულებრივია და განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავ, რადგან ისინი ყოველდღიურობის ნაწილად იქცნენ.

ურთიერთობის შიში ყველაფერს ანადგურებს. მომენტები, რომლებსაც ბედნიერება უნდა მოეტანათ, ისე ჩაივლიან, რომ ვერც შეამჩნიე. სულ პატარა ვიყავი, დედა საშუალოდ რომ მიდიოდა და მამიდასთან მტოვებდა. ამიტომ იყო, რომ ბავშვობაში მამიდა დედასავით მიყვარდა. მაშინ სოფელში ვცხოვრობდით... ბევრი საინტერესო რამის სწავლა შეიძლება სოფელში, მაგრამ მე ყველაზე მეტად ის მიყვარდა, როცა მამიდასთან ერთად ბოსტანში მივდიოდი... ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე, ჩემის ნაღბა, მე მეველებოდა. გადაბიბინებულ ოხრაბუშს პირდაპირ კვლიდან ვწყვეტიდი და ვჭამდი. საღამოობით მამიდა რალაცებს მიყვებოდა და თუ დედას არ ველოდებოდი, იმ ისტორიების მოსმენაში მეძინებოდა ხოლმე. მერე დედასაც ხშირად ვთხოვდი ამბების მოყოლას ან ნაკითხვას, თუმცა უმეტესად დაღლილი იყო. ამიტომ 5 წლისა უკვე სკოლაში შემიყვანა. დღემდე მთელი სიზუსტით მახსოვს ფრაზა: „კითხვას ისწავლი და შენით წაიკითხავ“.

მართალი აღმოჩნდა, ნიგანი ერთგვარი თავშესაფარი და გაქცევის საშუალება გახდა ჩემთვის. ახალი მისია მქონდა, ნერა-კითხვა უნდა მესწავლა... ამ სიახლემ რალაც დროით მოიცვა ჩემი გონება. ცოტა რომ წამოვიზარდე, მამიდაჩემთან დარჩენის ნაცვლად სახლში მარტო ვრჩებოდი, საღამოს ბავშვებთან საათამაშოდ გავდიოდი, თუმცა, მალევე მბეზრდებოდა და შინ ყოველთვის ყველაზე ადრე ვბრუნდებოდი. ამიტომ იყო, რომ სულ მარტო მიწევდა შინ დაბრუნება. მერე ამასაც მივეჩვიე...

მარტობა მომეწონა, სიჩუმე... ყოველთვის ვფიქრობდი, რომ დედაჩემს ჩემთვის იმაზე მეტის გაკეთება შეეძლო, რასაც მიკეთებდა... ეს ჩემი მხრიდან, რა თქმა უნდა, დიდი უსამართლობა იყო, რასაც დიდი ხანი ვერ ვაცნობიერებდი. საერთოდ, არ შეიძლება მშობლის მიმართ შვილმა უმადურობა გამოიჩინოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საკუთარ სხეულში

მის სიცოცხლეს და საკუთარ ადამიანობას კლავს. თუმცა, ეს მხოლოდ ჩემი აზრია!

მაშინ დედაჩემი 55 წელს გადაცილებული ჭალარაშერეული ქალი იყო, კონტაქტური და კომუნიკაბელური — სულ კარგ ხასიათზე, მაშინაც კი, თუ რამე პრობლემა გვექონდა, არავისთან შეიმჩნევდა. ყოველთვის მიკვირდა, ეს როგორ შეეძლო და დიდი ხნის შემდეგ მივხვდი, ამას ძალიან დიდი ძალისხმევა სჭირდება.

მეოთხე კლასში ვიყავი, მაშინ ჯერ კიდევ სოფელში ვცხოვრობდით, ჩემს სკოლაში ბევრი ბავშვი არ დადიოდა, მთლიანობაში, დაახლოებით ორმოცდაათი ვიქნებოდით. პირველ კლასში ერთი პატარა გოგონა სწავლობდა, ნითური თმა და ღია ფერის თვალები ჰქონდა. ძალიან ლამაზი იყო

რილე იყო. ლიზის საწოლის გვერდით ბაბუამისი იჯდა, მახსოვს მისი შეშინებული სახე, რომელიც დედაჩემს ისე უყურებდა, როგორც ღმერთს, რომელსაც მისი შვილიშვილი უნდა გადაეჩინა...

— ამჯერად მხოლოდ მე ვერ დავებმარები, საავადმყოფოში უნდა წავიყვანოთ. ლიზის სახე მთლიანად გასთეთრებოდა, მხოლოდ თვალების გარშემო ჰქონდა სილურჯები... ამჯერად მხოლოდ მე ვერ დავებმარები — გამახსენდა, რომ დედაჩემი ღამით რამდენჯერმე წავიდა სახლიდან. „დაიძინე, მალე მოვალ“ — დილით კი სახლში მხვდებოდა, ამიტომ მისი წასვლა აღარც მახსენდებოდა. ალბათ ლიზისთან დადიოდა, ანუ დიდი ხანია, ნითური ავად არის...

როცა ეზოში გამოვედი, საბა შევნიშნე, სახლის გვერდით მსხლის ხეზე ამძვრალიყო და იქიდან იყურებოდა.

— მე უნდა წავიდე. ექიმები მოვლენ ლიზის წასაყვანად და მათ უნდა გავყვე. ჭკვიანად იყავი, კარგი?

— დედა, ლიზის რა ჭირს? — ძალიან ცუდად არის, მაგრამ ვეცდებით, რომ უკეთეს გახდეს...

— მალე დაბრუნდება? — დედას აღარაფერი უთქვამს, შუბლზე მაკოცა და წავიდა.

მეორე დღეს სკოლაში ამბობდნენ, რომ ლიზის სისხლის გათეთრება სჭირდა. წუხდნენ მისი და ბაბუამისის გამო. მკურნალობა ძვირი ჯდებოდა, ლიზის კი მხოლოდ ბაბუა ჰყავდა, ის ზრუნავდა მის შემდეგ, რაც ლიზის მშობლებმა შვილი რამდენიმე დღით დაუტოვეს და აღარ დაბრუნდნენ.

მეორე დღეს სკოლიდან დაბრუნებულს ჩემს სახლთან ხალხმრავლობა დამხვდა.

— ლილი, საბა არსად გინახავს? — შეშინებული მომვარდა საბას უფროსი და.

— არა... რა ხდება? — დილით სახლში არ დავგვხვდა, ვერსად ვპოულობთ...

ლიზის სახლისკენ წავიდი, მეგონა, იქ დამხვდებოდა, მაგრამ არსად იყო. რამდენიმე საათი უშედეგოდ ვეძებდით, მთელი სოფელი მოვიარეთ.

— დაველოდოთ, იქნებ თავისით დაბრუნდეს.

— ეგრე აჯობებს... — მაინც ვერსად ვპოულობთ, — მხარი აუბეს მეზობლებმა ერთმანეთს და ყველა მიმოიფანტა.

— დედა, დედა, ნინა დედა რეკავს, საბა მასთან ერთად ყოფილა, არ ინერვიულოთო.

— საავადმყოფოში? იქ რა უნდა, კარგად არის?

საბას დედა დედაჩემს ცოტა ხნით რალაცას ელაპარაკებოდა, მერე გათიშა და გვითხრა:

— რამდენიმე საათში ჩამოვლენ.

— დედა, იქ რა უნდა?

— როგორც ჩანს, დილით გაიპარა, ლიზის პალატაში უპოვიათ... ნინა ჩამოიყვანს.

სახლში რომ მივედი, ტანსაცმლის გადარჩევა დავინყე, ლამაზად დავკეციე და დავალაგე. დედა რომ მოვიდა, ვთხოვე, ტანსაცმელი ლიზისთვის წაეღო...

— თვითონ მიეცი, რომ დაბრუნდება.

მაგრამ ლიზი აღარ დაბრუნებულა...

2.

ჩემი ცხოვრება ფაზლს ჰგავდა. უამრავი ნაწილიდან გამაღებთ ვეძებდი ზუსტად მოსარგებ ნაწილს, რომელიც ყველაფერს თავის ადგილზე დაალოკებდა და ერთ მთლიანობას შექმნიდა. დრო მოლოდინის და იმდენად რეგულაციის გადიოდა, თუმცა ზუსტად არც ვიცოდი, რას ველოდებოდი... მიუხედავად იმისა, რომ ყველაფრის წინასწარ დავგეგმავ მიყვარდა, ნელ-ნელა ვაცნობიერებდი, რაც კი წინასწარ დამიგეგმავს, არაფერი გამომსვლია. სულ რალაც ერთ წელში სკოლას დავამთავრებდი. მერე? არც არაფერი! დავრჩებოდი ისევე აქ, ამ პატარა ქალაქში, არაფერს შეცვლიდი და ისევე ყოველ დღე ჩემს საყვარელ პარკში ვისეირნებდი მთელი დარჩენილი ცხოვრება...

ჯანდაბა! ესეც ხომ წინასწარ დავგეგმავა, თან მთელი ცხოვრების. ესე იგი, სრულიად საპირისპირო ცხოვრება მექნება, რა სამწუხაროა...

ჩვენ არასდროს ვიცვლებით. ყოველთვის გვრჩება ის ძველი ნაწილები, უბრალოდ, ძალიან ცდილობთ, რომ მათ ჩვენი

და სახლში სულ ვამბობდი, რომ მისნაირი ლამაზი შვილი მინდოდა, მყოლოდა.

ნითური შევარქვი. მუდამ ერთი და იგივე ტანსაცმელი ეცვა, ყველა სეზონზე: თხელი ნაჭრის ქუდი; შალის სპორტული შარვალი, რომელიც მინიმუმ ორჯერ დიდი ჰქონდა; თხელი ზოლიანი სვიტერი და ტაპკები, რომელსაც ცხვირები ისე ჰქონდა გაქექილი, მალე თითები გამოუჩნდებოდა. ეს ჩაცმულობა მის პატარა, თხელ ტანს კიდევ უფრო აპათიზავებდა და ბიჭურ იერს სძენდა, მაგრამ სილამაზეს მაინც ვერ უკარგავდა. საერთოდ, ბავშვობაში ხომ ყველაფერს ინტერესით აკვირდები და უფრო მძაფრად აღიქვამ, ჩემს მესხიერებასაც ასე შემორჩა...

პირველკლასელებს გაკვეთილები უფრო ადრე უმთავრდებოდათ, საკლასო ოთახის ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ გადიოდა ნითური სკოლიდან და როგორ მიჰყვებოდა უკან ჩემი მეზობელი საბა. ნითური ჩვენგან ცოტა მოშორებით ცხოვრობდა და ასე აცილებდა საბა ჩუმად სახლამდე. თან აქტიურობი იყურებოდა, ვინმე ხომ არ მამჩნევსო. საბა და ნითური კლასელები იყვნენ, მაგრამ მასთან საუბრის მაინც ვერიდებოდა. საერთოდ, არასდროს დამინახავს, რომ ნითური ვინმეს დალაპარაკებოდა, ყოველთვის მარტო იყო. ფიზიკულტურის გაკვეთილზე სხვა ბავშვებთან ერთად არ თამაშობდა, მინდორზე იჯდა და უბრალოდ უყურებდა მათ.

ერთ დღეს ნითური სკოლაში არ მოსულა. ფანჯრიდან დავინახე, როგორ მირბოდა საბა. ჩანთა გულზე ჰქონდა მიხუტებული და ორივე ხელით ეჭირა. ამჯერად გარშემო არ იყურებოდა, საერთოდ არსად იყურებოდა — ისე გარბოდა. იმ დღეს, ჩემდა გასაკვირად, სკოლიდან შინ დაბრუნებულს დედაჩემი სახლში დამხვდა. ნამლები ყუთით გამაღებთ ეძებდა რალაცას.

— დედა, რა ხდება?

— საავადმყოფოში დავრეკე, დღეს არ წავალ. ლიზი ცუდად გახდა, გოგონას შვილიშვილი, იქ მივდივარ.

მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ ნითურს ლიზი ერქვა... რა თქმა უნდა, დედაჩემს მეც გავყვე. ეზოში მხოლოდ რამდენიმე მეზობელი იდგა, სახლში კი სრული სიცა-

მართვის საშუალება არ მიეცემა. სულ მინდოდა, დედასთან რაც შეიძლება მეტი დრო გამეტარებინა. მამა, უმეტესად, ნასვამი იყო და სხვა არც არაფერი მაქვს მასზე ბავშვობიდან მოსაგონარი. ხშირად ყვიროდა და დედას უწევდა, დაემშვიდებინა. მეორე დღეს კი თითქოს არაფერი, ისე ადგებოდა, ჩაცვამდა და წავიდოდა, ალბათ იქ, სადაც დალევას შეძლებდა.

პირველად ნერვული შეტევა რომ დამემართა, გათიშულ მთვრალს ეძინა. არ ვიცი, რა გამიკეთა დედაჩემმა, მაგრამ იმ დღის შემდეგ ისტერიულად შემინია ნემსის... ჰოდა, მევე მალევე მომიკიდა ნინამ ხელი და ქალაქში გადმოვედი. ადამიანი, რომელიც გამოუდგებოდა სხვაზე ფიქრობს, ყოველთვის მარტო და იმედგაცრუებული რჩება. ასე დაემართა დედაჩემს! როცა შენ სიბზო და სიყვარულს გასცემ, საპასუხოდ კი იმავს ვერ იღებ — იცლები, ცარიელდები. ამიტომ გადავარდა დედაჩემი თავით სამ-უშაოში, რადგან ხედავდა, რომ სხვა არავინ ზრუნავდა ოჯახზე და არც სხვა გზა იყო რამე. თუმცა, ტყუილს ვერ ვიტყვი, მამას და დედას ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, ნინალმდეგ შემთხვევაში, ასეთი ოჯახის არსებობის აზრს ვერ ვხედავ... მაგრამ საკუთარი თავი არ უყვარდა არცერთს, როგორც ჩანს...

ოჯახში როლები გაცვლილი იყო, დედა გვარჩენდა, მამა არაფერს აკეთებდა. ასეთ დროს უმეტესად იმაზე ფიქრობენ, ხალხი რას იტყვის. მით უფრო, სოფელი პატარაა, ყველა ყველას იცნობს და ყველა ყველაზე საუბრობს.

ქალაქში რომ გადმოვედი, მამა უფრო ხშირად სოფელში იყო. თუ ძალიან დათვრებოდა და გააფრენდა, შეიძლება, ფეხით ჩამოსულიყო შუალამისას... ასეთი ღამეები მეზიზღებოდა!

როცა ქალაქში იყო, ის რამდენიმე დღე არ სვამდა, მაგრამ იმხელა სიბრაზე მქონდა მისდამი, მასთან ლაპარაკიც არ შემეძლო. ამიტომ, მოვიკიდებდი ხელს ჩემს ყურსასმენს და საყვარელ პარკში წავებებოდი.

— შეიძლება აქ ჩამოვვდეთ? — სანამ გაბლანდული ყურსასმენის გამოხსნას ვცდილობდი, უცხო ხმა ჩამესმა. ირგვლივ მიმოვიხედე, კიდევ ორ ცარიელ სკამს მოვკარი მახლობლად თვალი. სანამ უცნობს რამეს ვეტყვოდი, ის უკვე ჩემს გვერდით იჯდა და ურცხვად მაკვირებოდა.

— მაპატიე, უსაქმურობისგან მოგაცდინე, — მითხრა ღიმილით, — მაგრამ არა უშავს...

გაოცებული მივჩერებოდი, მეგონა, ვინმეში ავერიე. ასაკით ჩემზე ბევრად უფროსს ჰგავდა, თუმცა, როცა მისი მზერა დაეჭირე, ღიმილისგან თავი ვერ შევიკავე. ისე მიყურებდა, თითქოს ბამბის ნაყინი ვიყავი, ის კი პატარა ბავშვი, რომელსაც ეს ნაყინი ძალიან უნდოდა, მაგრამ მშობლებს ყიდვას ვერ სთხოვდა.

შინ წასვლა გადავწყვიტე. საუბარი დიდად არ მიყვარდა, მით უფრო უცხოებთან. ხუთიოდე ნახევრი მქონდა გადადგმული, ზურგიდან რომ მომადახა:

— მე კაკი მქვია, აკაკი. სასიამოვნოა. მისკენ არ მივბრუნებულვარ, გზა მშვიდად განვაგრძე.

3.

როცა კაკი მეორედ შემხვდა, მარტო არ იყო. როგორც კი შევნიშნე, მაშინვე თვალი ავარიდე. არც თვითონ გამომლაპარაკებია, მხოლოდ ვიგრძენი, როგორ გამომაყოლა თვალი, როცა გვერდით ჩავუარე. ყურსასმენი უკვე მზად მქონდა საყვარელი სიმღერის მოსასმენად, როცა ყურიდან გამომადქრეს... „belle“ — მხოლოდ დასანყისი გავიგონე და ინსტინქტურად წამოვხტი სკამიდან. საერთოდ, მარტივად გამოვდიოდი ნყოფიდან, როცა პირად სივრცეში იჭრებოდნენ. ამას ვერ ვაკონტროლებდი.

— ძალიან სასაცილო ხარ, — მითხრა კაკიმ ისე, რომ სიცილი არ შეუნწყვტავს. ყურსასმენი ხელიდან გამოვგლიჯე და წასვლა დავაპირე.

— დაჯექი, ცოტა ვილაპარაკოთ. — შენ რა, ავადმყოფი ხარ? რანაირად იქცევი უცხოთან?

— ჩვენ ხომ უკვე გავიცანით ერთმანეთი, ლილიენ? მართალია, შენ არც კი დამლაპარაკებხარ, მაგრამ მე მაინც გიცნობ. ცოტა შემეშინდა...

— მართლა რაღაც პრობლემა გაქვთ! კაკის სასაცილოდ არ ჰყოფნია ჩემი გაბრაზება და როცა დაინახა, რომ შემეშინდა,

ნდა კიდევ, უფრო გამხიარულდა. არ მახსოვს, როგორ გამოვბრუნდი და წამოვედი. გზაში ნატას მესიჯი მოვიდა, მწერდა, ხვალ გამოვინახე წავიდეთო. მხატვრობა მიყვარდა, მაგრამ მსგავს ადგილებში მარტო წასვლა მერჩვენა. ვიცოდი, ნატასთან უარი არ გაჭრიდა და პირდაპირ დავთანხმდი.

სალამოს დედას ცოტა თანხა ვთხოვე იმ შემთხვევისთვის, თუ გამოვინახე რამის შეძენა მომიხდებოდა. ზოგადად ფულს იშვიათად ვთხოვდი, ამიტომ კითხვების გარეშე მივიღე თანხა. მანამდე თანხა სოფელში რომ ვცხოვრობდით, მაშინ ვითხოვე. ჩვენს სოფელში პატარა ვედრო-მაცივრებით ჩამოჰქონდა ნაყინი სულიკო ბიცილას და ჰყიდა. ის იმ ერთადერთი მალაზიის მეპატრონე იყო, რომელიც სოფელში გვექონდა და როცა დედა სახლში იყო ნაყინის ფულს ვართმევდი ხოლმე — 45 თეთრს, მერე ნახევარი ნაყინი მისთვის მიმქონდა, რადგან სულ მეჩვენებოდა, რომ საკუთარი თავისთვის ყველაფერი ენანებოდა და გულში უცნაურ ნუხილს ვგრძნობდი იმ ნაყინის ჭამისას...

ნატას შევეთანხმდი, რომ პირდაპირ გამოვინახე ვნახავდი, შემეძლო, ცოტა ადრე წავსულიყავი და ფეხით მარტო გამევილო. არ ვჩქარობდი, მიუხედავად იმისა, რომ ნევიმიანი ამინდი იყო, ნაბიჯის აუქქარებლად მივედი გამოვინახე ჩემი ყურადღება მიიქცია, ვინმე ა.გ.-ს ეკუთვნოდა. უბრალო, შავი ფანქრით იყო შესრულებული, პატარა გოგონას, რომელიც კიბზე იჯდა, ორივე იდაყვი მუხლებზე დაეყრდნო, სახე კი ხელებში მოექცია და დაბლა, სადღაც სიღრმეში, იყურებოდა. მისი თვალები საოცრად სევდიანი იყო და ძალიან ჰგავდა ნამდვილს.

— ეს ტასოა, შარშან დედა გარდაეცვალა, — ჩემს გვერდით კაკი იჯდა და ნახატზე გამოსახულ პატარა გოგონაზე მიყვებოდა. იმდენად ვიყავი ნახატის დათვალერებით გართული, რომ მისი მოსვლა არც შემინიშნავს.

— თქვენ რა იცით? — ჩემი მეზობელია, მე დავხატე, — მითხრა კაკიმ და ეშმაკურად გამიღიმა.

— რა სისულელეა, ამჯერად რა მოიფიქრეთ... ამ დროს ორმოცდაათიოდე წლის კაკი მოგვიახლოვდა, ნაცნობი სახე ჰქონდა, ჩვენს ქალაქში რომელიღაც თანამდებობა ეკავა, თუმცა, წარმოდგენა არ მქონდა, რომელი.

— აკაკი, შესანიშნავი ნახატებია, როგორც ყოველთვის, გილოცავ.

— გამადლობთ, ბატონო გურამ. „ეს რა ხუმრობაა?! შეუძლებელია, ის მხატვარი იყოს ასეთი თავხედი...“ მაგრამ აშკარა იყო, კაკი არ მატყუებდა.

— ამ ნახატს გარჩევენ, ლილიენ. — სიამოვნებით მივიღებ, საჩუქრები მიყვარს.

კაკის უცნაურად ჩაეცინა. მხოლოდ მაშინ გავანალიზე ჩემი ნათქვამი, თუმცა, რა თქმა უნდა, არაფერი შევიძინე.

ნატა ზურგიდან მომეპარა და ჩამეხუტა. სიბზოს გამოხატავს არასდროს ერიდებოდა, მაგრამ მის ფონზე ისე ნამცეცა ვჩანდი, კაკისთან შემეხატო, ამიტომ სწრაფად დავუძვერი მკლავებიდან.

— ამდენი ხანი სად იყავი? — მამას არ ეცალა და სამარშრუტო ტაქსის ჩამოვეყვი, — ისე მითხრა, თითქოს სამყაროს დასასრული ახლოვდებოდა... ლამაზად იყო გამოვინახე-გაყიდა მონყობილი. ნატამ ორი ნახატი შეიძინა თავისი ოთახისთვის და მალევე მობეზრდა, ნუნუნს მოჰყვა ნასვლაზე. დიდხანს ვერ შევაკავებდი, ამიტომ გარეთ გავედით. გარეუბრამდე მივეყვი და როცა წავიდა, უკან გავბრუნდი. კაკი ნახატით ხელში იდგა და მიღიმოდა...

— მეგონა, საჩუქრის გარეშე ნახვედი, — მითხრა და ნახატი მომანოდა. გამოვართვი. მადლობა ისე გადავუხადე, მისთვის არ შემეხედავს, დავემშვიდობე და გამოვბრუნდი.

— მარტო უნდა ნახვიდე? — კი.

მოვდიოდი და ვგრძნობდი, როგორ მომეყვებოდა შორიხლოს კაკი მანამ, სანამ კორპუსთან არ შევუხვიე.

არ შემეშინებია... პირიქით, უცნაური დაცულობის შეგრძნება მქონდა და ჩემი თავის მიკვირდა, რადგან მსგავსი ადამიანები მუდამ მაშინებდნენ, მით უფრო, კაკიმ უკვე ჩემი მისამართიც იცოდა... თუმცა, ვფიქრობ, რომ არ გამომყოლოდა ისედაც არ გაუჭირდებოდა მისამართის გაგება, ისევე როგორც სხვა დანარჩენის ჩემს შესახებ.

4.

ქალაქში გადმოსვლის შემდეგ სოფელში იშვიათად ჩავდიოდი. თუ ჩავდიოდი — მამიდასთან. სახლში მხოლოდ იმ შემთხვევაში მივდიოდი, თუ მამა ქალაქში იყო ან ვიცოდი, რომ სახლში არ დამხვდებოდა.

ძირითადად მატარებლით მივდიოდი და მგზავრობა ცალკე სიამოვნება იყო. მაგრამ ყველაზე მეტად მატარებლით მგზავრობა კაკო პაპას გამო მიყვარდა...

პირველად რომ ვნახე, ბავშვი ვიყავი, ის კი ნაბიჯს ძლივს ადგამდა და მაინც, ყო-

ველთვის, როცა სოფლიდან ქალაქში მივდიოდი ან უკან ვბრუნდებოდი, ჯიუტად იდგა მატარებლის სადგურზე ჟურნალ-გაზეთებით ხელში და იმედის თვალთ უყურებდა თითოეულ მგზავრს.

მე ვიზრდებოდი, მისი ცხოვრება კი არ იცვლებოდა. ჰყიდა ანეკდოტებს, კროს-ვორდებს, სხვადასხვა საინფორმაციო ჟურნალს და ბროშურას. ბოლოს ისე უჭირდა სიარული, მემანქანემ პატარა სამფეხა სკამი მისცა და იმ სკამზე მჯდომი გვხვდებოდა მგზავრებს.

კაკო პაპა 87 წლის ჭალარა, შავ-თეთრ-თვალე მობუცი იყო. შავ-თეთრ თვალე-ბა იმიტომ, რომ ერთი თვალის გუგაზე თეთრი გარსი გადაჰკვროდა და სიშავე თითქმის სულ დაეფარა. ჩია ტანის კაცი იყო, ძალიან ლამაზი ღიმილით. პირველად რომ გამიღიმა, მისი გაღიმებული სახე აღარასდროს დამვიწყებია. ალბათ ასეთი მოხუცები იწვევენ უპირობო ნდობას, იარების მიუხედავად სილამეს რომ ვერ ფარავენ!

დღემდე არ ვიცი, სად იყო მისი სახლი. ვიცი მხოლოდ ის ისტორია, რაც თავად მამამ და რაც მემანქანისგან გამიგონია. ამ ისტორიის მოსათხრობად კი მხოლოდ ერთი მიზეზი მაქვს: არასოდეს დამავინყვდეს ის, რამაც ოდესღაც ჩემზე ძალიან იმოქმედა.

— სამუშაოდან რომ მოვდიოდი, მაშინ მატარებელი ყოველდღე არ დადიოდა, ახალგაზრდა ვიყავი და ფეხით დავუყვებოდი-ხოლმე ლიანდაგებს. საათებს ვანდომებდი სახლამდე მისვლას. ბევრჯერ შუალამეს მივსულვარ და მომლოდინე დედაჩემს ჭიშკართან გადავყრილვარ. იმხანად ძალიან უღარდელი ვიყავი და ამ გზებზე ბევრი მეგობარიც შევიძინე. სოფლის მთელი სიტკობა: რას არ გადავყვარე გზაზე ფეხით მიმავალი კაცი... ასე გადავყვარე ჩემს ცოლსაც. ჩემი ნუნუკა საოცარი გოგო იყო, ყველას უყვარდა. ეჰ, შენ გგონია, ვამეტებ? სიმართლეს გეუბნები. ჩვენი შეხვედრა ბედისწერა ნამდვილად არ იყო, ბედისწერა რომ ყოფილიყო, ერთმანეთს არ უნდა შეხვდებოდით. მაშინ ყველა სოფელს თავისი „ფოსტალიონი“ ჰყავდა. ნუნუს მამაც ფოსტალიონი იყო და ხშირად ეხმარებოდა მამამისს. თავიდანვე არ მოვწონდი იმ „წოთვერანს“. საქმე ისაა, რომ როცა ნუნუკა გავიცანი, უკვე დანიშნული იყო, ოჯახებს მოლაპარაკებაც ჰქონდათ და მალე ქორნილიც უნდა ყოფილიყო. თუმცა ის დრო, რაც დათქმულ ქორნილამდე გვექონდა, ერთმანეთის მიმართ გრძნობების გასაჩენად საკმარისზე მეტიც აღმოჩნდა.

დასასრული მე-13 გვერდზე





ამჩატდა მინა, დამძიმდა ჰავა, დაპატარავდა ტყავი შაგრენის. მე ალბათ ახლა იმ კარს თუ ვგავარ, — რომ შეანგრევენ...

რა სიმალეა, როდესაც გიყვარს (მრუმე თვალეები ისევ იელვებს)... და რა დახვდებათ ამ კარის მიღმა? — სიცარიელე...

ხმა

ეს ხმა. შენი ხმა ისე მყუდროა, თითქოს სახლია ფიჭვის კედლებით, თითქოს არავინ მოდის უდროოდ, ეს ხმა. შენი ხმა ისე მყუდროა...

და მიტევენის ახლა თუ დროა... გისმენ. არაფერს არ გევედრები... რადგან შენი ხმა ისე მყუდროა, თითქოს სახლია ფიჭვის კედლებით...

ამალამ ხელები შავი მაქვს. ხულიო კორტასარი

უიმედობა. ეს დღეები — შავი პეპლები და ულიმლამო ღამეები. ნაძვის წინვები მიმოფანტული გზატკეცილზე, თითქოს ეფლობა ცხოვრების ლაფში ყველაფერი, ხოლო მანამდე შენ გზას ავრძელებ, სანამ ძვლამდე არ დაინვები. სანამ არ დაგძლევენ ბრმა სურვილი, რამე იცოდე, მანამდე მუდამ უნდა ენთო, უნდა იწვოდე... მაგრამ მდინარე, არ ჩერდება დროის მდინარე, მიდის და თითქოს მხრებით მიაქვს მთვარის ნათელი... შენ კი მიდიხარ. და ამაოდ თავს იმძინარებ, თუმც ვინ მიგიღებს ასე დამშრალს და გადათელილს... ცეკვავს დუმილი და რადგანაც შენი გულისზე ფეთქვა ჩაგესმის, თითქოს გულიც გგმობს და გიჩივის... მას, რაც არ არის, ვერც განმარტავ და იგულისხმებ. ვერც შეაჩერებ ამ ყველაფერს, რაც გარშემოა, რადგან ცხოვრება სხვა გზით გარბის ცელქი ბიჭვით...

ქალაქი

არც ფარეხები, არც თავლები, არც სადგომები. მხოლოდ ქუჩები, ნანვიმარი ქვაფენილებით... თუმც აივნებზე ზენრებია გაფენილები, ხედები, რომ მაინც აქ არაფრით დაგედგომება... ხანდახან ატყობ, შენი ტვინის ყველა ბურცობი უმოქმედობის მყრალმა სითხემ როგორ გაგლისა, ისე მარტო ხარ, რომ ვერავის მოისაკლისებ, თვლემს აივნების ბნელ კუთხეში ვილაც უცნობი.... ასეა, როცა ძველ ცხოვრებას სწრაფად შორდები, ან ძველ მეგობარს არც ერთ ტკივილს არ უბნებ... დგანან განუწულ ვირთხებივით გარეუბნები, სარეცხის თოკზე პენუარი, მწვანე შორტები... ვერ დაივინყებ, ვერ დათრგუნავ, რაც შენში არის, ძველი კადრები, ძველი ხმები, ძველი ნაკეთები... ამ დაღლილ ქალაქს ახლა სულში თუ მიაკვდები, ანდა მიხვდები, რომ დაღლილი ხარ ნაშიერი... ამ უგზობის, ამ ბურუსის, ამ სიმყრალესი, დამპალი ჭერით, ძველი ჯინსით, შავი პერანგით და რასაც ფიქრობ, გიბრუნდება ბუმერანგვით და გენატრება ცოტა სითბო, მცირე ალერსი... უნდა გაშორდე, უნდა გაქრე, უნდა გახვიდე, ზღვები გააპო, დაგიფაროს იქნებ ზეცამაც, რა მოხდა, ხელი არაერთხელ თუ მოგეცარა, თუ შეგიყვარდა უძილობა ერთ დანახვითვე... და გესიზმრება თვალახელილს შენი სოფელი, ქილის მინდვრები, ჭაობები, რუხი ყანები, თუ სიკვდილია, ასე იყოს, ვერ გადარჩები შენ ამ ყველაფრის, თუ არაფრის, უარყოფელი... არც ფარეხები, არც თავლები, არც სადგომები. მხოლოდ ქუჩები, ნანვიმარი ქვაფენილებით... თუმც აივნებზე ზენრებია გაფენილები, ხედები, რომ მაინც აქ არაფრით დაგედგომება...

ველარ გაეცევი... არც კი მიგელიან, სახეგადაჭორფლილ მინდვრებს... სარკემ მზის სხივები ვერ მოიგერია, მთლად არ დაიბზარა ვიდრე...

გულიც ასე არის... ჩრდილთა შეხამებით გზებს რომ მიუყვება ტყიანს... ალბათ მალე მოვა თეთრი შეღამება, ახლა — უსაშველო დღეა...

მინა რომ ირევა, ცისთვის ვის სცალია, ცა ვის ენაღვლება მზის მეტს... ნეტავ ვის ვახსოვარ, ან თუ ვენატრები, ანდა მე თუ ველი ვისმე...

გაუგებარია. შენ რა დაგივინყებს, გარდის ნაქსოვივით სადავ... რაკი გელოდები, ასე რაკი ვინყენ... თითქოს „სარკის პორტრეტს“ ვხატავ...

მინა პარმალა... ცა კი ფლიგელია... ყოფა სარდაფისკენ მითრევს... სარკემ მზის სხივები ვერ მოიგერია, მთლად არ დაიბზარა ვიდრე...

სისხირა

რას უსმენ, ფიქრებს თუ რადიოს, ან იქნებ არაფერს არ უსმენ... მშვიდი ხმა გეძახის ნადიო... ნელდება, ცივდება საუზმე...

ხანდახან კითხვასაც დაუსვამ საკუთარ თავსა თუ პროტოტიპს. ხან ფიქრობ, ნერტილი დაუსვა, ხან ფიქრობ, უბრალოდ მოდუნდე...

არავინ, საერთოდ არავინ... დგები და წვალბ და ეჩვევი, თან გჯერა, ვერ გადაფარავენ ამ შიშის ნარსულის ეჭვები...

ხან ხარ და ხან თითქოს აღარ ხარ და თუ ხარ, სხეულშიც შემოდის სიბერე — კანი რომ დატალლა, სიბერე — ასკილის გემოთი...

შიშმა რომ ჩაგხედა თვალეებში, ვით სულის სარკეში... ირიბად... ხანდახან ჯობია, გაეშვა... ხანდახან ჯობია — პირიქით...

არავინ, საერთოდ არავინ... დგები და წვალბ და ეჩვევი, თან იცი, ვერ გადაფარავენ ამ შიშის ნარსულის ეჭვები...

ისიდა

ჩემი სიჩუმე დამტვერილი ნატურმორტია. ამ უდაბნოსგან შენ თუ შექმნი ბალნარს, ისიდავ...

ამ მწუხარებას შენ თუ დაძლე, თუ მიიზიდავ... მკვდარი პეპლების ოაზისად ქცეულ ცხოვრებას.

რაც საამოა, ზოგჯერ ისიც გამახსოვრდება, რადგან ტკივილებს იმახსოვრებს გული ისედაც...

ჭვარტლი მოცურავს, არა ნისლი, არა ისხარი, არა ქარბუქი... მხოლოდ ჭვარტლი თვლემს საზიზღარი...

შენ კი ილიმი მოელვარე ბროლის კბილებით, თითქოს არ გქონდეს გულში სევდა ერთი მისხალი...

ვერ გავერიდე ამ უდაბნოს. ამ ქარტყილებს, რადგან სწორედ აქ, ამ წკვარამში მსურდა, მეხილე...

ჟონავს გულიდან დროის ჟანგი სისხლის მაგიერ, აწვიმს ცრემლები ნილოსის პირს დახრილ ხეხილებს...

ვერ განვებნი ეს სხეული კიდით კიდემდის, რომ მოგეძებნა ჩემი სულის საყდრის კედლები...

ახლა აქა ვარ. გელოდები და გევედრები: მოდი დაფშენილი მარტოობის ლაბირინთებით.

(კარგა ხანია, ჩემი ძალა აღმართს ვერა ხნავს)...

ოლონდ მოდი და ეს უდაბნოც აბიბინდება და დაიწყებენ ეს პეპლები ფარფატს ხელახლა...

მოდი. ჩემს თვალებს შეახსენე ძველი ალერსი, მოდი, სანამ დღე ამ ამღვრეულ ფიქრს შემარჩენდეს...

სანამ ეს ღამე გამომისვამს ყელში ალესილ მთვარის მაჩეტეს...

ვზივარ. ამ სასმისს გამონურულ თმენით ავივსებ, თვალეებს დაკანრავს კოიოტი — ჩამავალი მზე...

და ცის მელანი სამელნეში როცა გაშრება, გადავიქცევი შორი სიზმრის პეიზაჟებად...

ბნელს შეერევა ჩემი ნატვრა — ტბების კამეა, სადაც გზებია... მტკნარი წყლების სიკამკამეა.

გადაეკვრება მრუმე ლიბრი ღრუბლის ზეფირებს... გაფერმკრთალდება. შეერევა ლანდებს ისიდა...

რაც ტკბილი იყო, ზოგჯერ მასაც დავიზიპირებ, რადგან ტკივილებს იმახსოვრებს გული ისედაც...

სიჩუმე მოდის და მეველება გარშემო, თმებზე და ტანზე და მისი საამო სურნელი უცნაურ განცდებით მავსებს...

სიჩუმე ტირის და იცინის, ისე ჟღერს — დამცინებს ვინმე... მეც ვუცქერ — ასე თუ წყვილები უცქერენ სევდიან ფილმებს...

არ ხდება ასე და ამგვარად სხვა სახლში, სხვა ფარდებს მიღმა... სიჩუმე ფეხებში დამყვება, სიჩუმე ქალივით მიყვარს...

დრო როცა გემსხვრევა მაჯებზე და კანზე ნაოჭებს გაჩნევს... სიჩუმე ქუჩაშიც არ გტოვებს, გისწორებს ქუდსა და კაშნეს...

სიცივე. სიცივის მოყვარულ ეგოს რომ გაუნვდი ლუკმას... სიჩუმე მინისქვეშ დაგხვდება — სევდიან სალაშურს უკრავს...

გაქრები და ველარ გაათბობს სამარეს შემა და ნავთი... და როცა სუყველა დაგტოვებს, სიჩუმე გეჯდება თავით...

სიჩუმე ტირის და იცინის, ისე ჟღერს — დამცინებს ვინმე... მეც ვუცქერ — ასე თუ წყვილები უცქერენ სევდიან ფილმებს...

სხვა დღე

რადგან ყველაფერს დაერქვა „ვითომ“, ჩემს გულს — ათასგან გაბზარულ ლითონს — მოვისვრი. სიტყვებს გესლივით ვათხევე, ოლონდაც ეს დღე აღმოჩნდეს სხვა დღე...

იქნებდა ეს დღე სხვა დღე გამოდგეს... არ ჰგავდეს რიგით, ულიმლამო დღეს... იქნებ სიჩუმეს გადავეჩვიო, იქნებ ვიპოვო ჩემი სამოთხე...

სადაც იცვლება ხშირად მოტივი. ეჭვი — მსუბუქი ოქროს ზოდვიით... ან ანგელოზი თეთრი ბუმბულით, წვიმის მოსაწყენ ხმით გალუმპული ინვეს. სამოთხის ვერანდებიდან მკვდრებს რომ ცოცხლები ელანდებიან. უცნაურია, რომ არ დავითვრე, როცა აქა ვარ მეც იმთავითვე.

როცა აქა ვარ დასაბამიდან, როცა გონების დაძაბვა მინდა, შენ გაგისხენებ და გზას ველურთა, დღეს კი დღეებიც გაუფერულდა

და დავემსგავსეთ ცვილის ფიგურებს — ზედაც რომ არვინ აღარ გვიყურებს...

იქნებ ყველაფერს ერქვას სახელი, იქნებ ამ დუმილს ერქვას — ძახილი... იქნებ ავენთო ამ დღეს მზესავით, ოდითგან გულზე ცრემლის მთესავი...

იქნებდა ეს დღე სხვა დღე გამოდგეს... არ ჰგავდეს რიგით ულიმლამო დღეს... იქნებ სიჩუმეს გადავეჩვიო, იქნებ ვიპოვო ჩემი სამოთხე...

სიყვითლე-
სივრცე...
სხვაგვარი ხიბლი
ჰქონია, ცა რომ აწყდება ბექობს,
ტანზე დაგაყრის შრიალი ნიფლის
და წარსულიდან მოგვრილი ექო...

დარჩება სახლი,
ძველი ლოგინი.
ეჭვი — ათასგზის თავს მოხვეული...
და იგრძნობ, რომ სულს
კვლავ ლოკოკინის
თხელ ბაკანივით ადგას სხეული...

შეჩვივის შეჩვივა

დრო გავა.
ყოველი წარსულში დაივანებს.
ვენევი. ვფიქრობ და ჭრიალებს აივანი.

კორპუსის სიმაღლიდან
ვეჩვევი უმინობას.
ჩემშია ყველა შხამი, სიბილნე, უბინობა...

დრო გავა.
ყოველი წარსულში დაივანებს.
ვენევი. ვფიქრობ და
ჭრიალებს აივანი.

ხანდახან ასე ფიქრი
თუ გაქცევს ავატარად...
დღეს იყო მეგობარი.
მიტხრა, რომ ავად არის...

ამიტომ ვზივარ და ვერვინი უმისობას,
არც გული აღარ ფეთქავს.
სადღაა უნისონი...

დრო გავა.
ყოველი წარსულში დაივანებს.
ვენევი. ვფიქრობ და
ჭრიალებს აივანი.

ასე თუ არა, ისე ხომ არის,
ხორბლისფერ კანზე ცა რომ დაწვება...
და მზე — უკვდავი ცის მეომარი —
ივანებს ცრემლით დამბალ ლანგებთან...


ქრება დუმილიც და ვინრო ღრუბელს,
როგორც მკერდს, წურავს ქარის ხელები
და მე, როგორც ზღვის ცისფერი უბე,
სავსე ვარ შენით... და ფრინველებით...

და ისევ მჯერა, რომ ამ სილიან
სანაპიროთა კენტი მთვარე ვარ...
რომ შენი სულის ზღვაც აღვსილია,
და კოვზით მინდა მისი დაღვევა...

მე ვინც მიყვარს — გიჟია.
უპირობოდ გიჟი!
იგი წვება ქვიშიან გზატკეცილზე მაშინ,
როცა ყველას ქალაქში
(პატარიან-დიდიან)
ჩასდგომიათ თვალეში უჩვეულო შიში...
მე ვინც მიყვარს — იცინის
და „ბრეკეტის“ გისოსს
ხვრეტენ მისი კბილები
უქათქათეს ისრით...
თითქოს სიკვდილს დასცინის,
ეუბნება „ბისო“...
და ქუჩაში ირხევა
სისხლისფერი ნისლი...
რეკენ კათედრალური
ნეკერჩხლისფერ ზარებს,
და ბელურის ჟღერტული
ისმის ჩამქრალ ნიშში,

მე ვინც მიყვარს — გიჟია
და მის მზისფერ თვალეში
არასოდეს არ კრთება მარტოობის შიში...
ახლა ფარდობითაა ფერი თმის თუ კანის,
სიყვარული დაადნობს
ხმას და ნიუანსებს,
მე ვინც მიყვარს —
გიჟია და დაღლილი ტანით
ჩემში ყველა მონახავს
შუქ-ჩრდილებით ავსებს...

მე ვინც მიყვარს — გიჟია.
უპირობოდ გიჟი!
იგი წვება ქვიშიან გზატკეცილზე მაშინ,
როცა ყველას ქალაქში
(პატარიან-დიდიან)
ჩასდგომიათ თვალეში მარტოობის შიში...



ლექსაბი ასე არ იწყება

და ლამის პეპელა ჭაღიდან
აფრინდა. ფიქრი ფიქრს მიეწყო —
არ ღირდა...

ის ქალი, ფარდებს რომ აღარ წევს,
რომ აღარ გაგანდოს მზესთანაც,
ამ სევდას ჩვილივით დაარწევს —
შემცდარა.

და მკერდთან შეხსნილი საკინძე
და მკერდში მზის ნატებს გინახავს.
ზამთარს ხომ ისედაც გაუძლებ —
ყინვა ხარ.

დროც გავა, ამბავიც იამბებს.
სიყვარულს მაშინ თუ ისწავლი,
როს ვნებას ძალღივით მიაბამს —
ის ქალი.

ოთახის კუთხეში, სანამ შენ
პეპელას ააფრენ ჭაღიდან.
ის წავა, წავა, რომ გადარჩეს —
სახლიდან.

ამ ამბავს ზღვაზე ან ცაზე, ან
ფანჯრებზე დანერს და გატყდება,
რადგანაც ლექსები ასე არ —
მთავრდება...

გრძელი ლამის ირონიით სავსე ოთახს
შიშის ჩრდილი მხარ-თემოზე გასწოლია...
და წერს ქალი,
წერს კი არა, უფრო მოთქვამს,
რომ შიშები მისი რკინის სანოლია...

დანერს დარდზე, დარაჯობს და არსად გარბის,
უფროთხილდება, უვლის შიშებს და ეს რკინა —
სამხრეები ახალგაზრდა ქალის კაბის...
შიშს — მხრეები და კაბას ქალი წამოსტკივდა...

წერს: ესაა, ქალს ცარიელ სიზმრად რაც გხდის,
შეგაჩვია სავსე მკერდს და დაცლილ მკლავებს,
გაიქეცი, სანამ ვინმე კანსაც გაგხდის,
შიშისმჭამელ ქალებს ისე ხშირად კლავენ...

დანერა და ნაუკიდა ცეცხლი სცენარს,
შიშის თეატრს, სანოლს, სარკეს, ფარდას, ქოთანს,
ცეცხლის შუქზე შეამჩნია შიშისმსმელმა,
რომ შიშებს და ლექსებს ერთი ფერფლი ჰქონდათ...

ნახე, დარდები ყელმოღერებით
ირწევიან და ძალღივით ყეფენ.
როგორც დედოფალს, ნუ მეფერები,
რადგან არა ხარ შენ ჩემი მეფე!

სანამ სამყარო გონზე მოსულა
და სანამ მთვარეს ნახევრად სძინავს...
არ მოდიხარ და იმას,
რომ სულ არ
გადარდებს, მე ვინ მიყვარდა წინათ

არ მეუბნები, რადგან სახადი
სენი ვარ, სულს რომ ჭირვით გიჭამს.
ისევ ყველა ზღვარს გადავლახავდი,
მაგრამ რა ვუყო თვალეების იმ ჭას,

რომელიც მითრევს, ისე უყე ვარ,
ვინმეს თუ ესმის ჩემი ამ ჭიდან.
ახლა არავის აღარ ვუყვარვარ,
ეს სიყვარული როცა დამჭირდა...

სულ ცოტა დამრჩა,
ამოვივსო მკერდთან ლილეები,
გადამეჩვევა სილამაზეც,
აი, სულ ცოტა...
ჰოდა,
გელიან უშენობით დაღვრემილები,
ხელები, როგორც სამოთხემდე მიმავალ ცოდვას...

ახირებული სიზმრებიდან გამოაქციე
გული, რომელსაც ყელში უჭერს
ვენების ქაროზი,
ძალას დაიტანს,
მომინონებს მამა საქციელს,
იცის,
სხეულში გამომწყვდეულ ევას გამოვზრდი,

რომ ვერ ამიხდე...
გამიდის და კიდევ ვიტყვებ...
ბავშვით ვტირი და მოეუხმობ
საშველად მამას,
ჩემს ლექსს კი არ ვწერ,
მგონი, უფრო იმას ვცტიტირებ,
რომ ყველა ქალი ქალია და ერთ მეძავს მალავს...

ამიტომ ვამბობ,
რომ ხარ ცოდეა სამოთხის გზაზე,
არსაითის გზას არ სჭირდება შენი ჩადენა
და, სანამ ისევ მაისია, წვიმებით სავსე,
ამაფრიალე სამოთხისკენ,
ისე მჩაბე ვარ...

ქალბატონებო!

აბა, ის ღამე რა ღამეა, თუ მძინავს მშვიდად,
თუკი სუნთქვაზე არ მაჩნია ავი ზრახვები,
სურვილები თუ არ მოვზიდე მთვარისკენ მშვილდად,
ანდა ის ღამე, ლექსებად თუ არ ვიტაძრები...

ან იმ დღის რა ვთქვი, თუ დინებამ მდორედ წამილო,
თუ ვერ ავდიდდი, ვერ გადასცდა სული ჯებირებს,
ანდა დღე-ღამე რას მიქვია, ზოგჯერ წამიც რომ
არ მენამება! თუ არავინ არ მიზეპირებს...

ქალბატონებო, მივატოვე ძალად სიმშვიდე,
ბედი ბანქოა, ავჩეხე და მერე გავშალე,
აქ დავინახე, წავიკითხე, რასაც მიშლიდნენ
გაჩენის დღიდან, ზუსტად იმას რატომ ვაშავებ...

ქალბატონებო, თქვენც დაწეით თქვენს წილ ღამეზე,
სულ სხვა ვნებაა მისჯილ დღეთა გამოთხოვება!

თქვენს მარტოობას მიუწეით, ქალბატონებო!

დღეს ჩვენი საოჯახო ალბომი დავალაგე,
ჯერ შენ გაგიტანე,
მერე დაჭიანებულნი მტვერი ავიღე
და ჩემი ახალი „ოჯახური“ ფოტოები ჩავდე —
მე და ფარდები,
მე და ჭალი,
სარკეში როგორ ვმთვარდები,
როცა შეშუპებული მხერით
ვუყურებ იასამნისფერ ნახეთქებს
თემოებზე...
მე და გაჩერებული კედლის საათი,
შენ რომ ბრუნდებოდი იმ დროზე,
მალე გათენდება
და
მე და რეცენზია,
რომ არაფერი ახალი არ მითქვამს,
რომ სავსეა ქალაქი გამთენიის ქმრებით,
კედლისკენ გადაბრუნებული ცოლებით
და ფანჯრიდან გადაბერტყილი სტრიქონებით...
ჩემი ალბომი ნაგავსაყრელია —
ლექსების ნაგავსაყრელი,
სავსე დამწუხრებული ნოემბრით,
იასამნისფერი თემოებით,
სარკის მაგიით,
ლირიკას აცდენილი რეფრენებით,
გაჩერებიდან გაჩერებამდე დაწყებული ლექსებით,
რომლებიც (ახალ სიყვარულთან შეხვედრასავით)
გ ა დ ა ი დ ო

და მხოლოდ ერთი მინიმა, რომელიც დაიზეპირეს —
და როცა სულელები გაცვალეთ,
სხეულებმა მოგვიჭირა.
ასე განვიცადეთ პოეტური
ორგაზმი...

დასასრული

ცხოვრებაში დრამატული ამბები ალბათ აღარც ხდებოდა, თორემ პოეტები ხომ ამით დაკავდებოდნენ. ვინაა წარმოაჩენდა გმირული სულის შემართებას. სისულელეების ჩმახვა უბრალოების ხაზგასმად მიიჩნეოდა, რეალობის გრძობას ვინარჩუნებოდა, ხოლო გმირების წარმოჩენა არასწორად გამოიხატებოდა, თანამედროვე ეპოქა მათ აღარ საჭიროებსო. სადმე სასახლე რომც მდგარიყო, მის კრიალა პარკეტზე აღარ გაისმებოდა მაღალ ქუსლებზე შემდგარი დედოფლის აჩქარებული ნაბიჯები და გულიდან ამოხეული განწირული შეძახილი, ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ გმირთან შესაგებებლად, საზეიმო შესასვლელის მაგივრად საკვამური მილიდან რომ მოძვრებოდა სატროსკენ და დაშინით მიყენებული ჭრილობების ნაცვლად სახის ნაკვთები მურით გამჭვარტვლოდა. მედლების ჩხარუნის, ქვემეხთა ზალპი და ჩახმახების გადატენა ბუხრის საჩხრეკის ჩხაკუნს შეეცვალა და ყველაფერი იმედგაცრუებას მოეცვა. ადრე მხატვრები, ზემთაგონების მოლოდინში, გრძელ ფუნჯებსა და გულის ფლაკონებს პალიტრასთან გაამწკრივებდნენ, თითქოს ჭურვებს იმარაგებენო და რაშე ამხედრებული რაინდის გამოსახვას შეუდგებოდნენ, გამარჯვების ამბავი რომ მოჰქონდათ ყიფინით. ახლა კი ყოველგვარი ხმაური მიეჩქმალათ. ასეთი იყო უზენაესი ნება კაცობრიობისა, ღვთის გზას აცდენილი უფსკრულისკენ რომ მიისწრაფოდა ზარ-ზეიმით. არადა გენიალური სტრიქონები ჩირაღდნებით განათებულ დარბაზებში კი არ იწერებოდა, არამედ მრუმე ქოხმახებში ჭრახის მკრთალ შუქზე. რახან სინათლე უკმარი იყო, თვითონ სტრიქონებს რომ ებრწყინათ.

რომ მიეყოლებინათ. ტკბილეულობის გასინჯვამდე ჯერ სირცხვილი უნდა ეჭამათ. სანამ ბაქანზე მგზავრები გამოჩნდებოდნენ, მოღუშული ვუგდებდი ყურს ურიკის მონოტონურ ჭრიალს და განწყობა მეკარგებოდა. მხოლოდ ერთხელ მოვედი ხასიათზე. ოჯახის უფროსი ამბის გასაგებად, ნასულიყო, დანარჩენ წევრებს, ბარგზე ჩამომხდართ, ახორხლო ჩანთებთან მოეყარათ თავი. აგერ, გამოჩნდა! მხიარულად გასძახა ბიჭმა დედამისსა და უმცროს დას და ალტაცებით შეეგება მოსულს, თითქოს ყველაზე ყოჩაღი მამა მას ჰყოლოდა, უცებ

სულ რჩეული ლიტერატურა იყო, ნოტების ჟურნალები, ცნობილ კომპოზიტორთა ცხოვრების ამსახველი ფოტომასალა და აფორიზმებად ქცეულ გამონათქვამთა კრებულები. როცა სიცხებმა დაიჭირა, ხელოსანი მოვიყვანე ჭერის გასაჭიმად. იქაურობა დაათვალიერა და დაბლა ჩავიდეთ, რალაც აქ სული მეხუთებო, შემომჩივლა. საყულო გაიღედა და კალამი მოიმარჯვა. საანგარიშო კომბინეზონის ჯიბეში სდებია. ზეთისხილის ქვეშ ჩამოვჯექით და სანამ ხარჯებს ითვლიდა, მოვერცხვილ ფოთლებს შევეყურებდი. მერე რიცხვების ჯამი

ხომ საჭიროა, ესთეტიკური ტკბობა მეთქი.
— კარგ მუსიკას იქ მოუსმენ! — ხელი რესტორნისკენ გაიშვირა, — მშვენიერი გარემოა, დოლ-გარმონი და რამე, ყოფილხარ?
არაფერი მიპასუხია, ჩემზე წარმოდგენა საბოლოოდ რომ არ წაშლოდა. ორივემ იქით გავიხედეთ, ფილიმონისთვის იქნებ ფილარმონიასაც რომ სჯობდა. ნანვიმარ ასფალტზე ფოთლებით სავსე გუბე იდგა, თითქოს ჭრილობაზე სალბუნი დაეფინათ. ლაფი და ტალახი ხრუმის გროვამდე აღნ-

4.
მერე მეყვავილე დამეთხოვა, სხვა სამუშაო ვიშოვეო. აქ როზას ხათრით მოვდიოდი, ეგ ყვავილები არაფრად მიღირდა, თუნდაც სარეველად ქცეულაო, თქვა. რაკი მის მიმართ პასუხისმგებლობა მომეხსნა, შევეცადე, სხვა ზედმეტი ხარჯებიც შემემცირებინა. ერთი ხანობა მომხვეჭელი ყბედებისგან თავს შორს ვიჭერდი. ისეთი შემართება მქონდა, თითქოს მწვერვალისკენ მივიღებოდი გრიგალთან სასაუბროდ, მერე სხვებისთვის რომ მომეყოლა. მეგონა, ფილოსოფიის ფასეულობას ამ გზით უფრო შევიგრძნობდი. სიმარტოვე უტყვე კედლებს შორის წანწალი ყოფილა, გასასვლელის ძიება ფერადი ვიტრაჟებით აღჭურვილი დერეფანში, გამოსახულება საგრძობლად რომ გახსუნებია. ხეტილი იქნებ იმიტომაც მიზიდავდა, ვგრძნობდი, დავხიბობდი და ღვინოსაც იმ მიზეზით ვეტანებოდი, ოდესმე ველარც დავლევდი. სიბერე მეთვალყურის სუფრასთან მიპატიჟებას ჰგავს, შენთან ერთად რომ იღვენს, მაგრამ უნდაბელ მხერას არ გამოტოვებს.

რომ გაარკვია, მატარებელს სანამდე უნდა გაჰყოლოდნენ და რომელ ტრანსპორტზე გადამხდარიყვნენ. მერე რა, რომ ზოგიერთ მამას თავიანთი შვილები ფეშენ-მანქანებით დაჰყავდათ, გემებითა და თვითმფრინავებით ამგზავრებდნენ. ცხოვრებამ რაც გარგუნა, იმით თუ არ ხარ ბედნიერი, ვერც ზეცა გაგრძობინებს სიტკბობებს, ვარსკვლავები ნამცხვრებადაც რომ იქცეს და ღრუბლები ბეზეებად.

მიჩვენა, სამი წლით რომ იყო გამოსახული და დასძინა, ეს მასალის, ახლა კი ჩემი ხელობის საზღაურსაც ჩავიდეთო. ჭერის გაკეთებას შეენირა საძინებლის ჭლი და კედლის საათი. საკომისიოში ყველაზე ძვირად ეს ნივთები ჩაიბარეს. ყველაზე ძვირია, ფარდული შეარემონტე და ადვილად გააქირავეო. მოშორება მერჩია, რემონტს თავს ვერც მოვბამდი.

ევდა, იმ სახელგანთქმულ რესტორანთან ზვინად რომ იყო ახორხლილი. ეტყობა, შენობის გაფართოებას გეგმავდნენ. რამდენი ფილიმონისთანა მიაკითხავდა, სიცოცხლის ყველაზე მნიშვნელოვან სიტყვებს ყოველთვის დუქნებში რომ წარმოთქვამს. ლოთობა ხელს არ უშლით ინტელიგენტობის შენარჩუნებაში, ხოლო როცა ჰალსტუხს ინსკვამენ, სახეზე ხარვეზთა აღმომფხვრელის უზადო გამომეტყველება აღებეჭდებათ ხოლმე. მერე ფილიმონი წუნუნს მოჰყვა, ზოგადად საკვები აღარაფრად ვარგაო.

5.
ბოლოს ბინის გაყიდვა გადაწყვიტე, თვითონ კი ფარდულში გადავბარგდი. სასტუმრო ოთახის ფანჯარას, სადაც როიალი გვედგა, ისე ავეყურებდი, თითქოს პაპაჩემის უკანასკნელი განცდები უკეთ მსურდა შემეგრძნო. ჩემი ახალი სამოსახლო სასახლის ეზოში მდებარე ნანგრევებით გამოიყურებოდა, საერთო ხედს რომ აფუჭებდა და ამ მიზეზით ოდესმე მინასთან გაასწორებდნენ, მაგრამ სასახლეს თვალს მაინც ვერ წვეტდა, თითქოს ჩრდილში შეყუყული მზის მშვენიერებით ტკბებოდა. ბინას რაც შეეხება, ერთ მეღებარეს მივყიდე. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე გამეცინო. მერე აღმოჩნდა, რომ გადამყიდველი ყოფილა. ფილიმონი ერქვა. სასტუმრო ოთახში შემოვიდა თუ არა, დაეჭვებით აიხედა ზემოთ. მერე როიალს დააკვირდა და მკითხა, ჭერს რა ჭირსო. მხრები ავიჩიქე, მაგრამ რას გამოაპარებდი. რახან ამქვეყნიურობას უძღვნა თავი, ჭვრეტაც ამქვეყნიური მისცემოდა. ვინც რაში იმარჯვა, იმითვე დაჯილდოვდა. დარწმუნებული ვარ, ჯვარცმის იდუმალებას არც განიცდიდა. თანხაზე რომ მოვფიქრებდი, შემევაჭრა და დააკლენიდა. თან ცოტაოდენი დამაკლო კიდეც. ერთხანს მაცალე და დავფარავო. როიალსაც ხომ არ შეიძენდი მეთქი, შევთავაზე. ამაზე გულიანად იცინა, როგორ გამამხიარულე, კარგა ხანია, ამდენი არ მიხალისიაო. თან თავის კლავიშებით მსხვილდა კოტლითა თითებს მუცელზე იტყაპუნებდა.

— ჩვენმა თაობამ ჩვენი უკვე მიირთვა! აი, თქვენ კი რალას მიირთმევთ, ეგ აღარ ვიცი! — ეს აზრი ნონისმოგებით გამოიხიარა, მხერას კი მანამ არ მამორებდა, სანამ ჩემს თვალებშიც არ ამოიკითხა ღრმა დაფიქრება მწუხარე რეალობაზე.
— ყველაფერმა გემო დაკარგა. იმ დღეს ფარში ვიყიდე. მშვენივრად გამოიყურებოდა, თუმცა არაფრის გემო არ ჰქონდა და ნაგავში გადავყარე. სოფლად ბიჭებიც ცხოვრობდნენ ტყისპირას. ლორების კოლტი ჰყავდათ და ტყეში გარეკავდნენ ხოლმე დილაობით. რკო, ნაბლი, ნიფელი, ჭია-ლუა, რა გინდა, სულო და გულო, რაც იქ არ იყო. ლორებს სირილი უწევდათ. ამიტომაც იყვნენ გამხდრები და ხორციც გემრიელი ჰქონდათ, — მერე მკაცრად გამომხედა. შენიშნა, რომ არ ვამთქნარებდი და ჩათვალა, ყურადღებით მისმენსო, — მსმენია, ნაგავსაყრელზე გაზრდილი ღორის ხორციც გემრიელიაო. ალბათ ასეც იქნება, რადგან არჩევანი დიდი აქვს და რაც სიამოვნებს, იმას უტყამს. პლასტმასას არც კი გავკარებ...
ფილიმონი მთელ თავის ინტელექტს კვებაზე მსჯელობის დროს ავლენდა. წვრილმანსაც ისე გულმოდგინედ ეკიდებოდა, თითქოს ჩარხთან მდგარიყოს. თანაც ტრახახობდა, როგორც დაინტერესებული პირებით გარემოცულთ სჩვევიათ. კაცის მთავარ ღირსებად ის მიაჩნდა, თუკი ღვინოს ბლომად ყლურწავდა.

მაღლე უკაპიკოდ დავრჩი. კომოდის უჯრები იმ იმედით მოვჩხრიკე, რაიმე თანხას ნავანყდებოდი. როზას მართლაც გადაენახა ცოტაოდენი, მტრედებით მოხატულ ტილოს ქვეშ, სარკესთან. იმ ფულით კაზინოში ვცადე ბედი და უშალ გავფლანგე. ადვის წინამძღოლმა მკაცრად გადმომხედა, ხოლო შავი სათვალისგან დამცინავი მხერა გამოსჭვიოდა. როგორმე სხვა გზას უნდა დავდგომოდი. ჩემთვის ისედაც ბევრს არაფერს ვხარჯავდი. დასანაყრებლად ბრინჯის ფაფაც მყოფნიდა, თუმცა ცოტაოდენი მაინც უნდა მეშოვა. ერთი ხანობა მზიდავობა ვცადე, მაგრამ ეს საქმეც უყარათო აღმოჩნდა. საშოვარზე გასული გვიანობამდე ვიკარგებოდი. ეზოს კარიბჭის ჭრიალი ძილისწინა ჰიმნად მექცა. ურიკა, რომელსაც დავათრევდი, სარდაფში გათავსებული სანყობიდან გამომყავდა. ორი სართულით შემოთ მბეჭდავთა ოფისი მდებარეობდა. ჯერ მუდარით მოხოვდნენ, შუადღისას მათთვის საჭმელი მიმეტანა, მერე ისე შეეჩვივნენ, მკაცრად მოითხოვდნენ, გვეგონება, მათ წინაშე ვალდებულებად მქონოდა ნაკისრი. საქმეს არ უნდა მოვცდებო, იმიზეზებდნენ, ამასობაში კი სულ გაზარმაცდნენ. მზარეულები ჩემ დახმავაზე ხითხითებდნენ, აბა, ჩქარა, დაფაცურდით, დავრდომილ ქალთა მსახურმა მოგვაკითხაო. სადამოობით, მატარებლების მოსვლის ჟამს, ძირითადად ვაგზალზე ვტრიალებდი. ყველა ყალთაბანდი ჯიბგირი გავიცანი, სახელგატყბილებს თავიც

როიალი რაში გამომადგება? — სული მოითქვა და მკაცრად განმიმარტა, — ისედაც ქვეყნის ადგილს იკავებს უქმად!
— ჰო! — აუბი მხარი. თავი მართალი ეგონა და ვერ შეედავებოდი.
— სჯობს, მანდ ღვინის ბოცები დავანყყო, ადგილი ფუჭად არ მოცდება! — დინჯად გამიძლია ჩანაფიქრი, თითქოს გრანდიოზულ გეგმას მიმხელსო. მერე მითხრა, ფარდულის გაყიდვას თუ გადაწყვეტ, აუცილებლად შემეხმინე, ეგ ფართიც დამჭირდებაო.
მე თავის მართლებას მოვეყვი, მუსიკაც

მაღლე გამიშინაურდა, თანხას სანამ სრულად არ დავფარავ, შეგიძლია მოხვიდე ხოლმეო. ეს ისეთი ტონით მაუწყა, მერე თვალთ აღარ დამენახო, იგულისხმა. სახეზე ცბიერი ღიმილი დასთანამებდა. ცრუ სიტყვებს ყალბად აყალიბებდა და ყრუდ წარმოთქვამდა. ოთახი, სადაც როზა ლოცულობდა, დალუქა, ჯერჯერობით არ დამჭირებო. მერე ალბათ ბოცებითა და თიხის ჭურჭლებით გაძეგავდა. როცა სახლის გასაღები გადავიცი, ბროლის ვაზაზე მიმითთა, იქ ჩაავ-

დეო. მიხვდები, არ სურდა, ჩემს მახინჯ თითებს გააკარებოდა.

რახან როიალის მუშტარი ვერ ვნახე, შესაფასებლად კლავიშების ამწყობს დავეუკავებოდი. მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი იყო, ერთხანს ზედ თითებს რომ ატყაპუნებდა. ბოლოს თავი გადახანდა და საკუთარი უნდობლივად გადაიქცა, ეს რა დღეში ჩავიგდითო. არ ვიცი, ამით თავისი ხელობის თამაშსა სურდა აენია, თუ რა მიზეზით გაცხარდა, მაგრამ დიდხანს კი ბურტყუნებდა, ძალიან დაზიანებულია. ნებისმიერი ამწყობი, ბევრი ფულიც რომ შეაძლიო, ფუჭად მოცდებო.

— ნუთუ ბათქაშმა ხის სქელ ფენაშიც ჩააღწია? — გავიკვირე მე.

— საფარი ერთი შეხედვით გამოიყურება უხეშად, მაგრამ სინამდვილეში ფაქიზი მასალისგანაა დამზადებული, ბგერის ჟღერადობის შესანარჩუნებლად! — ისე ლაპარაკობდა, გეგონება, მომხდარს ჩემზე მეტად განიცდიდა. ბოლოს მირჩია, მეჯარეთეს დავკავებოდი. ეს ნათქვამი ჭკუაში დამიჯდა. რაც ხისა იყო, მეტუხრეს მივყიდდი, რაც რკინისა, ჯართში ჩავაბარებდი. სპილენძს ცალკე შემსყიდველს მოვუძებნიდი. ცოტა იქნებოდა, მაგრამ მეტს გადაიხდიდნენ. ან სულაც ხელობაში გამოვუქვითავდი. თანხაზე ხომ მაინც უნდა მოვრიგებოდი. ლითონის კორპუსი ათასი ჯანჯიკით იყო დამაგრებული. მერე ვილაც ბასკა ახსენა, აუცილებლად დაგაკავშირებო. სპილენძზე ჩაღირობს და შენგან სარგებლით ნაიღებოსო.

— ერთი ჭკუანაკლული ბიჭია, ნუთუ არ იცნობ? — მისმა გულწრფელმა მზერამ ცნობისმოყვარეობა და სიბრაღული ერთდროულად გამოხატა.

— არ ვიცნობ! — უპასუხე გულწრფელად და სინდისის ქვეფხითი.

— ნუთუ?! — აღმოთქვა ეჭვით დაზაფრულმა და გამომცდელად ჩამამტერდა თვალებში, თითქოს რახან ჭკუანაკლული იყო, აუცილებლად უნდა მცოდნოდა.

ბასკა მართლაც უცნაური ვინმე აღმოჩნდა. ყოველი მორიგი დღის გადალახვას ცხოვრების ტალღებში შეუჭრვად მიიჩნევდა. როიალის სანახავად საღამოს მეტყუარა. ნახვლისას კი თქვა, რახან მზის ჩასვლას დაბნელება მოჰყვება ხოლმე, ამ პროცესს მზის ჩასვრა უნდა ეწოდოსო. მერე თავის ნათქვამზე თვითონვე გაცივდა. როცა დამშვიდა, განაგრძო, მე ძირითადად სპილენძით ვარო დაინტერესებული, მაგრამ რკინის ნაწილებსაც დავაძრობო. ჩამბარებლის ტელეფონსაც ჩავაგერიებ, ან თუ გინდა თვითონვე მოვურიგებო. სპილენძის სიმებს შენ გაატან მეთქი, შევპირდი. ლითონის მავთულზე სქელ გრაგნილად იყო დახვეული და მისი გამოცვალკეებელი მაინც არ ვიყავი. ცნობისმოყვარედ მომაჩერდა ბრიყვივით პატიოსანი მზერით. კარგო, დამთანხმდა ბოლოს, მაშინ ფული აღარ იქნებო საჭირო.

დილით ფარულზე მომიკაკუნა და ჭრიალა კიბეს ზღაზღვით ავეყვით, როგორც ოდესღაც ამას მეხსტრო აკეთებდა. ახალ მეპატრონეს კარი ღია დაეტოვებინა. ზამბარებიანი სანოლი აივანზე გაეტანა და თაკარა მზეს მიფიცხებული მომაკვდავივით ხვრინებდა. ისე ხრიალებდა, გეგონება, სახრჩობელა ესიზმრებო. ამგვარი ძილქუში სიკვდილის წინ თვალის მოხუჭვას ჰგავდა, მცირე ხნით ჩათვლემას ხანგრძლივი მგზავრების წინ. ძირს ცარიელი ბოთლები ელაგა, ერთი კი ნაქცეულიყო. ეტყობა, იქვე ექვითა. დაცარილებულ სახლს ვეღარც შეატყობდი, აქ ოდესღაც როზას რომ ეცხოვრა და როცა როიალიც განადგურდებოდა, ცნობილი დირიჟორის კვალიც ნაიშლებოდა სამუდამოდ.

ხმაურზე ფილიმონმა თვალი გაახილა და ეს ვინ არისო, ბასკაზე მკითხა. როიალის დიდი მცოდნეა მეთქი. საკრავებში კარგად ერკვევაო? ერთადერთი ხმოვანი ნარმოვთქვი, მაგრამ რკინიგზის რელსივით კი გავწელები — ოოო! — დამატებითი ახსნა რომ აღარ დამჭირვებოდა. რამე სერიოზულს ხომ არ ჰყიდისო, დაინტერესდა, თითქოს შესყიდვა მორიგ ჩათვლემამდე უნდა მოეხსნო. გამოვსწორებული ვაჭრუკანას გეში ჰქონდა. მიხვდა, აქედან რომ არაფერი გამოდნებოდა და გვერდი იბრუნა. ხმაური ხელს ხომ არ შეგიძლია მეთქი, დავადევნე ზრდილობიანად. პასუხად გაურკვეველი ბგერები აღმოხდა და ჩაეძინა.

იმ დღეს ვიხილე როიალის სასტიკი მტრევეა. უფრო მეტიც, მონანილეობა მივიღე

მასში, ყველაზე მელოდიურ აღსასრულში, რომელსაც ოდესმე შევსწრებივარ. ყოველი ჭანჭიკის მოშვება უცნაურ ბგერას წარმოშობდა, თითქოს უახლოესი ხედვის სიმფონიურ კონცერტზე ვიმყოფებოდი, ლაკონურიობა ყველაზე არსებითი რომ გამხდარიყო. მარტო ამ ხმათა გაგონებად ღირდა ეს უმოწყალო ახილება. ჭემმარტო შედეგითა ფრაგმენტული გადმოცემა, დიად წარსულთან გამოთხოვებად ქცეული ბგერები. ჩინეთის იმპერატორის კუთვნილი ფაიფურის მსხვერვა. მომთაბარე დერვიშის მიერ ტილოს ჩამოფხრენა ეგვიპტის დედოფლის საძინებლიდან, თვით კლევოპატრას გამიშვებებს რომ შესწრებია. ჭანჭიკების ამოხრახნა მყვინთავეების ყრუ ხოხვას გამოხატავდა, ოღოროლოდ ფსკერზე პირდაფრენილი ნიჟარები ძვლების გროვას რომ დაამსგავსეს, რომ მოპოვებულ მარგალიტს უკუნშიაც ებრჭყვიანდა, თითქოს უჩინარ მზეს ირეკლავსო. შავი შეფერილობის ბერლინურ როიალს გარდასულ აზრდილთა მთელი გალერეა შეეყარა ოთახის მწუხარე წყვილადმი და სანამ ეს სრულყოფილება უმოწყალოდ ნადგურდებოდა, ბასებს და ბანებს დანანვერებულ ოპუსებად აღვიქვამდი. წყვეტილი ჰანგებით ვცნობდი დიად ხელოვანთა ხელწერას. აქ იყო ვენის კომპოზიტორთა მამამთავარ ჰაიდინის სიფაქიზე და ბრამსის მიუნგლომელი რომანტიკა. დიადი მოცარტი ზეცურე ზეიმით და სევდის ფსკერითა თაფლივით. ჯადოქარი შოპენი და ბობოქარი ბეთჰოვენი. ფაქიზი ნიუანსებით დატვირთული ლისტის და დამანგრეველი რიტმის გამომგონებელი მოსტაკოვიჩი. დიდოსტატი შტრაუსი ლალი ვალსით. ვაგნერი განუხმირებელი კომპოზიციითა და მარშლებისმოთვის განკუთვნილი დიადი მარშით. ვერდის აიდაც აქ იყო და პუჩინის ტურანდოტიც, ხოლო როცა პოლიფონიის საფუძველი — ბახიც გააღერდა, მიხვდები, რომ საკონცერტო ინსტრუმენტი ჯერაც ინარჩუნებდა მეფურ ხმოვანებას. ბგერების ეს ერთობლიობა სამყაროს დარ მრავალფეროვნებას ქმნიდა და ყოველი დიდი ხელოვანის მცდელობა, ის კარიბჭე შეელო, აღარაფერი დარჩენილიყო აღმოსაჩენი, უსასრულობის გაზომვის უზადრუკ სურვილს ემსგავსებოდა მეტრიანი სახაზავით, რადგან ამგვარი გაღწევა ამონურის ნაცვლად ახალ პერსპექტივებს წარმოშობდა.

მაგრამ ამ ზეიმმა ჩემი მონანილეობის გარეშე ჩაიარა და პირველად დამწყდა გული, როზას სათხოვარი რომ არ შევისმინე. ბასკამ, რომელმაც როიალი დაშალა, სინამდვილეში ყველაზე შთამბეჭდავი რომანსი შეასრულა. ჰაერში მიმოფანტული ბგერები მომაკვდავი გედის სიმღერად აქცია, სევდით რომ მავსებდა და ისე განმანწყობდა, თავი სიმართლისთვის მეძღვნა, საყოველთაო განსჯის ფამს სიცრუეს რომ არ დაეყვდრებინა, ყოველი დღე, როცა ჩემი დახმარება დაგჭირდა და საშველად მიხმე, მე მეკუთვინისო, პასუხად კი ხმა ვერ გამელო, რადგანაც თუკი უსამართლობის ზეიმს დამასწრეს, თავჩაქინდრული უნდა ვმდგარიყავი. ვნატრობდი, ნეტავ როზა გვისმინდეს მეთქი, გულისტკივილით რომ ამტკიცებდა, ამ როიალზე ყველა მნიშვნელოვანი რეპერტუარი უკვე შესრულდაო. მაშინ ხომ თავის აზრს გადააქვამდა და მარადიული სულის ამბოხის აღიარება მოუწევდა, არავინ რომ არ იცოდა, ამ თვისებას როდის გამოავლენდა. ვინც მზისკვეთს ისწავოდა, დღეს განავრცობდა და ბრძოლისთვის მეტ დროს იზოგავდა. სულის ამბოხი იქნებ სწორედ ეს სწრაფვა იყო, საკუთარ თავზე რომ გამარჯვებინებს, თუმცა უმეტესწილად მარცხდები. მაგრამ მაინც განაგრძობ, ბაგებზე ტკბილი გემო რომ დაგრჩეს. ჩვენ ხომ სულის თვისებებიდან მხოლოდ ამ სიტკობების შესახებ გვსმენოდა. უცებ ბევრი რამ მომაგონდა. მეხსიერება მწირი ხარაჩობით აღკაზმულ სცენად მექცა, ჩემთვის ახლობელი მოქმედი გმირებით და ცრემლები მომერია. მერე გულიც ამომიჯდა. ბასკა სიბრაღულით მომჩერებოდა, ასე თუ განიცდი, ახლავე შევწყვეტო. ვანიშნე, განაგრძე მეთქი. ერთხანს მაინც დაეჭვებით მიყურებდა. მძიმე საპალნეებით უფრცხვს უდაბლოს ზანტად გადაამლახავი მექარავნის დადლილი მზერა ჰქონდა, ამდენი წვრილმანი რომ არა, უკვე სამშვიდობოს ვიქნებოდიო. ბოლოს ქანჩით უგრძესი ძელი აავლიჯა, რომლის ჟღარუნი ტაატი მიილია და როცა პავანინის უკანასკნელი სიმიც განწყდა, ჯართის ჩამბარებულს გუხმით.



ლერი ზივზივაძე
ფრენია

კ, კ-კ, კ-კ, კ-კ, კ... შუა ღამით საშინელმა სიზმარმა გააღვიძა და ფლოქვების თქარა-თქურმა წამოაფრინა ფეხზე. გუშინაც მთელი დღე მოსდევდნენ, მაგრამ ახლად რაღამ გააგვიყათ, ამ დამეს?! ასე ხმამაღლა მათი ხმა პირველად გაიგონა. სიკვდილის ქარმა დაუბერა კეფაზე. შემფოთებულმა თავისი გაფხვიკინებული ვირი სწრაფად შეაღვიძა, შეისწორა ტყავის გაცვეთილი ქამარი და გაუდგა ისევ იმ უსწორეს გზას. გარშემო ერთმანეთის მიყოლებით ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ დანგრეული ციხესიმაგრეები, ნაცარ-ტუტად ქცეული სოფლები და სოფლების განაპირას მისი ვირით წვირლ წისქვილებს სულს უბერავდა ქარი, თითქოს ამ ველების გაცოცხლება უნდაო. უჭყრტილებს და ამ უზარმაზარ გაუბედურებულ მინას გზის გასწვრივ ჩარიგებული ხეებიდან და ეშინოდა — დღეს რომ წამოეწინონ?..

ეს თქარა-თქური ყოველ დღე ესმის, ის კი არ ახსოვს, პირველად როდის გაიგონა და არც ოდესმე მოუხმია იმდენი სიმამაცისთვის, რომ ამოესუნთქა და პირისპირ შეხედროდა მდევრებს. ახლა უკვე წლებია იმ დღიდან გასული, როცა სახლიდან გაიქცა და ისიც შეეჩვია ამგვარ ცხოვრებას. ადრე სულ დაჭმული ჰქონდა ფრჩხილები, სულ უკანკანებდა კბილები და ღამე არ გადიოდა, გიჟივით რომ არ ეფართხალა ძილში, მაგრამ ეს ადრე იყო; ახლა გაქცევა ცხოვრებაა მისთვის.

და მაინც, ამ ღამით, როცა გავერანებულ დაბლობზე მიმავალს თავში ეცემა მთავრის შუქი, ისევ ძველებურად ცახცახებს — ვაიდა, დაენიგენ ნახევარი ღამის ფეხინვა-ფეხინვაში, სანამ ეძინა და ის საშინელი სიზმარი უჭამდა სულს. კაცმა რომ თქვას, სხვა სიზმარი არც არასდროს დასიზმრებია. იქ, მდებლობა, აგდია თავისი ვირის გვერდით და ძალაგამოლეული ქელავს. მის უკან, პატარა მდინარეზე გადებული თაღოვანი ხიდიდან ორთქლი იზღაზნება, იმ უგულო მდევრების ზიზღის, ბრაზის და ოფლის და მათი ცხენების ავი ქმენის ორთქლი. ყოველთვის აქ შავდებოდა ყველაფერი, მაგრამ ამჯერად გამოჩნდნენ მისი მდევრები, ერთმანეთის მიყოლებით შეანათეს მუზარადლები მზაკვრულად დაწვრილებული თვლები და გათავდა სიზმარი.

წინ, არც ისე შორს, ხეების ჩრდილებით დასერილი გზის პირველი მოსახვევი ჩნდება, კეფაზე ეხება მდევრების დაუოკებელი სუნთქვა და მოდის შიში. ბარძაყები სტკივა, ეწვის წელი, უნაგირზე ერთიანად ცახცახებს და უსასოოდ ურახუნებს გვერდებში ქუსლებს ვირს, რომელიც მასავით მოუცავს ამ გრძნობას. ენაგადმოდებულად, დაჭყეტილი თვლებით მირბის ვირი, ის კი ტკივილის შესამსუბუქებლად წამოიწევა უნაგირზე, იღვრებს კიბის და მოულოდნელად ეწვევა ჯერ აქამდე უცნობი სურვილი, გზაზე ჯიშინი რაში მიაქროლებდეს და არა ეს უშნო ცხოველი. ეს უშნო ცხოველი კი ნვალობს, ჰაერს კეთროვანივით ისუნთქავს, ხროტინებს და ისეთი სიჩქარით მირბის, კარგად გაბრაზებული ფეხმოტეხილი ძაღლიც კი თავისუფლად დაენევა, მაგრამ ამკარაა — თავს არ ზოგავს და მის მხედარსაც ისეთი გამომეტყველება აქვს სახეზე, გეგონება, ტარილია ვირზე შემჯდარიო. მთავრდება სწორი გზა, შედიან პირველ მოსახვევში, სადაც მინას ქვით მოკრწეული გზა ცვლის და...

მოულოდნელად, ვირი ამუხრუჭებს, როგორც უფსკრულს მიმდგარი მატარებელი და ჰაერში აგრძელებს გზას კაცი, სანამ ორჯერ არ დაბზრილდება და თავით არ დაენარცხება მინას. მერე კი ფხიზლდება, თავს იკრებს, აღუნულ მუხლებს ქვემოთ სწევს და ცალი თვალით იჭვრიტება

უკან: ვირი დაელოებული უყურებს რაღაცას, დრუნჩი მინისკენ აქვს დახრილი და ტანმოვარჯიშესავით გაუჭიმავს ფეხები განზე; ენა ისევ გარეთ გადმოუგია. ისე დაარტყა მინას თავი, რომ ნახევარი წუთი დასჭირდა, გაერჩია, რას უყურებდა ცხოველი — ბაბუანვერა იყო.

ნახევარი წუთი დაკარგა, რისთვის?! ერთი კინკლა ყვავილისთვის?! ძლიერდება ფლოქვების ხმა, უბერავს ქარი და ისე რიალებს, რომ ვეღარ გაუგია, წინიდან ისმის ხმა თუ უჩინიდან; მინიდან თუ ციდან. და უცებ მიხვდა — არც არასდროს სცოდნია, საიდან მოდიოდა ეს თქარუნი. მაგრამ ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს! უნდა ნავიდეს ჩქარა — შიში მოდის გზაზე შეუბრკოლებლად. მივიდა ვირთან, შემოსცხო, შემოაჯდა, ჩაჰყვირა ყურში, დააშინა, მაგრამ მაინც არ იძვრის ეს გაფხვიკინებული, დაჭიმული სხეული. ჰოდა, დგას და იდგეს! ნათალონ თავი, სულ არ ადარდებს! ადგება და ნავა თვითონ! გატრიალდა, გადადგა რამდენიმე მძიმე ნაბიჯი, ასწრა თავი და ახლად დაინახა რამდენიმე ნაბიჯში მოჩხრიკულ პატარა მდინარე და მასზე გადებული ქვის თაღოვანი ხიდი. შეამცივრა. თვალწინ დაუდგა ორთქლი და მზაკვრულად დაწვრილებული თვალები. უნდა გაიქცეს, დაიძლოს, როგორც ყოველთვის, მაგრამ საით? კ, კ-კ, კ-კ, კ-კ, კ... საიდან ისმის ხმა? წინიდან თუ უჩინიდან? მოსდევს სიკვდილი თუ თვითონ მისდევდა ამდენი ხანი კუდში? უკან გაიხედა, ისევ ისე დგას ვირი, წინ მიტრიალდა — თქრიალებს გაგიჟებული წყალი.

სული ექანება ყველა მიმართულებით, მაგრამ შიშით გამოშტერებული გალურჯებული დამხრჩვალი კაცივით. ჰგონია, ახლა უნდა გაიგლიჯოს და გაიხეს ათას ნაწილად და მოედოს მთელ ქვეყანას, რომ ვერავინ ვეღარასოდეს ვეღარ მიაგნოს და წამით, ის მოუნდა გაფანტვა დედამინაზე, ისე მოუნდა ჰაერში უშმირად სრიალი, რომ ოცნებამ სულ დაავინყა ფლოქვების ხმა. თვალები გაუშტერდა და წაილო მშვიდმა ფიქრმა და ზუსტად ამ დროს, თითქოს გაშიზნულად თვალები და ყურები გამოიბაქარა, მოსწყვიტა ფრენია ერთ-ერთ ბაბუანვერას და აუფრიალა თვალწინ. თვალეზი დაეჭყიტა, თავისით გადაედგა რამდენიმე ნაბიჯი, ახალ ფეხადგმული ბავშვივით, რომელიც სილამაზუს პირველად ხედავს. და თითქოს სული გამოუვიდა გარეთ; მოემვა და დაიხედა დაბლა. ასობით ბაბუანვერა ამოსულიყო ქვევს შორის და აღარ არსებობდა წამით სიკვდილი.

ჩამოჯდა ძირს, მოსწყვიტა ერთი და დააკვირდა ძალიან ახლოდან. გაიფიქრა: „ახლა შევუბერავ და მოკვდება; ერთი სული უნდა, სულ ერთი სული და კვდება, მაგრამ ცხოვრობს მაინც უშიშრო და მაინც ინონებს თავს ბუსუსებში.“ თვითონ კი ჯერ საერთოდ არ უცხოვრია. რა იქნება, სულ ერთი წამით მაინც რომ იცხოვროს?! სიკვდილიც შეიძლება იყოს ლამაზი. ქვემოდან ახედა ყვავილს, კიდევ უფრო ახლოს მიიტანა სახე.

კ, კ - კ, კ - კ, კ - კ, კ... არავინ იცის, ის და ვირი რამდენი ხანი იყვნენ ასე. მაგრამ დიდი ხნის შემდეგ ვერც კი შეამჩნია, როგორ წამოიზღაზნა ხიდზე ორთქლი, როგორ მოჰყვა ამ ორთქლს ცხენების თავები შავზე-შავი მუზარადების ავი წყება. ისე გაუღვიათ თავიანთი ორღესულები მდევრებს, ბასრი თვისისთვის რომ შეგებდათ, სულ უჩინარი გახდებოდა რკინა და მაშინვე გაგაშეშებდათ გარდაუვალი სიკვდილის სუნი. მაგრამ ამან მხოლოდ ერთხელ გამოიჭყიტა თავისი ბაბუანვერადან, ღრმად ამოისუნთქა, დახუჭა თვალები და შეუბერა სული...

მეორე მონაკვეთში სიტყვათშეთანხმება „აგროვეს და ინვის“ შეატრიალა ავტორმა და გვიტყობს: „ინვის და აგროვეს“, რითაც მიგვახვედრა, რომ „ინვის“ (ესე იგი, ქმნადობის) პროცესშიც არის ზრდა და თვითდასრულება ანუ „დაგროვეს“. აზრი მოხდენილად გადავიდა საპირისპირო აზრზე, თეზისიდან — ანტითეზისზე. აქ მხატვრულ ქსოვილში ბრუნავს და ტრიალებს, რაც იგულისხმება ლექსიკურ ერთეულში „ის“:

ა) დაგროვეს პრინციპს ყოველთვის ხელიდან უსხლტება ის, რაც თავის თავს ინვის და აგროვეს (რაც ინვის თავის თავს და აგროვეს; თავის თავს რაც ინვის და აგროვეს; თავის თავს ინვის რაც და აგროვეს; ინვის თავის თავს რაც და აგროვეს);

ბ) დაგროვეს პრინციპს ყოველთვის ხელიდან უსხლტება ის, რაც ინვის და თავის თავს აგროვეს (ინვის რაც და თავის თავს აგროვეს; ინვის რაც და აგროვეს თავის თავს; რაც ინვის და აგროვეს თავის თავს);

გ) დაგროვეს პრინციპს ყოველთვის ხელიდან უსხლტება ის, ინვის და თავის თავს აგროვეს რაც (ინვის და თავის თავს რაც აგროვეს; ინვის და აგროვეს თავის თავს რაც; ინვის და რაც თავის თავს აგროვეს; ინვის და რაც აგროვეს თავის თავს; ინვის და აგროვეს რაც თავის თავს);

დ) დაგროვეს პრინციპს ყოველთვის ხელიდან უსხლტება ის, თავის თავს ინვის და აგროვეს რაც (თავის თავს ინვის და რაც აგროვეს; ინვის თავის თავს და აგროვეს რაც; ინვის თავის თავს და რაც აგროვეს);

ე) დაგროვეს პრინციპს ყოველთვის ხელიდან უსხლტება ის, აგროვეს და რაც თავის თავს ინვის (აგროვეს და თავის თავს რაც ინვის; აგროვეს და თავის თავს ინვის რაც; აგროვეს და ინვის თავის თავს რაც; აგროვეს და ინვის რაც თავის თავს). შესამე მონაკვეთში გააქტიურებულია თეზა, რომ შემოქმედებითი პროცესი დაგროვეს პრინციპს ყოველთვის ხელიდან უსხლტება.

„ხელიდან უსხლტება“ — ამ სიტყვათშეთანხმებით მინიშნებულია შემოქმედებითი აქტის უნებური ბუნება, მოულოდნელობა, წინასწარ დაუგეგმობა. აქ თეზისის სწორედ ამ ნაწილზე მახვილდება ყურადღება (ეგ ის რაობაა, რაც ბესიკ ხარანაულს „წამოახტუნებს“).

მეოთხე ნაწილში აზრები კიდევ უფრო დინამიკურად ტრანსფორმირდება. აქ ყოველთვის რაც ხდება, ესე იგი, კანონზომიერ მოვლენად რაც ჩამოყალიბებულია, იმას შეგვაძენებენ.

მეხუთე მონაკვეთში კითხვებია დასმული, რომლებიც სხვადასხვა ვარიაციით ერთ რამეს უტრიალებს: ჩვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველთვის მაღალი აუცილებლობით განპირობებული რამე ინერება?!


როგორც ვხედავთ, ლექსი ყურადღებას იპყრობს საგულისხმო სათქმელითაც და კლასიკური მემკვიდრეობიდან აღებული, მაგრამ შემოქმედებითად გადააზრებული ფორმით. ავტორს პრინციპულად არ უყვარს უკვე არსებული პოეტური ტრადიციის უცვლელად გამოყენება. ასე იკვეთება ნაწარმოების ნოვატორული არსი. მკითხველს ინტერესს აღუძრავს საგანგებოდ ამგვარად კონსტრუირებული ტექსტი და განაწყობს საფიქრლად.

სიმბოლური დატივრთვა აქვს სათაურს. „შლაგაუმი“ — ეს ლექსი არსებობს, როგორც წინააღმდეგობა, რომელიც უნდა გადალახოს, რომ ავტორმა თავის ნაფიქრ-ნაზრევში შეგიშვას.

რაც უნდა ქართული კლასიკური პოეზიიდან იყოს ამოზრდილი, ჩვენ წინაშეა არაორდინალური ვარიაცია თავად არაორდინალური ნაწარმოებისა „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“. ლამის სკანდალური ქმნილება საყოველთაოობის დონეზე გაუგებარია, ჯერაც გაუანალიზებელი ესთეტიკური წარმონაქმნია, სიტყვათა გარკვეული კომბინაციის გამოყენებებს ეყრდნობა, მაგრამ რაციონალურ სანყისს ემორჩილება. ნაწარმოები მიჰყვება გარკვეულ ნებს, რომელსაც აღმოჩენა სჭირდება.

ეს არის პოეზია, რომელშიც შეღწევაა საჭირო.

სულაც არ ვფიქრობ, რომ ამოვწერე, რაც ამ ორ ლექსზე ითქმოდა. ინტერესით ნავიკითხავ, თუ ლიტერატურათმცოდნენი თავიანთ ანალიზს დაბეჭდავენ.



ნათია კაპანაძე

ბარეუხნის ტრაგედია

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

დასასრული

კაკო პაპას სვენებ-სვენებით მიყვებოდა ხოლმე თავის ისტორიებს. მატარებლიდან რომ ჩამოვიდოდი, რამდენიმე საათი ისე გადიოდა მასთან საუბარში, ვერც კი ვამჩნევდი. მერე მეტყობდა: სახლამდე ფეხით ბევრი გაქვს გასავლელი, წადი ახლა. მეც შევხედავდი მის გვერდით მდგარ დაკუჭულ ბოთლს, წყალი თუ არ ჰქონდა, აუფრსებდი და ვემშვიდობებოდი. მატარებელს რომ ავეყვებოდი, სამფეხა სკამზე მჯდომი ჯერ მე შემომხედავდა ღიმილით, მერე სხვა მგზავრებს დაუწყებდა ყურებას იმედის თვალთ. ქალაქში ჟურნალებს აღარავინ ყიდულობდა, ყველა მასთან მიდიოდა. მატარებლის სადგური რომ მგზავრებისგან დაიცლებოდა, ვრჩებოდი მე, კაკო პაპა და მემანქანე.

მიყვარდა მისი ისტორიები. არასდროს ავიწყებოდა, სად წყვეტდა ამბავს და შემდეგ ნახვავზე ზუსტად იქიდან აგრძელებდა, სადაც ჩერდებოდა.

— ნუნუ ხშირად სთხოვდა მამას, ფოსტას მარტო დაეარჩებ, უფრო მალე მოვრჩებო. ისიც ხვდებოდა, კარგი რომ არაფერი ხდებოდა მისი შვილის თავს და ნერვიულობდა. რა დამავინყებს, ჩუმად რომ გამოჰყვებოდა ნუნუკას... მისი ჩანთა მე მიმქონდა, მივსერილობდი და ვლაპარაკობდი. არ ვიცო, რამდენ ხანს მოგვეყვებოდა ჩუმად, ალბათ, რომ დარწმუნდა, ჩემს გოგოს თავგზას უზნევსო, გინებით გამოვარდა. შეშინებული ისე სწრაფად გავრბოდი, ჩანთის დაგდებაც ვერ მოვიფიქრე. ნუნუკა ხშირად დამცინოდა, მოხუცმა მამაჩემმა როგორ შეგავინაო. ივანე ამაყი კაცი იყო, შერცხვენას არავის აპატიებდა. ამიტომ ქორნილი დააქარა. სულ რამდენიმე კვირაც და ნუნუკა სხვას გაჰყვებოდა, სხვის სახლში იცხოვრებდა. მამამისთან ვერ მივიდოდი, ვიცოდი, რაც უნდა მეთქვა, არაფერზე დამთანხმდებოდა. ის რამდენიმე კვირა ნუნუკაც არ მინახავს, დიდი ხნის შემდეგ მითხრა — მაშინ მეგონა, მიმატოვეო. ვფიქრობდი, რა უნდა მექნა?! გამოსავალი არ იყო მოტაცების გარდა. დიდიდანვე, სანამ ყველა სამზადისში იყო, ზოგი სუფრას შლიდა, ზოგი „პალატკას“, მეც ჩემს სამზადისზე ვზრუნავდი. ნუნუკა ფანჯარასთან იდგა, მულოდებოდა. დამინახა თუ არა, უხმოდ ჩამოვიდა, ხელი ჩამკიდა და ნამოვედით. ასე შეიქმნა ჩვენი ოჯახი სულ რამდენიმე თვეში, დაუგეგმავად და თავისთავად.

მომიყვარ, როგორ ზრუნავდა სიამამრი ჩუმად, რადგან შვილის მეტი არავინ ჰყავდა. თუმცა, ნუნუკას მაინც არ პატიობდა ქორნილიდან გაპარვას. მიყვებოდა ახალგაზრდობის ისტორიებს; სამსახურიდან წამოსვლის ამბავს; როგორ მიუძღვნა პირველად ლექსი ნუნუკას და მისი სიტყვებით შეგულისხმებული როგორ განაგრძობდა მას შემდეგ წერას; როგორ მოსწონდათ მის მშობლებს რძალი, თითქოს ნუნუკას მიყვანილი უფრო ავამალდი მათ თვალში... ბევრ რამეს მიყვებოდა, ვიცინოდი და ვტიროდი. ერთხელ მითხრა: ყველაფერი გამახსენდა, რაც არ უნდა დამავინყებოდა. ადამიანებს გვჭირდება სხვებთან საუბარი, საკუთარი თავისთვისაც და სხვისთვისაცო.

კაკო პაპასთან რამდენიმე თვიანი მეგობრობა და უამრავი ისტორია დამრჩა, რადგან მალევე იყო, რომ მისი ღიმილის და ჟურნალ-გაზეთების ნაცვლად ცარიელი სამფეხა სკამი გვხვდებოდა მატარებლის სადგურზე. რამდენიმე წუთს მაინც იმ სკამზე მჯდომი ვატარებდი ხოლმე და სხვადასხვა მონაკვეთს ვისვენებდი მისი ამბებიდან. იმ სკამს კი მემანქანე სპეციალურად არ იღებდა, სანამ აქ ვიმუშავებ, ესეც უცვლელი დარჩება.

მემანქანისგან გავიგე: დაქორწინებიდან რამდენიმე წელში გარდაცვლილა ნუნუკა. ეს ისტორია კაკო პაპას არასდროს მოუყოლია, თუმცა, ვიგრძენი რა დიდ ტკივილს დაატარებდა და როგორ გამოიზიარა ეს ტკივილი, როცა მითხრა, რომ: ჩემი და ნუნუკას შეხვედრა ბედისწერა რომ ყოფილიყო, ერთმანეთს არ უნდა შეხვებდითო...

5.

ძალიან რთულია, იპოვო ადამიანი, რომელსაც მთელი არსებით შეიყვარებ, თუმცა, ბევრად რთულია, თავად გახდე ასეთი ადამიანი სხვისთვის!

კაკის დახატულმა ტასომ ჩემს ოთახში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. ყოველთვის, როცა ამ ნახატს შევხედავდი, ვფიქრობდი, რომ უსამართლობაა, ბავშვებს მსგავსი რამის გადატანა უწევდეთ. როგორ უნდა გაიზარდო, რომ არ გაბოროტდებო? რომ ტკივილმა არ გაგაგიჟოს?

დედა გვერდით მყავდა, მაგრამ მასთან დიდ დროს ვერ ვატარებდი. მამა ცოცხალი იყო, თუმცა, ამას ვერ ვგრძნობდი... მაგრამ რამხელა შეგებაა, როცა იცი, რომ ისინი არსებობენ შენთან ძალიან ახლოს... ამის გააზრებამ თითქოს ერთგვარად გამაძლიერა, რაღაცებზე დამაფიქრა და მიბიძგა, რომ რამე შემეცვალა.

პირველ გაკვეთილსაც მივუსწარი — რუსული მქონდა, დამრიგებლის გაკვეთილი. არ მახსოვდა, საკონტროლო რომ უნდა გვეწერა და სრულიად მოუმზადებელი მივედი, ოღონდ არა იმიტომ, რომ მათ ენას პროტესტის ნიშნად არ ვისწავლიდი, არა, მე უფრო პირიქით ვფიქრობდი, რომ ოკუპანტის ენა ყველაზე კარგად უნდა მცოდნოდა. საუბედუროდ, ენების შესწავლაში სრული სუბიექტი აღმოვჩნდი და მხოლოდ ჩასაბარებელი გაკვეთილის დონეზე ვიზუთხავდი ყველაფერს. სკოლაში ჩემზე რომ გეკითხათ, ათიდან ცხრა მასწავლებლები გეტყობდათ, რომ ნიჭიერი ვარ, მაგრამ მას შემდეგ წერას; როგორ მოსწონდათ მის მშობლებს რძალი, თითქოს ნუნუკას მიყვანილი უფრო ავამალდი მათ თვალში... ბევრ რამეს მიყვებოდა, ვიცინოდი და ვტიროდი. ერთხელ მითხრა: ყველაფერი გამახსენდა, რაც არ უნდა დამავინყებოდა. ადამიანებს გვჭირდება სხვებთან საუბარი, საკუთარი თავისთვისაც და სხვისთვისაცო.

რად მინდა ნიჭიერება, თუ სიზარმაცე ჯაბნის და ვერაფერში ვიყენებ? არ მიჩვენია, უნიჭო ვიყო და შრომისმოყვარე? ალბათ ასე უფრო ბევრს მივალწევდი. რას ვიზამ, ეს ყოფილა ჩემი ბედი.

ხო, ბედის თემა კიდევ ცალკე განზომილებაა. რაღაცას რომ ვერ გააკეთებენ, არ გამოუვათ და ბედს აბრალებენ. ყველაზე მარტივი საშუალებაა, რომ თვითგვემას გაექცე და ნევროზი არ აიკიდო.

უმკაცრესი რუსულის მასწავლებელი გვეყავდა, მაგრამ უზომოდ სამართლიანი ადამიანი იყო, ამავდროულად, ჩემი კლასის დამრიგებელიც. ბევრი რომ მასწავლა და დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ ისეთ ადამიანად ჩამოვყალიბებულიყავი, როგორც ვარ და, მაგონი, არც ისე ცუდი ვარ, ამ ეტაპზე.

ვზივარ რუსულის გაკვეთილზე, საკონტროლოს რვეულს ჩავკირკიტებ, რომ როგორმე რამე დავწერო და უცებ მარჯვენა ფეხზე ვიბრაცებ ვგრძნობ. დედაჩემი არ იქნება, გაკვეთილების დროს არასდროს რეკავს, ვფიქრობ, თან წინ ვზივარ და არ ვიცი, როგორ უნდა ამოვილო ტელეფონი ისე, რომ არ ჩამომართვან... ნელ-ნელა ხელს ჯიბისკენ ვაპარებ, რომ როგორმე გავთიშო. მერხის ქვემოთ ვმაღავ ტელეფონს და ცალი თვალთ ჩავკირკიტებ, მაგრამ უცხო ნომერია. ვთიშავ და მესიჯიც არ აყოვნებს:

„shen saxltan var, chamodi. Kaki“

არ გამეკვირვებია, რომ ჩემი ნომერი გაიგო. ვწერ:

„skilashj var“

კიდევ კარგად მოვახერხე დაწერა... პასუხიც არ აყოვნებს:

„5 cutshi moval da chamodi“

ჯერ მხოლოდ 15 წუთია გასული, კიდევ ნახევარი საათი ვერ გავალ კლასიდან. თან საკონტროლო მაქვს. ნეტა რა უნდა?

— ლილი, რას აკეთებ მანდ? — თავზე ნამომადგა მასწავლებელი. მე იმაზე ვფიქრობ, კლასიდან როგორ გავიდე...

— მას, დედაჩემმა მომწერა, გასაღები დარჩენია და თუ შეიძლება 5 წუთით გავალ, რომ მივანადო...

— არ შეიძლება, გაკვეთილის შემდეგ გახვალ.

— თითქმის მოვიდა და ძალიან მალე დავბრუნდები, გთხოვთ...

ძალიანაც არ უნდა დამეძინა, მაგრამ გამიმართლა და გამიშვა. კაკი კიბეზე შემხვდა, უკვე სკოლაში შემოდიოდა. დამინახა თუ არა, გამიღიმა და გადამხეცია.

პირველად მაშინ შემაკანკალა!

ვუყურებდი და ველოდებოდი, როდის იტყოდა სკოლაში მოსვლის მიზეზს, მაგრამ არაფერს ამბობდა. მხოლოდ პარკი მომანოდა, რომელიც ხელში ეჭირა და რომელშიც სათამაშო მაიმუნი იდო.

— ვერ მიხვდით...

— საჩუქარია. შენთვის... ჩემგან...

— რატომ?

— ისე, უხარალოდ...

უცებ ეს ჩემი ნაცნობი მანდატური მოდის და ეჭვით გვიყურებს, ჯერ — კაკის, მერე — მე.

— შენ გაკვეთილი არ გაქვს? სწრაფად ადი კლასში.

— სულ ორი წუთი და ავა, მეგობარო.

საათს შევხედე, 10 წუთი იყო დარჩენილი გაკვეთილის დასრულებამდე, საკონტროლო კი დასაწერი მქონდა. უცებ შევბრუნდი და გავიქეცი.

— ლილი, სახლში გადახვედი თუ ამდენი დრო რაში დაგჭირდა?

— ბოდიში, მას.

ის საკონტროლო საშინლად დავწერე, თუმცა, არც სხვა რუსულის საკონტროლოები განსხვავდებოდნენ მისგან დიდად.

ისევ ტელეფონის ვიბრაცია ვიგრძენი, ამჯერად მესიჯი იყო, მაგრამ მხოლოდ საკონტროლოს დასრულებაზე ვფიქრობდი. მაიმუნი მუხლებზე მედო და თრთოდა...

როგორც იქნა დასრულდა და შეტყობინების ნახვაც შევექელი.

„Garet dagelodebi“

ნატა მომიახლოვდა და სახეზე ათასი კითხვის ნიშანი ჰქონდა გამოსახული.

— მერე მოგიყვები, ახლა უნდა გავიდე.

კაკი სკოლის წინ იდგა და იცდიდა. ეს ის კაცი იყო, ვინც პირველი შეხვედრისას გამაღიმა, მეორე შეხვედრისას დამაეჭვა, ყველა შემდეგი ნახვისას კი მაოცებდა. მისი ნდობა დავიწყე და რაღაც უხილავი ძალით მისკენ მივდიოდი.

არ ვიცი, ამ სფეროში როგორ არის — ერთი ქვეყნიდან მეორეში ეგრეთ წოდებული ხე-ტყე უფრო უხვად და იოლად გადის თუ არა, ვიდრე ხე-ტყისგან დამზადებული ავეჯი.

პოეზიაში ნამდვილად ასეა.

იმასაც ვერ ეტყვი, რომ შენს ფასს შენი სიკვდილის მერე გაიგებენ. ვინ გაიგებს — თუ გაიგებს — სხვა თაობა იქნება — მომავალი, ან მომავლის მომავლის მომავალი. შენთან ერთად ხომ ესენიც დაიხოცებიან.

სამწუხაროა.

რამდენს აქვს იმედი, რომ ნანერებს მომავალი დაუფასებს.

რამდენს გაუცრუვებოდა იმედი, იმ მომავალს რომ მოსწრებოდა.

და მათ შორის რამდენია ისეთი, ვისი ზემოხსენებული იმედიც — ახლავე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სრულიად უსაფუძვლოა.

მხოლოდ სიკვდილზე წერა მაინცდამაინც ამ თემით შეპყრობას ან თუნდაც საკუთარი თავის სიყვარულს არ ნიშნავს. შეიძლება ეს იმის მაჩვენებელი იყოს, რომ, უბრალოდ, არაფერი ხდება, საინტერესო არაფერი.

მეარღნეები და პოეტები. ტიცინის ბოჰემა. უბრალოდ ვკვდებით მეარღნეები და პოეტები. ისე უბრალოდ, რომ ტიცინი ალბათ ვერც წარმოიდგენდა. მეარღნეები უკვე „მოკვდნენ“, სხვათა შორის. ძალიან უბრალოდ. და ვითომ რატომ ვერ მივყვებით უკან პოეტები? ისევე უბრალოდ, ისევე უბრალოდ.

ცხოვრებაში რამე ახლის მიხედვით — მაგალითად, ისეთის, ზოგჯერ ამ ჩანაწერებსაც რომ ესაფუძვლება — აბსოლუტურ, პირველადმოჩენას არ ნიშნავს; სავარაუდოდ, ეგ ცოდნა უკვე არსებობს და ამა თუ იმ დისციპლინაში სისტემურადაც მოქცეულია. ანუ სანამ ამ ყველაფერს „იცხოვრებ“, თითქოს შეგიძლია, ეს ყველაფერი ისწავლო.

მაგრამ ამდენის ერთბაშად სწავლა ძნელია. ბევრი რამის სწავლა კი განცდის გარეშე, არა მხოლოდ ძნელი, შეუძლებელიცაა. ამიტომ არის, მოზეპორები სინამდვილეში ვერაფერსაც რომ ვერ სწავლობენ. ამიტომ გვხვდება ასე ხშირად თითქოს საჭირო ადგილზე მოტანილი და მაინც ჰაერში გამოკიდებული ციტატები.

არ დაუფეროთ, ხალხო — ნაკითხულიდან აზრის გამოტანა რომ დაიწყეთ, მერე დაწერილი აზრის შეტანას მოგთხოვენ და გაქვთ მაგის წერვები?!

არ გამოვრიცხავ, რომ კოგნიტური რევოლუციის მერე კოგნიტური კონტრრევოლუციაც გადაგვხდა და აღარ გვახსოვს უბრალოდ, ან — შესაბამისად.

სოცქსელში აზრის გამოთქმა იგივეა, მდულარე კრატერში ჩააგდო ქვა, ვარდი, ყველი, იგი, ბროლის ბუ, შაგრენის ტყავი, დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მეორე ტომი, ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენი ან სხვა რამე.

ნათელია, რომ შედეგი ერთია, ოლონდ არა — დიადი.

ეგ სოციალურ ქსელებამდე იყო — ქართული როგორც იწერებოდა, ისე რომ გამოითქმოდა. ახლა პირიქით არის — როგორც გამოითქმის, ისე იწერება.

სინამდვილეში, აქამდეც სულ ტყუილად ვამბობდით, თითქოს ქართულში, ჩვენთვის ნაცნობი ზოგი ენისგან — მაგალითად, ინგლისურისგან — განსხვავებით, ყველაფერი, როგორც იწერება, ზუსტად ისე-



ვე გამოითქმის. სინამდვილეში, ორივე ენაში სხვადასხვანაირად იწერება და გამოითქმის უამრავი სიტყვა. მაგრამ თუ ასეთი ქართული სიტყვა დაწერილისგან განსხვავებულად გამოითქვი, შეცდომა იქნება, მაშინ, როცა ასეთი ინგლისური სიტყვა თუ დაწერილისგან განსხვავებულად არ გამოითქვი, ეგ იქნება შეცდომა.

გაგვიკვირდება და, შეიძლება, ადამიანმა ძალიან პატარა ასაკიდან იცოდეს ზოგი ისეთი საგნის სახელი, რეალობაში სიცოცხლის ბოლომდე რომ ვერ ნახავს — მაგალითად: პანდა, თრთვილი, ჯომოლუნგმა... და ვერასდროს ისწავლოს იმ საგნის სახელი, რომელსაც ძალიან პატარა ასაკიდან ხედავს: ზღურბლი, საჭე, ბრტყელტუჩა...

„ადამიანი ძილში იზრდება“. ეს მთარუელი ფრაზა, რომელიც, რა თქმა უნდა, იმას გულისხმობს, რომ ადამიანი მხოლოდ ან განსაკუთრებით ძილში იზრდება, არ ვიცი, მეცნიერულ დაკვირვებას ეყრდნობა თუ შთაბეჭდილებას, მაგრამ ასე კი ჩანს. საერთოდ, ისე ჩანს ხოლმე, რომ შენში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რასაც დღის განმავლობაში ვერ მოიხეტლეთ, ღამით, ძილის დროს ხდება. აბა, როდის შეამჩნევ ახალ ქალარას, ახალ ნაოჭს, რამეზე ან ვინმეზე გულის გაგრილებას, გულის აყრას და მისთანებს? ძილის დროა ის რამდენიმე საათი, თვალყურის უდევნელად რომ გადის. ამ რამდენიმე საათის შემდეგ კი ადვილი შესამჩნევია ცვლილება, რომელიც, ვინ იცის, გამუდმებით ხდება.

პირველი იმედგაცრუებების თანდათან სრულ უიმედობაში გადაზრდა საყმაწვილო სენია. ამ დროს იწყებ ფიქრს, რომ ნუთისოფელი გაუტანელი და აუტანელია, რომ ადამიანები მანიპულატორებად და უგნურებად იყოფიან, რომ ირგვლივ ერთადერთი ნამდვილი — სიყალბეა, და ასე შემდეგ. ეს არის, რასაც მაშინდელი ემოციები გაკარნახობს.

მერე იზრდება, გამოცდილება გროვდება, ფაქტებსა და მოვლენებს უღრმავდება და მათი საფუძვლიანი განსჯა-ანალიზი გარწმუნებს, რომ ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც სიყმაწვილეში შიშველი ემოცია გეუბნებოდა.

განსაკუთრებული არაფერია: ცხოვრება თუ ნეხვი აღმოჩნდა, შენ კი ნეხვის ჭია არ აღმოჩნდი, ვერ იქნები კარგად. შეიძლება, ნეხვში კარგად ნეხვის ყველა ჭიაც ვერ იყოს, მაგრამ არანეხვის ჭია კარგად ნამდვილად ვერ იქნება.

და თუ გგონიათ, ნეხვზე და ნეხვის ჭიაზე განსაკუთრებული ზიზღით ვლაპარაკობ, სხვა რამეებზე ვთქვათ: არწივი კარგად ვერ იქნება წყალში.

და ასე შემდეგ.

ძალიან ძნელია, იცხოვრო ისე, როგორც შენ გინდა და არავის აზრს არ ითვალისწინებდე; განსაკუთრებით მაშინ, როცა შენ გინდა, ისე იცხოვრო, რომ ყველას აზრს ითვალისწინებდე.

ჩემი კარი ისე ჩუმად იღება-იხურება, რომ ხანდახან მეშინია, მეზობელმა, რომლის კარიც საშინლად ჭრიალებს, ერთხელაც კორპუსის თავმჯდომარესთან არ მიჩვილოს.

ხშირად მომავალს გადაწყვეტილების მიღება და გადაწყვეტილების მიმღებები განსაზღვრავენ. გადაწყვეტილების მიღება კი არც ისე სწორი გადაწყვეტილებაა — რაკი გადაწყვეტილებათა უმრავლესობა არასწორია — განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა ბევრი შესაძლო გადაწყვეტილებიდან სწორი, ან თუნდაც საუკეთესო, ოპტიმალური გადაწყვეტილება მხოლოდ ერთია.

თუ შენ კატეგორიული მემარცხენე ხარ და მე არ გეთანხმები, კატეგორიული მემარჯვენე რომ გახდები და მე ისევე არ დაგეთანხმები, ნუ იფიქრებ, რომ პოზიცია შევიცვალე. პოზიცია შენ გექნება შეცვლილი, თორემ მე იქნებ შენს კატეგორიულობას არ ვეთანხმებოდე ახლაც და არ დავეთანხმობ მერეც.

ამ მომენტში ამ საკითხის მიმართ ასე კატეგორიულად განწყობილი ადამიანი, გაიხსენე, რამდენჯერ გითქვამს წარსული ამბების მოგონებისას — „რა სულელი ვიყავი“. და ნუ გამორიცხავ, რომ ამ მომენტში ამ საკითხის მიმართ შენი ასეთი კატეგორიული განწყობაც როდისმე ზუსტად ამ სიტყვებით გაიხსენო.

როგორ ცვლის ასაკი ადამიანს. მაგალითად, ათი წლის წინათ ვფიქრობდი, რომ ათი წლით ნაკლები ასაკი ჯობდა, ახლა კი ვფიქრობ, რომ ოცი წლით ნაკლები ჯობია.

ავტობუსში გვერდით გოგო მომიჯდა. ორმოცოდე წუთი ერთად ვიმგზავრეთ. მერე ჩავიდა. ძალიან ლამაზი ყოფილა.

ქალ-ვაჟის სიყვარულიც პატრიოტიზმით არის — სიყვარულის რაღაც მიზეზი, რა თქმა უნდა, ყოველთვის გამოიძენება, მაგრამ კაცმა არ იცის, სიყვარულის ობიექტი რამდენად არის სიყვარულის ღირსი.

პარადოქსს ჰგავს, მაგრამ მინიმუმ არ გამოვრიცხავ, რომ პრაგმატული პოლიტიკა ყველაზე ზნეობრივი პოლიტიკაც იყოს — რაკი პოლიტიკოსი მხოლოდ თავისას კი არა, სხვების ბედსაც განაპირობებს და მასზეც არის პასუხისმგებელი. თავის განიროვა (ზოგჯერ) გმირობაა, სხვების განიროვა — (ყოველთვის) უსინდისობა.

ნეტავ, როდისმე სადმე ვინმე ოდნავ მაინც თუ მშვიდდებოდა, როცა თავს ასე იმშვიდებდა: ახლა კი ვკვდები — მოძმეთაგან ნაგინები და მოღალატედ შერაცხული, მათი ნასროლი ტალახით გასერილი და ქვით ჩაქოლილი, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ სამშობლოს საკეთილდღეოდ გავაკეთე, რასაც დაახლოებით ხუთასი ან ათასხუთასი წლის მერე თვითონ სამშობლოც მიხვდება!

მგონი, ისტორიაც კარგი მედროვე რამეა.

კი, ზოგჯერ დაემთხვევა მისი შეფასება სიმართლეს. მაგრამ ასე გაფუჭებული საათიც უჩვენებს ხოლმე სწორ დროს. 24 საათში დროის სწორად ჩვენება ორჯერ, არა მგონია, ობიექტურობის ნიშნად იყოს.

ისტორია ადამიანებს ჭამს.

სიცოცხლე გრძელდება. რას ლაპარაკობ.

განსაკუთრებით მაშინ რას ლაპარაკობ — და განსაკუთრებით ხშირად ამას სწორედ მაშინ ამბობენ (ჭირისუფლის მისამართით) — როცა ვილაცის ან ვილაცების სიცოცხლე წყდება.

ადამიანს თავის მოკვლა რომ უნდა და მკურნალობენ, ამ დროს რას ცდილობენ: აჩვენონ, რომ თავის მოკვლა არაადეკვატურია, თუ მოაჩვენონ, რომ თავის მოკვლა არაადეკვატურია?

უცნაურობისა და, გნებავთ, პარადოქსულობის გამო ნუ გამოვრიცხავთ, რომ მხოლოდ ცუდს ის ხედავდეს და იმასხოვრებდეს, ვისაც ბუნებრივი კარგი ჰგონია. და პირიქით — ვინც სულ ცუდს მოეწონა, ვისაც ჰგონია, რომ ყველაფერი ცუდად უნდა იყოს, იმას მოულოდნელი კარგი სჭრიდეს თვალ-ყურს და ის ამასხოვრებდებოდა.

„მხოლოდ ცუდში“ და „მხოლოდ კარგში“ შეგვიძლია, უპირატესად ცუდი და უმეტესად კარგი ვიგულისხმოთ, რაღა თქმა უნდა.

რაღაც მომადიოზურო გამოთქმა: „ამ კაცის თავი მე მაჩუქე“; ან: „ამ კაცს შენ გჩუქნი“.

როგორც ვხვდებით, ამის მთქმელი კი არ ამტკიცებს, რომ „ეს კაცი“ მართალია, მხოლოდ ხათრით ითხოვს მის პატივს; ან ამ კაცს ვინმეს ხათრით თვითონ ჰპატიობს რამეს.

თუ განვაზოგადებთ, ეს ფრაზა თუ ფრაზები ამასაც უნდა ნიშნავდეს: მეგობრობა და ერთგულება არ მოითხოვს, მეგობრის ან საერთაგულის მართლობა ამტკიცო ყოველთვის. და აუცილებელი სულაც არ არის, ადამიანი მართალი იყოს — იმისთვის რომ გიყვარდეს, მასთან მეგობრობდე, მას ერთგულობდე.

რა არის ეს ცხოვრება — ზოგჯერ მომადიოზურო გამოთქმების განზოგადებისას გამოტანილ დასკვნებსაც კი იზიარებ.

გველემას განა მართლა სულ ულამაზეს ქალწულს სწირავდნენ. გველემასის გემოვნების მზემ — ძალიან გაარჩევდა; ან სერვირებს მიაქცევდა დიდ ყურადღებას. უბრალოდ, სანამ ულამაზესი ქალი არ მიჰგვარეს, მანამდე არავინ გამოჩნდა გველემასთან შემბრძოლებელი.

თუმცა შეიძლება, პრინციპობის გამო გამოუჩნდა ქომაგი. ჰოდა, ბარემ ისიც თქვეს — ულამაზესი იყო. აბა, პრინციპს სხვანაირი ხომ არ იქნებოდა.

კლიშე — ბოროტსა სძლია კეთილმან — შეიძლება არა კეთილთა, არამედ გამარჯვებულთა დამკვიდრებული იყოს. სიკეთემ გაიმარჯვა! — ამბობს ყველა გამარჯვებული, უბოროტესიც კი. აბა, რომელი გამარჯვებული იტყვის — ბოროტებამ გამიმარჯვაო?!

ისედაც, ვის უნდა ასწავლო, როგორი სათქმელი და მოსასმენია — საერთოდ, ბოროტი ამარცხებს კეთილსო...

თუ უღმერთობაა — ადამიანების ბრალი არ არის.

თუ ღმერთიანობაა — ადამიანების დამსახურებაა.

შეიძლება ასე მოწყალებაც შეხედო ადამიანებს.

ცხოვრების სიზმართან შედარება მიმზიდველი სათამაშოა. მეც მივუზიდივარ. თუმცა სულაც ვერ დავრწმუნებულვარ, რომ ერთი ძალიან ჰგავს მეორეს. დასასრული — კი ბატონო: ვკვდებით, ვიღვიძებთ.

დროც, ცოტა ნელა იარე. სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია.



დავითი

მოყვები რამე, წეროებზე მოყვები რამე, საიდან საით მიფრინავენ, რომელი გზებით? მიიჩქარაინ რა განწყობით, ოცნებით, გზებით? მოყვები რამე, სამშობლოზე მოყვები რამე.

ეჰ, თუ გინახავს შენ ოდესმე ყვავები თოვლზე, ან ტრიალ ველზე გაფანტული ყვავების გუნდი, რომელიც მხოლოდ ერთი ტყვიის გავარდნას უცდის... ან კაცის სისხლი თუ გინახავს დაღვრილი თოვლზე?

ყაყაჩოს თავი დაუხრია მწუხარე ბორცვთან და ალაგ-ალაგ ცვარნაპკური ჩანს კესანებიც. გამიშვი, მოვკვდე ამ ბრძოლებში, ნუ გენანები. ო, რა ხანია, მეგობარო, სიმშვიდე მოკვდა.

სამყარო — როგორ, რანაირად არის, რომ უძლებს საშოს წიაღში დახოცილი ბავშვების ქვითინს! მარადისობას განვიცდი და განვიცდი სიკვდილს და მოთმინება შუა გულში მაჭედებს ლურსმენებს.

დანებებაზე, დაცემაზე აიღე ხელი და ნუ შეგაკრთობს მიმომსვლელი ღრუბლები რუხი. ტყეს შეხიზვნია გარინდული მუხები მწუხრის. მალალ ბალახში ჩუმად მიდის დამფრთხალი შველი.

ავი ძალივით, სიყვარული აბია გულზე, თუ აინყვიტა, ვერ დაიჭერს მერე ვერავინ... ქარისებრ მქროლი გადაიმსხვრა ხრამში მერანი და უბედობა ქოფაკივით აბია გულზე.

მიამბე რამე, წეროებზე მიამბე რამე, რადგანაც მათზე (წეროებზე) არ გაიმბნია. მოუშუშებელ ჭრილობებში ია აწყვია, იას თვალეებში უციმციმებს თოვლი და მთვარე.

შემოდგომის დილა

დილაა მოკისკასებული, სიცოცხლის სიახლით ავსებული, ჰაერი სულ ოდნავ მიმოიძვრის, მთაზეა შერჩენილი ექო ნისლის...

მზე ამოჩახჩახდა — სხივმდინარი, მდინარე მიხმაურობს უძინარი, ფოთოლი ცოტათი ჩამოყვითლდა, ეს ნიშნავს, სცენაზე გამოვიდა

ყვითელკაბიანი შემოდგომა — მთათა ჩუქურთმების შესამკობად, ჯერ კიდევ ადრეა ვაშლის კრეფა, რთველი ცოტა ხანში დაიწყება.

ტყეებში სოკოა მობნეული, ჩამოსანთლისფერდა ფოთლეული, ჰაერი ჩამონდა და მოკისკასდა. რა ვქნა, შემოდგომა შემოყვარდა!

წუთისოფლიდან კაცნი მიდიან — ზოგი მშფოთვარედ და ზოგიც მშვიდად. ნაძვის წიწვზე რომ წვეთი კიდი, სწორედ იმ წვეთში შეესახლდე, მიინდა.

ჰიანი სიცოცხლას

სასიცოცხლო აღტაცებით მზის სინათლე სხივად ქმნილა, აიკეცა ლამე ფრთები, გაიშალა ნედლი დილა სურნელმჩქეფი იასამნით, მწვანე ტყით და თოთო მინდვრით, ფოთოლზე დევს ჩუმი ნამი, ნამში კაცი ჩანს და მიდის... ნანნავხვეულ ნისლსაუფლოს შეუმკია მთათა თავი, ამ ხედიდან რაც ჩანს უფრო: კაცი მიდის ნამში ნავით...

საძოვრისკენ საქონელი ზანზალაკით მიმუსიკობს. ყვავილები საკონელი მინდორშიც და სულშიც იყოს. იყოს გულთა შეერთება, გაფურჩქვნა და გამინდვრება, სიყვარული შლილი ფრთებად, სიყვარული — წმინდა მცნება — გააჩაღებს კოცნის კოცონს, აისანთლებს რწმენის ქნარით, გადაარჩენს მთლიან კოსმოსს შეყვარებულ წყვილთა ჯარი!

საძოვრიდან საქონელი მომუსიკობს ზანზალაკით. ყვავილები საკონელი საიდუმლო ლაპარაკით ნელი სიოს დაქროლვაზე ნელა მიმოიწრნევიან. ჩალისფერი ხარის რქაზე მოცისფერო სივრცენია... კაცი თუ გარს შემოიწნავს რწმენას, გული მოკაშკაშე გადასწვდება დედამინას, ხოლო ცხელი ცრემლი მლაშე

დაეცემა ყვავილს და წიგნს და საფლავის ბორცვის გულ-მკერდს. აუყვება აღმართს კაცი, რომ მიაგნოს სახლს და ბუდეს... მშვენიერბათა მისდევს ბილიკს შაორი და სანალიკე. პოეზიის და მისტიკის სევდის ფსკერზე მითრეეს რილკე. სხივფენილი, სიოსრული ჩუქურთმებით შლილი მშვიდად, მეთურთმეტე საუკუნის ანკარა მზე — ნიკორწმინდა!

ქვად ქვავა

ვაგრძელებ ცხოვრებას, როგორც წინადადებას. წინადადებას წინადადება მოსდევს და წინადადებათა თანწყობა ემსგავსება ცხოვრებისეულ მოგონებებს. ჯერ არაფერი ამიშენებია — ვერც სახლი ავაშენე, ვერც ტაძარი, ვერც საბძელ-ბოსელი, ვერც საკუთარი თავი. ვერც ვენახი გავაშენე და ვერც ეს ქვეყანა დავამშვენე. მხოლოდ წინადადებებს ვაწყობ ერთმანეთზე, როგორც საზამთროდ დაჩეხილ შეშას, რომელსაც აივნის ქვეშ ვალაგებ. შეშას კი ვალაგებ, მაგრამ ცხოვრებისეული მოვლენების დალაგება ვერ მომიხერხებია. არც ქვით მომიკლავს ვინმე, არც თავი გამტეხია ქვისგან, თუმცა ჩემი ცხოვრება ისეთია, რომ თავი პირდაპირ ქვის შუაგულში მგონია. გეგონება, წინილა ვიყო, რომელსაც სამყაროს სახილველად კვერცხიდან გამოსვლა მოსურვებია. წინილა კვერცხიდან იჩეკება, მე ქვიდან უნდა დავიბადო, ქვიდან ვცდილობ აღმოცენებას ახალი სიცოცხლისთვის! ქვის კედლებს ვურტყამ, რათა გამოვტეხო. ხან რწმენას ვურტყამ, ხან — ურწმუნობას, ხან სიბრძნეს, ხან — უგნურებას. ხან სასტიკი და დაუნდობელი ვარ, ხან — წყალნაღებელი რომანტიკოსი, რომელიც, შესაძლოა, წვიმის წვეთების წკაპუნმაც, ან, შემოდგომის ყვითელი ფოთოლის ხიდან ჩამოვარდნამაც კი აატიროს. ერთადერთი, რაც ვერ მატირებს, საკუთარი თავის განცდაა... მაგრამ ვინ იცის, იქნება სწორედ მაშინ ავტირდე, როდესაც ქვასთან ერთად მეც გავქვავდები.

მინ, ზანციური ქალაქისკენ

1. წვიმისას ნაძვი საქონლისთვის იქცა კარავად. რუხი ცა სტუმრობს წეროების გაშლილ ქარავანს. ხმელი ფოთოლი ჩამოსცივდება ხეებს საზამთროდ, რომ ერთმანეთი სიცივეში უფრო გავაბოთ. მაგრამ მე უკვე ძირს დავყარე ფარი და თორი¹, სიხარულისთვის გავუცხოვდი და გავხდი შორი. ფოთოლთა მსგავსად ჩამომცვივდა ყველა იმედი, ახლა იმედის ნაპერწკალი არ მაქვს მცირედიც. ამ ტანჯვის მერე, თუკი ისევ მივალ ტყემალთან, მე, უმახვილო, მახვილივით ხელს რო შევმართავ, ამოვიძახებ ეპოქალურ ერთადერთ ანაქესს²: ვეტრფოდი მხოლოდ ზეციურ ქალაქს!

2. შველა და შვება და სიმშვიდე უნდა მკოდოვანს³. ვინც უსახლოა, გარეთ დარჩა, დიდად ცოდოა. ყველა ცოდვილში ჩანს სამოთხეც, ჩანს უფსკრულებიც. ანგელოზები, ჩვენი გულის წმინდა მცველები სულის მოსათქმელ აზრს და სიტყვას დავგვაპურებენ, სწორედ იმ აზრით და იმ სიტყვით დავგვაპურებენ. დედამინა ხომ არის ერთი საერთო გობი, ვეებერთელაც, პანანინაც, მბრუნავი ბორბლის შესადარი. და საზიარო ბარძიმის მსგავსი — მთელი კოსმოსის თვალისჩინი, გულიც და არსიც. დედამინისთვის შექმნილია მთელი კოსმოსი, წმინდა წერილში მოვლენები ამას მოწმობენ...

3. სიო სუნთქავს და ირწვევიან ხოდაბუნები — ეს ოქროსფერი საიდუმლო დედაბუნების. დრო-ჟამის მიერ, გინდ პირდაპირ, გინდა ირიბად ქვეყნად მრავალი თაობები გადაითბა... კიდევ მრავალი თაობები გაითიბება. უზენაესი შემოქმედის დიდი ქმნილება — როგორც არ უნდა იყოს იგი — დახურულ წიგნის, თუ გადაშლილი წიგნის დარად, ღრმა არის შიგნით, მაგრამ ეგო სძლევეს და უგნური მაინც ქედმაღლობს, სწორედ ამიტომ ვერ მიიწევს მალლა ვერასდროს. პოეზიაა, რომ დაარღვევს მინიერ საკანს. ვადიდებ მხოლოდ ზეციურ ქალაქს!

4. რა უღიმღამოდ მიდის, მიდის ჩვენი ცხოვრება, თუმცა ჯერ ვსუნთქავთ, ვიხსენებთ ჯერაც ცოცხლებად, მაგრამ არ ძალგვიძს ზეცას ლოცვის კიბე მივადგათ, სიყვარულმა კი, ამ ეკლებში ველარ ივარდა. ღანვზე კვალს ავლებს ცხელი ცრემლის ნელი ნაკადი. სვენებ-სვენებით, მთიდან მთაზე ნისლი გადადის. ქარში ლივლივებს ოქროსფერი ხოდაბუნები. როცა მოვკვდები, ნასახლარზე ხო დაბრუნდები? ვიქნები დიდად მადლობელი, ხვალ, ზეგ თუ მაზეგ, ჩემი საფლავის (თუ მიანერთ) პატარა ქვაზე — ძალზე უბრალო, ამავე დროს პოეტურ ანაქესს: ვეტრფოდი მხოლოდ ზეციურ ქალაქს!

¹ თორი (ქართ) — ხმალი ან საბრძოლო სამოსი, ² ანაქესი — გამონათქვამი, ³ მკოდოვანი — ფრიად გალახაკი, უქონელი.

შეყვითლებული კაკლის ფოთოლი ისევ მიყურებს, თითქოს მე ვიყო ეს შემოდგომა.

წერილი იმეკეთის მკვას, სოლომონ პირველს

წინაპრის ბილიკს დავინყება გადაგლეხია, საფლავის ქვასაც გადაფარავს მაყვლის ბუჩქნარი. ამჯერად ვგავარ ხავსსგადავილი ნაეკლესიარს და ნარეკალში ჩავარდნილი ვარ საგუბარი ცრემლის. სანთლების ციციქნა კონას ვიკრავ თუ ვეკერი, მინათებს უღრანს. ბურუსივით განრთხმულ კუნაპეტს მაინც ვუპოვი გასასვლელ კარს. სამრეკლო ეკლის ამ კუნაპეტში ალალ გულეებს მოაგუმბათებს... მას შემდეგ, რაც მე ჯვარზე აველ და დავიმსხვერი, ისეთი გავხდი, რომ მოსისხლე მტერიც კი არ მძულს, მაგრამ ვერასდროს ვერ დავხვდები სიცილ-სიმღერით დიდ იმპერიას — დამპყრობელი ჯარებით დაძრულს! მშვიდობა გვინდა უწინარეს. ხოლო მშვიდობა სულაც არ ნიშნავს მონურ ყოფას. დულს ამბობებაც ძარღვებში, ხალხში. ათეიზმი უტევს კიდობანს კლდეზე შემართულს — ჩასაქრობად, ასაოხრებლად... გვიცქერის თვალი თავშეკლულთა. საქმენი მათი აქ გვესუნთქება ვენახების წმინდა სახებად. მხოლოდ ერთადერთ რამეს ნუხდი: ვაითუ ქართლის ველარ გეხილა ვაჟკაცობა და აჯანყება! დაცხრი, მეფეო, კვლავ მოგინევეს ხილვა ხრესილის, რადგანაც მტერი გარს გვაკრია ველურ ტომებად. და ქართველ ქალის მკერდებიდან გამოვასხვივებთ: გულზემბნეულყაყაჩოვება!



დავით კიკვაძე

რანდული სიმღერა დონ კიხოტ ლამანჩელზე

ხელთ ნუ ჩავედებთ საქართველოს ქაჯთა და ეშმაკთა,
ობლად ნუ დავადებთ ჟამს მიმომსხვრევთა.

თავზარი დაეცემა ქაჯთა და ეშმაკთა,
დონ კიხოტ ლამანჩელი შუბს როცა შემართავს!

მწუხარე სახის რანდებო, გვირგვინად მზე გადგათ,
მაგრამ მზე დაგტოვებთ, თუ დამთეთ ელადა!

მწუხარე სახის რანდებო, დონ კიხოტ ლამანჩელი
არსებობს ჩვენს შიგნით... იგია გადამრჩენი

იგი სცნობს ერთადერთს — რანდულ რომანტიკას,
რომელიც აღასრულა, ანდერძად მოგვანიჭა.

მახვილო სიმართლისა, შენ, მახვილგონიერო,
რომელმაც მსოფლიო ცხენით რო მოიარე,

აკათათვა

მკათათვის ნისლი, წვიმასველი, მინებდა ნიავს,
ნელა მიცურავს ტყის თავანზე და რალაც მიაქვს

ქალაქში წვიმამ გადაილო, ქოლგებს კეცავენ.
ქუჩას ამშვენებს თვალციმციმა ჩემი კესანე,

არ დაიდარდო, ისევ წვიმის იმედი გქონდეს —
კვლავ განვიმდებ, კვლავ გაშლიან ქალები ქოლგებს

ტექნოლოგიის ეპოქაში შეყვარებულებს
ნახავ, ტექნიკით გაბრუნებულ-ტანჯულ-ვნებულებს,

სადაც ხავსვლილი ელოდება ტაძრის ნანგრევი,
სოფლის კაცები ხელმეორედ რომ ააგებენ.



გიორგი აბდუშელიშვილი

სოფლის დაკარგული ამბებიდან

თოვს ჟანგი შესჭამს, ჟანგს მინა,
კაცის გულს დარდი იარა.
მიხა ხელაშვილი

თავმომხმონე კაცი იყო სოლომონი, პირველობა უყვარდა
საქმეშიც და ქეიფშიც. მაგრამ ეხლა ვის ეცალა ქეიფისთვის.

1924 წლის ზაფხულს მძიმედ და გულისტკივილით იგონებდა
ხოლმე მოხუცი სოლომონი შვილიშვილებთან

როდესაც ხუთშაბათი დღე, 28 აგვისტო გათენდა, ხმა
გავარდა — მენშევიკებმა ხელისუფლება დაიბრუნესო,

ერთი ტყვიამფრქვევი და რამდენიმე შაშხანა აქვთ
ივანიჩ! ისეთი ადგილი დაიკავეს, ერთ ბატალიონს გასხეპენ.

— მამაძალი, კაცო; რას გვერჩოდნენ, კაცო, არ დამთავრდება
კარგად ეს ამბავი, — შფოთავდა სოლომონი.

მოვლენები კი ძალიან სწრაფად ვითარდებოდა. ჭიათურის
განთავსების დასრულების შემდეგ დაიკავეს და მილიციის
გაქცევის შესახებ მალევე შეიცვალა.

წერილის მომტანს გამოჰკითხა ჭიათურის ამბები.
დიდი ჯარი მოემართებოდა ჭიათურაში, გაუშუავენ ამბოხებულებსო —
ამტკიცებდა მიკრიკი.

29 აგვისტოს გამთენიისას მიადგა სოლომონი მიქაუტიძეების
უბანს. უეცრად შაშხანის გასროლამ შეაჩერა.

— იპოლიტე, სალაპარაკოდ ვარ, კაცო, იპოლიტე!
არავინ გამოხმაურებია, მაგრამ ხუთ წუთში ხეობაში

ტყვაზე დაეჯერებოდა, ამიტომ სოფელ ზოდის საქმისმნარმოებელს
არ გაჰკვირვებია რამდენიმე საათში უკან

ამასობაში სოფელში ხმები ვრცელდებოდა — სეგუნა
გამყრელიძე დააპატიმრეს და კიდევ ვილაციები, უეჭველი

ჭიათურაში სადამოს ჩავიდა. ყველას რკინიგზის სადგურში
მოეყარა თავი და სოლომონმაც იქით გასწავა. ქალაქის
ქუჩებში მილიციელები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ.

— სოლომონ, სოლომონ!
სოლომონმა თვალეები მოავლო ვაგონის შესასვლელს.

— სერგო, მანდ ხარ კაცო? მარტო ხარ?
— არა, მარტო არ ვარ, სოლომონ, რალაც გვიშველე,

— ვინ ხართ მანდ ზოდისან? რამდენი?
— რვა-ცხრა კაცი ვართ, ბარათაშვილების ბიჭებიც

— ზუსტად მითხარი რამდენი ხართ? — და შესასვლელისკენ
მიიწია სოლომონმა, მაგრამ იქვე მდგარმა შაშხანისმა
რუსის სალდათმა მხარში ჰკრა ხელი, —

სოლომონი გაბრაზდა, მაგრამ ჭკუას დროზე მოუხმო,
მიბრუნდა და კაპანაძეს დაუწყო ძებნა. მატარებელი

— კარგი, ნამოდი, ოლონდ დროზე მაჩვენე, რომელი
ვაგონია და გვარები მითხარი, მატარებელი ხუთ წუთში

— სეგუნა, სეგუნა, სერგო!
— მოხვედი, სოლომონ? ვახ, გაეთავდით ხალხი, გვეშველება?
არის რამე იმედი?

— არის, არის, სერგო, იმედი არის...
მოხუცი სოლომონ ბოჭორიშვილი შვილიშვილებთან

საუბარში თავისი ცხოვრებიდან რამდენიმე ამბავს იხსენებდა
ხოლმე, რომელიც მის გულს ეფონებოდა და სიკვდილთან
მიახლოებულს, იმის იმედს აძლევდა, რომ მამაზეციერის
არსებობის შემთხვევაში მთლად ხელცარიელი არ წარდგებოდა

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940



9 1 7 7 2 3 4 6 1 7 9 4 0 0 4